



ციხეხანი

155 / ოქტომბერი / 2014

1737
2014

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ინტერვიუ უკრაინის პატრიარქ ფილარეტთან **33. 14**

საქართველოს სამსახურში: მინისტრი და პოლიცია **33. 20**

ევროპის ნაციონალური თავსატეხი **33. 10**

ენა, რომელიც ხმაურობს და მკვინვარებს **33. 54**

100 მილიონი გირვანძა სტერლინგით შორს **33. 78**

ფანი 5 ლარი

ISSN 1987-7528




9 771987 752008

საეხთო ენის ძიებაში

33. 32



იოტა iOS-ისტვის



ლიბერალი - ახლა უკვე თქვენს iPhone, iPad და iPod Touch-ზე

იკითხე ყველგან!
იკითხე კომფორტულად!
www.lit.ge

იოტა iOS-ისტვის საშუალებას გაძლევთ მარტივად იკითხოთ lit.ge-ს ნიშნები და პერიოდიკა თქვენს iPhone, iPad და iPod Touch-ზე

აკლიკანის გადმოსაწერად, თქვენი მონეტარული ბილდანი iTunes-ზე მოძებნეთ „IOTA READER“





ციბეჩანი

№ 155 / ოქტომბერი / 2014

მთავარი რედაქტორი
ზურაბ ვარდიაშვილი

შენაწილის რედაქტორი
ირაკლი აბსანძე

შენაწილის ალბანურულაპელი
რედაქტორი
გიორგი ჭყეიშვილი

კვლევითი რედაქტორი/
გეოგრაფიკული რედაქტორი
ლიკა ზაკაშვილი

ახალი ამბავის რედაქტორი
დათო გამოსონია

ფოტორედაქტორი
ლევან ხერხეულიძე

შენაწილის მკვლევარი
ზურაბ ვარდიაშვილი, ლიკა
ზაკაშვილი, გიორგი ჭყეიშვილი,
ქეთევან ლევდაშვილი, თათია
ხალიანი, ეკა მაღალაძე, სოფო
აფციაური, თეი კანაშვილი, დათო
ფარულავა, ნათია ამირანაშვილი.

კონტრიბუტორები
ქეთი თუბერძე, მალხაზ
სონულაშვილი, ვახუშტი
მენაბდე, კახა გაბუნია, ლევან
ბერძენიშვილი, გიორგი კეკელიძე,
ცირა ელისაშვილი, ირაკლი
ხედაგანი, დავით ბუხრიკიძე,
ნინო წაჭროშვილი, გიო
ახელეიანი

შენაწილის დიზაინერი
თორნიკე ლორთქიფანიძე

რედაქტორ-სტილისტი/
კორექტორი
ნათია ორმოცაძე

ახალი ამბავის სტილისტი/
კორექტორი
ნინო კალატოზიშვილი

გეოგრაფიკული რედაქტორი
ქეთევან ქავთარაძე

კომუნიკაციის მენეჯერი
ელენე ხარაზაშვილი

პატრიარქთან ურთიერთობის
მენეჯერი
ირმა მოსულიშვილი

დისტრიბუტორი
გაგი გელაშვილი

შენაწილის გამომწერის მსურველები
დაგვიკავშირდით:
247 02 46

www.liberali.ge



ენა, ხომეცხის ვახსებობთ

სახელმწიფო ენის შესახებ კანონის პროექტი, რომელიც გასულ თვეს საინფორმაციო საშუალებების მთავარ თემად იქცა, მთავრობამ ძირითადად იმ საბაზით დაინუნა, რომ საგანგებო დეპარტამენტის დასაფინანსებელი მილიონი ლარის გამოყოფა არ ისურვა. თუმცა საექტო რეგულაციების, ცენზურის ნიშნების შემცველი, სანქციებით გაძეგლილი, ორიგინალური რედაქციის კანონპროექტი, ალბათ, გაცილებით მეტ პრეტენზიას იმსახურებდა, ვიდრე რბილ შენიშვნას, იმის თაობაზე, რომ ის „დასახვევია როგორც სამართლებრივად, ასევე იურიდიული ტექნიკის თვალსაზრისით და საჭიროებს დამატებით კონსულტაციებს“.

საკამათო არაა, რომ ხელისუფლებებს პრობლემების მოგვარება უფრო ქალღმერთ ურჩევნიათ, ვიდრე პრაქტიკაში. ისინი შეიტანენ ცვლილებებს კანონებში, შექმნიან უამრავ კომისიას, გამართავენ კონსულტაციებს და ა.შ. თუმცა, როდის მიიღებენ ხელშესახებ ეფექტს. ისმაილი, 12-ე კლასელი მარნეულები მოსწავლე და მისი მეგობრები, როგორც წესი, დიდად არ ანაღვლებთ. ისმაილის და ზოგადად ეთნიკური უმცირესობების ენობრივ გასაჭირზე თათია ხალიანი და სოფო აფციაური მოგიყვებიან.

ეს ნომერი ენას ეძღვნება, ენას რომელშიც ვაზროვნებთ და, შესაბამისად, ვარსებობთ. აქვე წაიკითხავთ ვახუშტი მენაბდის ნარკვევს სუბიექტებისგან დაცლილი პოლიტიკური ენის თაობაზე. ლევან ბერძენიშვილი გიამბობთ ენის შესახებ, რომელიც ხმაურობს და მძვინვარებს...

მთავარი თემის გარდა, წინამდებარე ნომრის ფურცლებზე სხვა, არაერთი სოციალ-პოლიტიკური, საზოგადოებრივი თუ კულტურული მოვლენის ანალიზს შესვდებით. „ლიბერალი“ ერთთვისანი საზაფხულო პაუზის შემდეგ დაბრუნდა, დაელოდეთ მას ყოველი თვის 10 რიცხვში. ჩვენ თქვენთვის ვმუშაობთ.

ზურაბ ვარდიაშვილი, მთავარი რედაქტორი



მთავარი თემა

საჯიბო ენის ძიებაში

მარნეულის გზებზე გადატვირთული მოძრაობაა. მაღაზიებზე, სილამაზის სალონების, ლომბარდების, თითქმის ყველა დაწესებულების შესასვლელში წარწერები ქართულ და რუსულ, იშვიათად კი აზერბაიჯანულ ენებზეა.

წვიმს, მაგრამ N3 აზერბაიჯანულენოვანი საჯარო სკოლის მოსწავლეები შესვენებაზე სკოლის შენობაში ვერ ჩერდებიან. დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის, გულნარა დარგალის, კაბინეტში ქართული ენის მასწავლებელს ვხვდებით. ნუნუ ხარშილაძე ამ სკოლაში უკვე ათი წელია მუშაობს.




სოფო აფციაური, თათია ხალიანი
83.32

პოლიცია

საქართველოს სამსახურში: მინისტრი და პოლიცია

პირველად იყო წარდგენა, და წარდგენა იყო ასეთი:

„... მან პრაქტიკულად საათივით ააწყო და გამართა სისტემა ჯერ კახეთის სამმართველოში; შემდეგ უკვე გადმოვიყვანე თბილისში. ძალიან მძიმე მდგომარეობაში ჩაიბარა თბილისის მთავარი სამმართველო და სულ რაღაც რამდენიმე თვეში ასევე საათივით ააწყო და გამართა თბილისის მთავარი სამმართველო. მას ჰყავს ძალიან კარგი გუნდი, თავისი თანამებრძოლები, რომლებიც ძალიან წარმატებული პოლიციელები არიან. რაც მთავარია, ლექსომ აჩვენა – მას შეუძლია მართვა.“



ქეთევან ლევდაშვილი, გიორგი ჭიჭიშვილი
83.20

პოლიტიკა

ენა სუბიექტის ბაჩეშე

თხრობა იყენებს აღმნიშვნელებს, რომლებიც არ გამოხატავენ შინაარსს, არ აღწერენ მას, არ ცდილობენ, გაგვაგებინონ კონკრეტული ადამიანების ბედი, არამედ უბრალოდ, ქმნიან ნარატივს ობიექტის გარეშე. ამგვარად, ნარატივი ისე ფორმირდება, რომ მას არც სუბიექტი ჰყავს და არც ობიექტი. ნარატივი თავად არის ორივე მათგანი, იგი ითავსებს ყველა გრამატიკულ თუ პოლიტიკურ მნიშვნელობას. „კრიმინალური ქრონიკა“ წინადადებაა გრამატიკის გარეშე, პუნქტუაცია სასვენი ნიშნების გარეშე, თხრობა ისტორიის გარეშე, კომუნიკაცია მონაწილეების გარეშე, სტატისტიკა რიცხვების გარეშე, სამყარო ადამიანების გარეშე.

ვახუშტი მენაბდე
83.26

ფოტოჰოჯავი

ჰაღიასტომის ტბის მეთევზეები



სოფო აფციური
83.46-53



უსხოთი

ეხოვის ნასიონალისტური თავსახე

მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ, შიმშილით, ცხედრებითა და უიმედობით სავსე ევროპაში ყველაზე ოპტიმალური გადაწყვეტილება ევროპული სახელმწიფოების მსხვილი პოლიტიკური გაერთიანების შექმნა იყო. მართლაც, ეს ახალი ხანის დასაწყისი და ომების ბნელი ეპოქის დასასრული აღმოჩნდა. თუმცა ალბათ ეჭვი არავის შეჰპარვია, რომ ეს უზარმაზარი ევროპული ოჯახი ამერიკის შეერთებული შტატების მსგავსად მტკიცე და კონსოლიდირებული ვერასოდეს იქნებოდა.

ქეთი თუთბერიძე
83.10

ნომარში:



ფოტო სურათი ანთონაური

- 06 მოკლედ
- 08 ციტატები
უცხოეთი
- 10 ევროპის ნაციონალისტური
თავსატყუნი
ინტერვიუ
- 14 ეკლესია კრემლის სამსახურში
პოლიტიკა
- 20 საქართველოს სამსახურში:
მინისტრი და პოლიცია
- 26 ენა სუბიექტის გარეშე
მთავარი თემა
- 32 საერთო ენის ძიებაში
საზოგადოება
- 42 ენა თუ დიდილექტი?
ფოტოპროექტი
- 46 პალიატოლის ტბის მეთევზეები
ბიბლიოთეკა
- 54 ენა, რომელიც ხმაურობს და
მძვინვარებს
- 58 როგორ მივედით დედა ენამდე
ქალაქი
- 62 სახლი – მაქმანი
- 66 სახლი ლაბორატორიის ქუჩაზე
კულტურა
- 70 ეთნოგრაფიული ექსპონატები
- 72 „ხეტიალი“ ხილვებს,
მოძრაობასა და სიტყვებს
შორის
ტექნოლოგიები
- 76 SMS სიკვდილს არ აპირებს
სპორტი
- 78 ასი მილიონი გირვანქა
სტერლინგით შორს

ქალაქი

სახლი - მათხანი

ამ შენობას ყველა ის ელემენტი აქვს, რაც თბილისური სახლებისთვისაა დამახასიათებელი: აივანი, მოხატული სადარბაზო, ეზო-ბაღი მრგვალი შადრევნით და ალყაფის ქიშკარი. ალბათ იკითხავთ - აბა, რით არის გამორჩეული? – საოცრად უხვად დეკორირებული და ამავე დროს მსუბუქი, ორიარუსიანი ხის ჭვირული აივნით, რომელიც მეტწილად განსაზღვრავს შენობის მაღალმხატვრულ სახეს. ჭვირული აივანი ტრადიციულია ამ ქალაქისთვის.

ცირა ელისაშვილი
33.62

სპოხები

ანი მილიონი ბიზანია სხილინობით შოხს

ვან გაალი „მანჩესტერში“ პირდაპირ ჰოლანდიის ნაკრებიდან მოვიდა და საქმეს ჩვეული სიმკაცრითა და თანამედროვეობით შეუდგა. თავიდან იმასაც კი ამბობდა, ეს „მანჩესტერი“ რა კაი გუნდი ყოფილა, ეგებ სულაც არავინ გამიხდეს საყიდელიო.

ეს აზრი რომ დღემოკლედ იყო, მალე გამოჩნდა. დღევანდელ ფეხბურთში რომ ყიდვა-გაყიდვა ლამის გადამწყვეტია, ყველამ იცის. თუ ხარჯავ, გუნდი ახლდება. თუ არ ხარჯავ, აბა... გახსოვს, როგორ ცვთებოდა ბაბუის ნაქონი მფრინავის ქურთუკი? კი, ის იყო, მაგრამ გოგოსთან შესახვედრად მიმავალი მგონი ძმაკაცს ართმევდი ჟაკეტს.

გიო ახვლედიანი
33.78

გამოცემალი:

შპს „ლიბერალი“. მისამართი: თბილისი, ინგოროყვას ქ. 14. ტელ.: (995 32) 2470246
ელ-ფოსტა: info@liberali.ge ვებგვერდი: www.liberali.ge
„ლიბერალის“ საავტორო უფლებები დაცულია.
უურნალში გამოქვეყნებული მასალების ნაწილობრივი და/ან მთლიანი გამოყენება რედაქციის თანხმობის გარეშე აკრძალულია.

გაყვავა:

შპს „სეზანი“. მისამართი: თბილისი, წერეთლის გამზ. 140. ტელ.: (995 32) 235 70 02.
გამოდის თვეში ერთხელ, ყოველ 10 რიცხვში. პირველი ნომერი გამოცემულია 2009 წლის მაისში.
რეკომენდებული საცალო ფასი 5 ლარი.





ეკო ბიზნეს სესხი



ეფექტური ბიზნეს ინვესტიცია



*22 22



220 22 22



procreditbank.ge



"ოცობის ჩაშლისთვის" - ჰონგ კონგში აქონსტრანტების აქციები

უკვე რამდენიმე კვირაა ჰონგ კონგში დემოკრატიული ძალები საპროტესტო აქციებს მართავენ. დემონსტრანტები ჩინეთის ხელისუფლების მიერ საარჩევნო კანონმდებლობაში შეტანილ ცვლილებებს აპროტესტებენ. ოპოზიციურმა დემოკრატიულმა მოძრაობამ „Occupy Central“-მა დაუმორჩილებლობის მასობრივი აქციები სწორედ ამის გამო დაიწყო.

პოლიციის სპეცრაზმმა დემონსტრანტების წინააღმდეგ ცრემლსადენი და წინაკის გაზი გამოიყენა. BBC-ს ცნობით, დემონსტრანტებმა ფარად ქოლგები აღმართეს, რომელიც მათ ძლიერი სიციხის გამო ჰქონდათ თან. ქოლგა ყვითელ ლენტთან ერთად ჰონგ კონგის პროტესტის არაოფიციალურ სიმბოლოდ იქცა.

აშშ-ის ახიი ავლანეთში 2014 წლის შედეგად ახიი

ავლანეთის ახალმა მთავრობამ ამერიკის ოფიციალურ პირებთან ხელი მოაწერა შეთანხმებას, რომლის თანახმადაც, აშშ-ის ჯარი ავლანეთში 2014 წლის შემდეგაც დარჩება. ავლანეთის წინამორბედმა პრეზიდენტმა ორმხრივი უსაფრთხოების შესახებ შეთანხმების ხელმოწერაზე უარი განაცხადა. 2014 წელს NATO-ს ძალების უმრავლესობა ქვეყნის ტერიტორიას დატოვეს და ავლანეთში 9 800 ამერიკელი ჯარისკაცი დარჩება.

ხაიფოხინის შახში პოლიტიკის ახიი ბაშარ ასადის ხაიფოხინის


კალიფორნიის გუბერნატორმა, ჯერი ბრაუნმა, ხელი მოაწერა შტატის ახალ

კანონს, რომელიც პოლიეთილენის ერთჯერადი პარკების გამოყენებაზე ჯარიმას ითვალისწინებს. კალიფორნია პირველი შტატია, რომელიც მსგავს საკანონმდებლო რეგულაციას მიიღებს.

პოლიეთილენის პარკების აკრძალვა პირველ ეტაპზე მსხვილ სასურსათო მალაზიებში დაიწება და 2016 წელს ყველა მარკეტსა და ავთიაქს მოიცავს. ქალაქის პარკების გამოყენებასთან დაკავშირებული ხარჯების გათვალისწინებით, კანონი უფლებას აძლევს მოგაჭრეებს, პროდუქტზე ფასი მინიმუმ 10 ცენტით ასწიონ.

FORBES 2014 წლის ყველაზე მდიდარი აშშ-ის ბილიონერების სია

Forbes 2014 წლის 400 ყველაზე მდიდარი ამერიკელის სიას აქვეყნებს, რომლის სათავეშიც უკვე 21-ე წელია Microsoft-ის თანადამფუძნებელი ბილ გეთისი დგას. მისი ქონება 81 მილიარდი აშშ დოლარია.



მეორე ადგილს 2001 წლიდან 67 მილიარდი აშშ დოლარით გეთისის მეგობარი, Berkshire Hathaway-ს აღმასრულებელი დირექტორი, უორენ ბაფეტი, ინარჩუნებს. Facebook-ის დამფუძნებელი მარკ ცუკერბერგი სიაში მეთერთმეტეა. გასულ წელთან შედარებით მისმა ქონებამ 15 მილიარდით მოიმატა და ამჟამად ის 34 მილიარდ დოლარს ფლობს. ამერიკის ყველაზე მდიდარი 400 ადამიანის ქონება ჯამში 2,29 ტრილიონ დოლარს შეადგენს და წინა წელთან შედარებით 270 მილიარდი დოლარითაა გაზრდილი. ეს მაჩვენებელი თითქმის იგივეა, რაც 200 მილიონი ადამიანი დასახლებული ბრაზილიის მთლიანი შიდა პროდუქტი.

აშშ-ის პირველი ადამიანი 1920-იან წლებში

ოქსფორდის უნივერსიტეტის მეცნიერების დასკვნის მიხედვით, იმუნოდეფიციტური ვირუსით (აივ ინფექცია) პირველი ადამიანი 1920-იან წლებში დღევანდელი კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკის დედაქალაქ კინშასას ტერიტორიაზე დაავადდა. კონგოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში ვირუსის გავრცელება სექსმონებით ვაჭრობის, მოსახლეობის სწრაფი ზრდისა და კლინიკებში არასტერილური ნემსების გამოყენების შედეგია. კონგოს საზღვრებში ვირუსმა ბელგიელების მიერ აშენებული რკინიგზის მეშვეობით შეაღწია, რომლითაც რესპუბლიკას ყოველწლიურად მილიონამდე ადამიანი სტუმრობდა.


აივ-ი თავდაპირველად შიმპანზეს ვირუსი იყო, რომლითაც ადამიანი, სავარაუდოდ, დაავადებული ცხოველის სისხლთან კონტაქტით დაინფიცირდა.

დასავლეთიდან ისლამისტი ბოლომდე IS-ის მუხიმობა

The Guardian-ის ინფორმაციით, ათასობით გოგონა დასავლეთის ქვეყნებს ტოვებს, რათა ახლო აღმოსავლეთში ისლამისტი მეომრებს შეუერთდეს. 14-15 წლის გოგონები, რომელთაც ჯიჰადისტები, ძირითადად, სოციალური ქსელით უკავშირდებიან, მათზე საქონწინოდ სირიაში მიემგზავრებიან, რათა მებრძოლთა საზოგადოებას შეუერთდნენ და ჯიჰადისტებს შვილები გაუჩინონ. გოგონები ევროპიდან, ჩრდილო ამერიკიდან და ავსტრალიიდან ჯიჰადისტ მებრძოლეთან, მათ შორის, „ისლამურ სახელმწიფოსთან“ (ISIS) შესაერთებლად ჩასულთა 10%-ს შეადგენენ. მრავალი ექსპერტის აზრით, „ისლამური სახელმწიფო“ გოგონებზე გავლენას სოციალური მედიის საშუალებით ახდენს.

"შოპი და ახიი" ხსოვნაში დასავლეთიდან

მულტიპლიკაციურ ფილმს, რომელსაც კომპანია Amazon-ის სატელევიზიო არხი Prime instant ვიდეო საკუთარ



გამომწერებს უჩვენებს, ბოლო დროს ერთვის გაფრთხილება, რომ ზოგიერთი სცენა რასისტული განწყობის შემცველია.

უილიამ ჰანასა და ჯოზეფ ბარბერას მულტიპლიკაციური სერიალის რასობრივ დისკრიმინაციაში დადანაშაულების მიზეზი მისი პერსონაჟი – ფერადკანიანი დამლაგებელი ქალია.

კომპანია Amazon-ის გამაფრთხილებელი ნიშანი მიუთითებს, რომ ეს სცენები ამერიკულ საზოგადოებაში ნარსულშიც ამკვიდრებდა სტერეოტიპულ აზროვნებას.

აღსანიშნავია, რომ 1960-იან წლებში ამერიკული სატელევიზიო ჩვენებისათვის „ტომი და ჯერის“ ზოგიერთ სერიას არედაქტირებდნენ კიდევც. მულტიპლიკაციური ფილმის პირველი სერია 1940 წელს გადაიღეს. სერიალს, რომელიც 100-ზე მეტი ეპიზოდისგან შედგება, 7 ოსკარი აქვს აღებული.

ინგლისის ჯანდაცვის სისტემა ანთროპოლოგიის მეთოდებით ავსებს ინფორმაციას

ინგლისსა და უელსში სახელმწიფო ჯანდაცვის სისტემის პაციენტები ალკოჰოლზე დამოკიდებულების სამკურნალოდ მალე ახალ პრეპარატს Nalmefene-ს მიიღებენ, რომელიც სმისკენ მიდრეკილ პაციენტებს ენიშნებათ.

პრეპარატი Selincro-ს სახელწოდებითაც

არის ცნობილი. მისი დღეში ერთხელ მიღება ალკოჰოლის სურვილს ამცირებს. მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაცია ალკოჰოლიზმად ქალებში ყოველდღიურად 1 ლიტრის, ხოლო მამაკაცებში 1,5 ლიტრი 5%-იანი ლუდის ეკვივალენტი სპირტიანი სასმელის მოხმარებას განსაზღვრავს.

ბაიხო: აღმოსავლეთ უკრაინაში 3 627 ადამიანი დაღუპილი

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მონაცემებით, აღმოსავლეთ უკრაინაში კონფლიქტის დაწყებიდან 30 სექტემბრის ჩათვლით 3 627 ადამიანი დაიღუპა. გაეროს მიერ გავრცელებული ანგარიშის მიხედვით, 8 447-მა ადამიანმა სხვადასხვა სახის ჭრილობები მიიღო. განახლებულ მონაცემებში გათვალისწინებულია უკრაინაში „მალაიზიის ავიანაზების“ კუთვნილი „ბოინგ 777“-ის ჩამოვარდნის შედეგად დაღუპული მგზავრები.

უკრაინა მასწავლებლებს დაიწყო სწავლება და ვინჩის სწავლები დაიწყო

ფრანგმა მეცნიერმა იტალიელი მხატვრის, ლეონარდო და ვინჩის ტილოზე „ქალი ყარყუმით“ აქამდე დაფარული ესკიზები აღმოაჩინა. პასკალ კოტეს თქმით, ნახატის სპეციალური ტექნოლოგიით შესწავლის შემდეგ ნათელი გახდა, რომ და ვინჩიმ

ამ ტილოს სამი ვარიანტი დახატა. მათ შორის, ერთ-ერთზე ყარყუმი საერთოდ არ არის, ხოლო მეორეზე მას განსხვავებული ბენჯი აქვს.

ნახატზე გამოსახული ქალი ჩეჩილია გალერანია, რომელიც მილანის ჰერცოგის, ლუდოვიკო სფორცას საყვარელი იყო. ჰერცოგი, რომელსაც მეტსახელად „თეთრ ყარყუმს“ ეძახდნენ, 18 წლის განმავლობაში ლეონარდოს მთავარი დამკვეთი იყო.

შვედეთის მთავრობა ჯანდაცვის სისტემის განახლებას დაიწყო

შვედეთის ახალი მემარცხენე-ცენტრისტული მთავრობა პალესტინის სახელმწიფოს ცნობას აპირებს. ამის შესახებ 3 ოქტომბერს პარლამენტში ინაუგურაციის დროს ქვეყნის პრემიერ-მინისტრმა სტეფან ლიოვენმა განაცხადა. თუ ეს ჩანაფიქრი განხორციელდა, მაშინ შვედეთი იქნება პირველი ევროპული სახელმწიფო, რომელიც პალესტინის სახელმწიფოებრიობას აღიარებს. ☒






„ქართული სასამართლო უნდა იყოს მიუკერძოებელი ნებისმიერი გავლენისგან, მათ შორის, ისეთი მნიშვნელოვანი გავლენისგან, როგორც არის ევროსაბჭოს დადგენილება“.

საქართველოს პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი.



„ამ ორი წლის განმავლობაში ყველა სფეროში მივალწიეთ მნიშვნელოვან წინსვლას, – დაწყებული ჯანდაცვითა და განათლებით, მენარმეობის ნახალისებით, სოფლის მეურნეობის ხელშეწყობით და დამთავრებული კანონის უზენაესობის დამკვიდრებით. ქვეყანაში, ერთხელ და სამუდამოდ, სამართლიანობის დამკვიდრებით“.

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ლარიბაშვილი



„რუსები მეზობელ ქვეყნებში კონფლიქტის გაღვივებას უწყობენ ხელს, რაც მათ მიერ იმ კონტროლის დაბრუნების სურვილს ჰგავს, საბჭოთა კავშირის დაშლისას რომ დაკარგეს“.

NATO-ს ყოფილი გენერალური მდივანი ანდერს ფოგ რასმუსენი



„მინდა დიდი პატივისცემით მივმართო ჩვენს ჟურნალისტებს, ჩვენს ხელისუფლებას - ისეთი ნეგატიური ფაქტების გამოცხადებით, როგორცაა მკვლელობა, შვილისგან მშობლების დახოცვა და ა.შ. ჩვენ ჩვენი ხალხის ტრავმირებას ვუწყობთ ხელს. ვიძლევით მაგალითს, რომ ხალხმა შეიძლება ეს საშინელი ცოდვა ჩაიდინოს, ამიტომ იქნებ ნაკლებად გამოვაცხადოთ ასეთი მკვლელობების შესახებ“.

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე.

სუპერპრიზი
10 000 ₾



ინტერნეტ და მობაილბანკის გათამაშება

შედით და მოიგეთ 300 პრიზი

Internet and mobile banking raffle

 **თიზისი ბანკი**
TBC BANK
თქვენ გვერდით





ეპიკოს ნაციონალისტური თავსახე

ქეთი თუთბერიძე

„კელტების შთამომავალი შოტლანდიელების ადგილი გაერთიანებულ სამეფოში არ არის“ – დამოუკიდებლობის მომხრე შოტლანდიელების ნაციონალისტურ ლოზუნგებს ევროპის რამდენიმე რეგიონში მოქმედი და მიძინებული სეპარატისტული ძალების ექო მოჰყვა. დამოუკიდებლობის მომხრეებმა, მსგავსად შოტლანდიელებისა, შესანიშნავად იციან, რომ მიზნის მიღწევის შემთხვევაში ევროკავშირის კარს მიღმა აღმოჩნდებიან, თუმცა დამოუკიდებლობის სურვილი იმდენად ძლიერია, რომ

მზად არიან, ევროპის რუკა მთლიანად შეცვალონ. დღეს სეპარატიზმის მთავარი კერა, რომელიც თითქმის საუკუნის განმავლობაში ვერაფერმა ჩაახშო, ესპანეთის სამეფოშია.

სეპარატისტული ფიქსტა

ოთხი წლის წინ, როდესაც კატალონიის ავტონომიური მთავრობის ხელმძღვანელად არტურ მასი აირჩიეს, ცენტრალური ხელისუფლებისთვის რთული დასაჯერებელი იქნებოდა, რომ იგი ნაციონალისტური კოალიციის ლი-

დერი გახდებოდა და სეპარატისტულ პარტიებთან ერთად ალიანსს შექმნიდა. ხელისუფლებაში მოსვლიდან რამდენიმე თვეში მასმა რიტორიკა მკვეთრად შეცვალა და განაცხადა, რომ კატალონიის დამოუკიდებლობა და სუვერენიტეტი მისი პოლიტიკური საქმიანობის უმთავრესი მიზანია.

ახალი სეპარატისტული ტალღა კატალონიაში ეკონომიკური კრიზისის პირობებში აგორდა, თუმცა ბარსელონასა და სხვა ქალაქებში ისეთი ძლიერი ნაციონალისტური განწყობა, რო-



■ შოტლანდიის რეფერენდუმის შედეგები მხოლოდ დიდი ბრიტანეთის მომავლის განმსაზღვრელი არ ყოფილა. დამოუკიდებლობის შემთხვევაში, ევროკავშირისა და გაერთიანებული სამეფოს მიღმა დარჩენილი შოტლანდია, მთელ ევროპაში სრულიად ახალ და სახიფათო პროცესებს გამოიწვევდა. თუმცა დღეს თითოეული რეგიონის დამოუკიდებლობის მოთხოვნას ძირითადად ეკონომიკური ხასიათის მიზეზები უდევს საფუძვლად.

გორიც დღესაა, არასოდეს ყოფილა. ისინი დაუყოვნებლივ რეფერენდუმის ჩატარებას ითხოვენ. ცენტრალური ხელისუფლება კი რეფერენდუმის ლეგიტიმურობას არ ცნობს, რადგან ესპანეთის კონსტიტუციის თანახმად, დამოუკიდებლობის რეფერენდუმი არა ავტონომიის, არამედ მთელი ქვეყნის მასშტაბით უნდა გაიმართოს.

კატალონიის ავტონომიური ხელისუფლება უარყოფს ბრალდებებს ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფის მცდელობასთან დაკავშირებით და სიტყვა „რეფერენდუმის“ ნაცვლად ხშირად „გამოკითხვას“ იყენებს. 19 სექტემბერს კი კატალონიის პარლამენტმა 106 ხმით 28-ის წინააღმდეგ დაამტკიცა, რომ კატალონიის პრეზიდენტი უფლებამოსილია ავტონომიაში დამოუკიდებლობის შესახებ გამოკითხვა ჩაატაროს.

თუმცა რამდენიმე დღის წინ ესპანეთის საკონსტიტუციო სასამართლომ კატალონიაში 9 ნოემბერს დაგეგმილი რეფერენდუმის წინა კამპანიის შეჩერების გადაწყვეტილება მიიღო. ვერდიქტის მთავარი მოტივაცია იმ არგუმენტების ნაკლებობაა, რის შედეგადაც დამტკიცდება, რომ რეფერენდუმი სახელმწიფოს ტერიტორიულ მთლიანობას არ დაარღვევს.

„მხოლოდ ესპანელ ხალხს აქვს უფლება გადანყვიტოს საკუთარი ქვეყნის ბედი, და არა რომელიმე პარტიას ან ადამიანების ჯგუფს“, – განაცხადა ესპანეთის პრემიერ-მინისტრმა მარია-ნო რახოიმ.

მიუხედავად მრავალი წინააღმდეგობისა, ავტონომიურ მთავრობას იმედი აქვს, რომ გამოკითხვა დამოუკიდებლობის შესახებ კატალონიაში აუცილებლად ჩატარდება. თუმცა სასამართლოს გადაწყვეტილების თანახმად, რეფერენდუმის წინა კამპანია შეწყდა. კატალონიის ვარსკვლავიანი დროშებით გადავსებული ქალაქები და საპროტესტო ტალღა, რომელიც მადრიდის სასამართლოს გადაწყვეტილებას მოჰყვა, მოულოდნელი არავისთვის ყოფილა. ბარსელონაში მთავრობის სახლთან შეკრებილი აქტივისტები ნაციონალისტური ლოზუნგების ფონზე რეფერენდუმის ჩატარებას ითხოვდნენ. საბოლოოდ აქცია პოლიციამ მაშინ დაშალა, როცა დემონსტრანტებმა ადმინისტრაციულ შენობაში შეჭრა სცადეს.

კატალონიის მთავრობა ურთულესი ამოცანის წინაშე დგას. ისინი არა-მხოლოდ ცენტრალური მთავრობის, არამედ დამოუკიდებლობის მომხრე

კატალონიელების კრიტიკისა და უკმაყოფილების სამიზნედ იქცნენ.

„მომავალი, რომელსაც კატალონია იმსახურებს, ბრძოლით უნდა მოვიპოვოთ. დამოუკიდებლობა საჩუქარი არ არის, რომელსაც სხვები გვიბოძებენ“, – განაცხადა არტურ მასიმ. თუმცა ძნელი სათქმელია, რამდენად ეფექტურად მოქმედებს დღესდღეობით დამოუკიდებლობის მომხრეებზე მასის ნაციონალიზმით გაჯერებული სიტყვები.

კატალონიაში, სადაც მოსახლეობა 7 მილიონს აღემატება, გამოკითხვების თანახმად, თითქმის 55% დამოუკიდებლობის მომხრეა. მათ შორის 23% კონსტიტუციის უგულვებლყოფასა და რეფერენდუმის უკანონოდ ჩატარებას არ ეწინააღმდეგება. თუმცა ესპანეთში არსებობს მოსაზრება, რომ მმართველი კოალიცია „კონვერგენცია და ერთობა“ ავტონომიის გაფართოების ნაცვლად დამოუკიდებლობას ელიტური კორუფციის გამო ითხოვს. ამ მოსაზრებას კატალონიის ავტონომიური მთავრობის ყოფილი ხელმძღვანელის, ჯორდი პუჟოლისა და მისი შვილის კორუფციული სკანდალიც ამყარებს. 84 წლის ნაციონალისტი პოლიტიკოსის მიმართ კითხვები ოფშორულ ზონაში დარეგისტრირებულ ანგარიშებსა და

სახელმწიფო გადასახადების დამალვასთან დაკავშირებით რამდენიმე თვის წინ გაჩნდა. პუჟოლი, რომელსაც კატალონიის პრეზიდენტის თანამდებობა 23 წლის განმავლობაში ეკავა, ბრალდებებს უარყოფს. მიუხედავად ამისა, ესპანურ პრესაში არაერთხელ დაინერაიმის შესახებ, რომ კატალონიის სეცესიისკენ ლტოლვა მხოლოდ და მხოლოდ კორუმპირებული მთავრობის ბინძური საქმიანობის გადაფარვას ემსახურება.

კატალონიაში დამოუკიდებლობის შესახებ რეფერენდუმის ჩატარება მაგალითი იქნება რამდენიმე ავტონომიისთვის. მადრიდში სჯერათ, რომ მოქმედი კონსტიტუციის ფარგლებში ვერცერთი ავტონომია დამოუკიდებლობას ვერ მოიპოვებს, თუმცა ძნელი მისახვედრი არ არის, რომელი რეგიონი მოითხოვს ავტონომიის უფლებების გაფართოებას. ესენია გალისია, ბალეარის კუნძულები და შესაძლოა, მათ კვალდაკვალ მოთხოვნა კანარის კუნძულებმაც წამოაყენოს, თუმცა ამ მხრივ პირველობას ბასკეთი არც ერთ ავტონომიას არ დაუთმობს.

ქვეყნის ჩრდილოეთით მდებარე ერთ-ერთი უმდიდრესი ავტონომია – ბასკეთი, იგივე ეუსკადი, როგორც ბასკები სამშობლოს თავიანთ უძველეს ენაზე უწოდებენ, ათწლეულების განმავლობაში დასავლეთ ევროპის ყველაზე დიდი სატყეო იყო. ბასკეთის დამოუკიდებლობის იდეას ტერორისტულმა ორგანიზაცია „ეტამ“ ათასამდე უდანაშაულო ადამიანი მსხვერპლად შესწირა. ტერაქტების გამო ბასკებისთვის ნაციონალიზმი მტკივნეულ საკითხად, სეპარატიზმი კი სახიფათო მოვლენად იქცა.

ტერორისტული ორგანიზაციის განიარაღების შემდეგ ბასკეთში ვითარება საგრძნობლად შეიცვალა. 2012 წლის არჩევნებში, ნაციონალისტური პარტიის გამარჯვების მიუხედავად, ბასკეთის დამოუკიდებლობას ავტონომიის მოსახლეობის მხოლოდ 25% უჭერს მხარს.

რამდენიმე კვირის წინ ბასკეთის მთავრობის ხელმძღვანელმა ინიგო ურკულომ მარიანო რახოსის მისამართით ირონიით აღნიშნა, რომ საინტერესოა, რას სთავაზობს ბასკეთს მა-

დრიდი, თუ არა შოტლანდიურ გზას. სწორედ შოტლანდიის რეფერენდუმი იქცა ერთგვარ შთაგონებად როგორც ესპანეთისთვის, ასევე სხვა ევროპული სახელმწიფოების სეპარატისტული დაჯგუფებებისთვის. მაგრამ ესპანეთი მაინც ევროკავშირის ყველაზე რთულ ამოცანად რჩება, სადაც სეცესიის მუდმივ საფრთხეს, ესპანეთის სოციალისტური პარტიის ღრმა რწმენით, მხოლოდ ფედერალურ სახელმწიფოდ გარდაქმნა დაუსვამს წერტილს.

გზავნილი ქონაშრობიდან – სეპარატიზმი, რომორც პირუსი

მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ, შიმშილით, ცხედრებითა და უიმედობით სავსე ევროპაში ყველაზე ოპტიმალური გადაწყვეტილება ევროპული სახელმწიფოების მსხვილი პოლიტიკური გაერთიანების შექმნა იყო. მართლაც, ეს ახალი ხანის დასაწყისი და ომების ბნელი ეპოქის დასასრული აღმოჩნდა. თუმცა ალბათ ეჭვი არავის შეჰპარვია, რომ ეს უზარმაზარი ევროპული ოჯახი ამერიკის შეერთებული შტატების მსგავსად მტკიცე და კონსოლიდირებული ვერასოდეს იქნებოდა. გარდა ამისა, მულტინაციონალური მოზაიკით აწყობილ ერთობაში სეპარატიზმის საფრთხე ყოველთვის იარსებებდა.

შოტლანდიიდან ვირუსივით გავრცელებულ დამოუკიდებლობის წყურვილს ერთი მნიშვნელოვანი დეტალი ახლავს თან, რაც ყველა სეპარატისტულმა რეგიონმა უნდა გაითვალისწინოს. რეფერენდუმის უფლება შოტლანდიელებმა ედინბურგის შეთანხმების თანახმად მოიპოვეს, რისთვისაც შოტლანდია ორი წლის განმავლობაში ემზადებოდა.

რეფერენდუმის შედეგმა, რომელმაც ცხადყო, რომ კელტების შთამომავლების 55% გაერთიანებულ სამეფოში დარჩენას უჭერს მხარს, მსოფლიოს გარანტია მისცა, რომ შოტლანდიის დამოუკიდებლობის საკითხი რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში დღის წესრიგში აღარ დადგება. ამ საკითხზე პრემიერ-მინისტრმა დევიდ ქემერონმა საკმაოდ ემოციურად ისაუბრა და აღნიშნა, რომ გაერთიანებულ სამეფოს

შოტლანდიასთან ერთად უკეთესი მომავალი აქვს.

შოტლანდიის რეფერენდუმის შედეგები მხოლოდ დიდი ბრიტანეთის მომავლის განმსაზღვრელი არ ყოფილა. დამოუკიდებლობის შემთხვევაში, ევროკავშირისა და გაერთიანებული სამეფოს მიღმა დარჩენილი შოტლანდია, მთელ ევროპაში სრულიად ახალ და სახიფათო პროცესებს გამოიწვევდა. დღეს თითოეული რეგიონის დამოუკიდებლობის მოთხოვნას ძირითადად ეკონომიკური ხასიათის მიზეზები უდევს საფუძვლად.

ორენოვან ბელგიაში, ფლანდრიის ავტონომიის პარლამენტში უმრავლესობას სწორედ ნაციონალისტურ-კონსერვატული პარტია (ახალი ფლამანდური ალიანსი) წარმოადგენს, რომლის მხარდამჭერები არ მალავენ, რომ მდიდარი ფლანდრია შედარებით ღარიბ ფრანგულენოვან ვალონიას უნდა გამოეყოს. რამდენიმე ათწლეულია სეპარატისტული მოძრაობა იტალიის ჩრდილოეთით მდებარე ყველაზე მდიდარ ავტონომიებშიც მძვინვარებს, როგორცაა ლომბარდიისა და პადანიის რეგიონები. ეს უკანასკნელი იტალიის ყველაზე მდიდარი რეგიონია, სადაც სეპარატისტული ჩრდილოეთის ლიგა არ მალავს, რომ არ სურთ, სამხრეთის ღარიბი ქალაქები თავიანთი გადასახადებით არჩინონ. ევროზონის ეკონომიკურმა კრიზისმა ასეთი განწყობა კიდევ უფრო გაამძაფრა. სეპარატისტული ტალღა ასევე საკმაოდ ძლიერია კორსიკაზე, სადაც 40 წელზე მეტია სეპარატისტული ძალები დამოუკიდებლობისთვის იბრძვიან.

არსებული ვითარებიდან გამომდინარე, რეალურია გვეჯეროდეს, რომ ერთ დღესაც კალიდოსკოპი დატრიალდება და მსოფლიო ახალბურთად გადანაწილებულ ევროპას მიიღებს. მით უმეტეს, კოსოვოს პრეცედენტის შემდეგ, ბევრი მათგანი ევროპის დაქუცმაცებას სამართლიან შურისძიებადაც შეაფასებს. თუმცა, მიუხედავად ყველაფრისა, ევროკავშირის ქვეყნებში კარგად იციან, რას ნიშნავს პატრიოტიზმის ბნელი მხარე – ნაციონალიზმი, რასაც თითქმის ყოველთვის სავალალო შედეგი ახლავს თან. **□**

გადაცემა „წიგნები“ – ცხოვრება ლიტერატურაში



პერსონაჟები წიგნებში ცხოვრობენ, წიგნები – ჩვენს სამყაროში. თუმცა ისეც ხდება, რომ პერსონაჟი მხატვრულიდან რეალურ სამყაროში მკვიდრდება, მკითხველი კი გამოგონილ, წარმოსახულ რეალობაში არჩევს ცხოვრებას.

რეალურსა და ირეალურ სამყაროს შორის არსებული ზღვარი საკმაოდ მკრთალია და ამაში ყოველ ხუთშაბათს, 18 საათზე, გადაცემა „წიგნების“ მოსმენისას დარწმუნდებით.


წლებისა და საუკუნის წინანდელი ლიტერატურული გზავნილები, ლექციები ქართულ ლიტერატურაზე, ძველი და თანამედროვე კლასიკა, თანამედროვე პროზა, მუსიკა, მხატვრობა და ცენზურა ლიტერატურაში, ლიტერატურა კი კინოში – ამ და სხვა თემების შესახებ გადაცემის ავტორი და წამყვანი ლევან ბერძენიშვილი მოწვეულ სტუმრებთან ერთად საუბრობს.

საუბარი კონკრეტული წიგნისა თუ ავტორის შესახებ, იმ ეპოქის მიმოხილვა, რა დროსაც ნაწარმოები იქმნებოდა, მწერლობაში არსებული ტენდენციებისა თუ მიმდინარეობების გამოკვეთა, იმ უცნობი დეტალებისა და პარალელების ხაზგასმა, რომელიც ამა თუ იმ ნაწარმოებთან და მოვლენასთან პირდაპირ ან ირიბ კავშირშია, ერთგვარად აერთიანებს და სწორად ალაგებს ლიტერატურული ფაზლის იმ ნაწილებს, რომელსაც თავად ნაწარმოებში ვერ ამოიკითხავთ.

„ვეფხისტყაოსანი“, „სიბრძნე სიცრუისა“, „გზაზე ერთი კაცი მიდიოდა“, „ალუდა ქეთელაური“, „ილიადა“ და „ოდისეა“, „სოკრატეს აპოლოგია“, „მედეა“, „ანტიგონე“, „გარგანტუა და პანტაგრუელი“, „ღვთაებრივი კომედია“, „მეფე ლირი“, „ფაუსტი“, „დონ კიხოტ ლამანჩელი“, „დანაშაული და სასჯელი“, „ემშაკნი“, „მოზი დიკი“, „სიკვდილი ვენეციაში“, „პროცესი“, „ოსტატი და მარგარიტა“, „მისტერიები“, „ტრამალის მგელი“, „უცხო“, „შავი ჭირი“, „ხმაური და მძვინვარება“, „ვიქნები თუნდაც განტენბაინი“, „დუბლინელები“, „1984“, „ნანკინელი ქრისტე“, „პატრიოტიზმი“, „მარტოობის ასი წელიწადი“, „ვარდის სახელი“, „თამაში ტვავის ყანაში“, „გზაზე“, „მებრძოლთა კლუბი“, „მე წითელი მქვია“, „ელემენტარული ნაწილაკები“ – ეს გადაცემა „წიგნებში“ განხილული იმ ნაწარმოებების არასრული ჩამონათვალია, რომელთა მოსმენაც „ჯეოსელის“ და რადიო „შოკოლადის“ Facebook-ის გვერდებზე შეგიძლიათ.

რადიოგადაცემების პარალელურად „წიგნები“ მსმენელთათვის და, ზოგადად, წიგნის მოყვარულთათვის შეხვედრებსაც მართავს. „წიგნებისა“ და მკითხველის კომუნიკაციას გადაცემის სპონსორი კომპანია „ჯეოსელი“ უზრუნველყოფს. პირველი ორი შეხვედრა თბილისსა და ბათუმში შედგა. თბილისში გადაცემის ავტორმა და წამყვანმა ლევან ბერძენიშვილმა გერმანულ ლიტერატურაზე ისაუბრა, ბათუმის ინტერაქციული ლექციის თემა კი „ზღვა და ლიტერატურა“ იყო. მსმენელთან შეხვედრების ფარგლებში მომდევნო ლექცია ქუთაისში გაიმართება.

გადაცემა „წიგნებს“ რადიო შოკოლადი და „ჯეოსელი“ წარმოგიდგენთ. ერთად ვიმეგობროთ წიგნებთან!



ლევან ბერძენიშვილის საავტორო გადაცემას
ნახმოვიდგენთ ხაიში „შოკოლადი“ FM98.5 და ჟეოსელი
www.facebook.com/geocell



ეპისკოპოსი ხაბიძის სამსახურში

ინტერვიუ კიევისა და სრულიად რუს-უკრაინის პატრიარქ ფილარეტთან

სამხრეთ კორეის დედაქალაქიდან თბილისამდე 14-საათიანი ფრენის შემდეგ თვითმფრინავის დანახვა აღარ მინდა. თუმცა თბილისში დაბრუნებიდან მეორე დღესვე იძულებული ვარ კიევში გავფრინდე ერთ მნიშვნელოვან შეხვედრაში მონაწილეობის მისაღებად. აეროპორტში მხვდება კიევის საპატრიარქოს წარმომადგენელი, არქიმანდრიტი კირიონ ინასარიძე. კირიონი კიევის საპატრიარქოს საგარეო განყოფილების გამგის მოადგილე და ჩემი ძველი მეგობარი

ბარია თბილისიდან. 21 წელი კირიონი ილია მეორის სტიქაროსანი იყო.

ნითულ მიკროავტობუსზე, რომელიც მას ემსახურება, ახალგაზრდა გამოუცდელი ბიჭი ზის. ბიჭს ქერა თმა მოკლედ აქვს შეკრეჭილი და გაჯინული ყბები მეჩხერი ქერა წვერით აქვს დაფარული. როგორც შევატყვევ ეს ბიჭი არქიმანდრიტს ნერვებს უწინკნის.

ახლა საით? – კითხულობს მძლოლი კიევის ქუჩებში მოძრაობისას.

მარცხნივ, – პასუხობს არქიმანდრიტი.

მარცხნივ, ხომ? – იმეორებს მძლოლი მორიდებულად.

დიახ, მარცხნივ, მარცხნივ, – უკვე ბრაზმორეული პასუხობს კირიონი. მძლოლი საჭეს ატრიალებს და მარჯვნივ უხვევს! კირიონი დასაბმელი ხდება, ცოფებსა ყრის და ქართულად ილანძვება... მე ბოროტად ვხალისობ განინმაცტებულ არქიმანდრიტზე და ვცდილობ დავამშვიდო.

ქალაქი განსხვავებულად გამოიყურება. ბოლოს აქ თებერვალში ვიყავი, მაიდანზე რომ ისეროდნენ მაშინ...

ის, რაც ახლა ყველაზე მეტად მეცა თვალში, ეს უკრაინის დროის ფერების სიმრავლეა. საითაც არ უნდა გაიხედოთ, ყველგან მოჩანს ყვითლად და ლურჯად შეღებილი ლამპიონის ძირები, ლობები, გზის პირას გამწკრივებული ბოძები...

სასტუმროში სწრაფად დაგვინავდი და მაშინვე პატრიარქთან შეხვედრაზე გვეშურე.

პატრიარქთან შეხვედრამ, რომელზეც მთავარეპისკოპოსი ილარიონი, არქიმანდრიტი კირიონი და მშვიდობის ელჩი იოჰან კანდელინი ესწრებოდნენ, შესანიშნავად ჩაიარა. თარჯიმნობის პატივი ამ შეხვედრაზე მე მარჯუნეს. შეხვედრა რომ დამთავრდა, პატრიარქს ვთხოვე, რომ ინტერვიუს ჩამორთმევა მინდოდა მისთვის. მაშინვე დამთანხმდა და მეორე დღეს საპატრიარქოში ადრე დამიბარა.

მოუხედავად ჩვენი ბედოვლათი მძღოლის დაბნეულობისა, მე და არქიმანდრიტი კირიონი მეორე დღეს თავის დროზე მივედით საპატრიარქოში. საპატრიარქო ქალაქის ცენტრში მდებარეობს, თუმცა ძალიან მოკრძალებული შენობაა. პატრიარქი თვითონაც ძალიან მოკრძალებულად ცხოვრობს. უკვე 85 წლისაა, დაუფერებელი ენერგიითაა სავსე. ეკლესიის იერარქებს შორის ასეთი უკიდურესობებიც შეიძლება ნახოთ, ზოგი იერარქი მთელ თავის ცხოვრებას მცონარობაში ატარებს, ზოგი თავს აკლავს საქმეს. პატრიარქი ფილარეტი იმით გამოირჩევა, რომ ის მკაცრად უნაცვლებს ერთმანეთს დაუღალავ შრომასა და საფუძვლიან დასვენებას. ამიტომაც იგი უამრავი საქმის კეთებას ახერხებს. მან თანამედროვე უკრაინულ ენაზე თარგმნა ბიბლია, რომელიც უკვე ორჯერ თუ სამჯერ მრავალათასიანი ტირაჟით გამოიცა. მისსავე კალამს ეკუთვნის უკრაინულად ლიტურგიკული ნიგნების სრული კორპუსის თარგმანი. ის დიდი მოღვაწე და ფუტკარივით მშრომელი ადამიანია.

პატრიარქის მოსაცდელში ვერ მარტო მე და არქიმანდრიტი კირიონი ვართ. ნელ-ნელა მოდიან საერო და სასულიერო პირები. ყველა პატრიარქთან შეხვედრას ელოდება. პატრიარქის მდივანი გამოდის და შეხვედრაზე შევდივართ. პატრიარქი გრძელი თეთრი მაგიდის

თავში ჯდება. სახეზე სასიამოვნო ღიმილი დასთამაშებს. პირველად პატრიარქ ფილარეტს ნარინჯისფერი რევოლუციის დროს შევხვდი, დეკანოზ ბასილ კობახიძესა და მამა ზაზა თევზაძესთან ერთად. მაშინაც ამავე ადგილას ვისხედით ამ თეთრ მაგიდასთან და უკრაინის ბედზე ვსაუბრობდით.

პატრიარქ ფილარეტს საეკლესიო ცხოვრებისა და ეკლესიისა და სახელმწიფოს ურთიერთობის უზარმაზარი გამოცდილება აქვს. იყო დრო, როცა იგი მოსკოვის საპატრიარქოს ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი იერარქი იყო. ამიტომ მოსკოვის საპატრიარქოს შიდა სამზარეულოს კარგად იცნობს. რუსეთის პატრიარქი პიმენი რომ გარდაიცვალა, ახალი პატრიარქის არჩევამდე რუსეთის ეკლესიის საპატრიარქო ტახტის მესაყდრე ფილარეტი იყო. მაგრამ მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა, ფილარეტი ახლა უკრაინის დამოუკიდებელი ეკლესიის მეთაურია და, მოუხედავად მოსკოვის საპატრიარქოს მუქარისა და დევნისა, იგი ოლიმპიური სიმშვიდით შემოსილი მართავს თავისუფლებისმოყვარე და რელიგიური ფანატიზმისაგან განძარცვულ ეკლესიას.

პატრიარქი ქათქათა წვერზე ხელს ისვამს და მეკითხება – „დავინყოთ?“ – „დავინყოთ“ – მეც ღიმილით ვპასუხობ და ანაფორის ვიბიდან წინდანინ მომზადებულ კითხვებს ვაძრობ. ასე ვინცებ ინტერვიუს ადამიანთან, რომელიც რუსეთთან ომის პირობებში უკრაინის თავისუფლებისა და ეროვნული ერთობის სიმბოლოდ იქცა.

როგორ აფასებთ იმას, რაც დღეს უკრაინაში ხდება? რა მდგომარეობაა ახლა ქვეყანაში?

მდგომარეობა რთული კია, მაგრამ უიმედო არ არის. იმიტომ, რომ ჩვენი ხალხი წინ აღუდგა აგრესიას და გაერთიანდა. თუკი აქამდე ხალხში ერთგვარი როგორც პოლიტიკური, ისე არაპოლიტიკური დაქსაქსულობა შეინიშნებოდა, ახლა რუსეთს აგრესიის საპირსონედ უკრაინელმა ხალხმა სუვერენიტეტის დასაცავად გაერთიანება დაიწყო – ეს ერთი. მეორეც, იმის გამო, რომ უკრაინას აქამდე მტერი არ ჰყავდა, მას გა-

საყოფი და საომარი არავისთან ჰქონდა. ამიტომ სახელმწიფო ჯარს ყურადღებას არ აქცევდა – არმია მოუზმადებელი აღმოჩნდა ასეთი აგრესიისთვის. მაგრამ, როდესაც გამოჩნდა აგრესორი, მოძმე რუსეთის სახით, უკრაინამ თავის ჯარზე ზრუნვა დაიწყო, რასაც ხალხიც უჭერს მხარს. ამიტომ გროვდება შემოწირულობები სამხედროებისთვის. რაკი ადამიანები შემოწირულობების შეგროვებაში იღებენ მონაწილეობას, ესე იგი, ისინი უკრაინული სახელმწიფოს ირგვლივ ერთიანდებიან. ჩვენ შორის გაჩნდნენ დევნილები, დაჭრილები, დახოცილები. ამან თანაგრძნობა გააღვივა.

ამ საქმეში ეკლესიაც მონაწილეობს?

დიახ! ჩვენმა ეკლესიამ ბოლო ორი-სამი თვის განმავლობაში ათას ტონაზე მეტი ჰუმანიტარული ტვირთი შეაგროვა. ეს არის კვების პროდუქტები, ჯავშან-ფილეტები, მედიკამენტები... ასეთი ქმედებები აერთიანებს უკრაინელ ხალხს. გარდა ამისა, იმის გამო, რომ სიმართლე ჩვენს მხარეზეა, უკრაინის მიმართ თანაგრძნობას იჩენს ევროპა, შეერთებული შტატები და არა მარტო ისინი, არამედ ისეთი ქვეყანაც, როგორც საქართველო.

ცხადია, საქართველოში კარგად გვესმის რას ნიშნავს რუსეთის აგრესია. ჩვენ ვერც არ მოგვიშუშებია 2008 წლის რუსეთთან ომით მიღებული ქრილობები. კონკრეტულად საქართველოს თანაგრძნობა რაში გამოიხატება?

ჩვენ მიმართ ყველაზე დიდ თანაგრძნობას იჩენენ პოლონეთი და საქართველო. საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი სააკაშვილი ხშირად ჩამოდის აქ და ურთიერთობა აქვს ჩვენთან.

რაში ხედავთ რუსეთთან კონფლიქტის მთავარ მიზეზს?

პრობლემა ის არის, რომ რუსეთის წარსულის უკან დააბრუნება სურს. ანუ მას უნდა რომ კვლავ ზე-სახელმწიფოდ იქცეს. ხოლო იმისთვის, რომ ზე-სახელმწიფოდ იქცეს, მას ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკების დაბრუნება სჭირდება. ეს პროცესი დაიწყო ჩეჩნეთით, აფხაზეთით, შემდეგ გაგრძელდა

საქართველოზე თავდასხმით, შემდეგ უკრაინაზე გალაშქრებით, იმიტომ, რომ მან აქ ხელჩასაჭიდი ნახა ყირიმის სახით. ყირიმი 1954 წლამდე რუსეთის ფედერაციაში შედიოდა. 1954 წელს საბჭოთა ხელისუფლებამ ნიკიტა ხრუშოვის დროს ყირიმი უკრაინას გადასცა.

საბჭოთა ხელისუფლებას უკრაინელების გულის მოგება უნდოდა? თუ რატომ გადასცა მათ ყირიმი?

არა, ყირიმი ადრე ყირიმელი თათრებით იყო დასახლებული. სტალინის დროს, როდესაც ყირიმელი თათრები გადაასახლეს, მათ ადგილას ჩაასახლეს უკრაინელები და პენსიაზე გასული რუსი სამხედრო მოსამსახურეები. ასე აღმოჩნდნენ უკრაინელები და რუსები ყირიმელი თათრების ადგილას.

მოსკოვმა გადაწყვიტა, რომ ისევ ჩაედო ხელში ყირიმი. მაგრამ აქ იყო ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი: როდესაც უკრაინამ დამოუკიდებლობა მოიპოვა, მან უარი თქვა ბირთვულ იარაღზე. ეს მაშინ, როდესაც უკრაინა რიგით მესამე სახელმწიფო იყო ბირთვული ამერიკისა და რუსეთის შემდეგ. უკრაინის გარდა, ბირთვულ იარაღზე არცერთ სახელმწიფოს არ უთქვამს უარი. უკრაინამ ეს ნებაყოფლობით გააკეთა. იმიტომ, რომ ის მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოა. ამ გადაწყვეტილების საპასუხოდ, უკრაინის ტერიტორიულ ერთიანობაზე პასუხისმგებლობა შეერთებულმა შტატებმა, რუსეთმა და დიდმა ბრიტანეთმა იკისრეს.

ირონია ის არის, რომ რუსეთი, როგორც უკრაინის ტერიტორიული მთლიანობის ერთ-ერთი გარანტი თვითონ დაესხა თავს უკრაინას და ყირიმი ხელიდან იმ საბაბით გამოსტაცა, რომ თითქოს ეს ყირიმის მოსახლეობის სურვილი იყო. ყირიმში მათ „მწვანე კაცუნები“, ანუ სამხედრო სპეციალისტები გამოგზავნეს თავიანთი მიზნების განსახორციელებლად.

რუსეთი ყირიმს არ დასჯერდა და ახლა ცდილობს აღმოსავლეთის მხარე მოწყვიტოს უკრაინას. დონბასში, ცხადია, თავისი დასაყრდენი ძალები ეგულება.

დონბასში არის ხალხი, რომელიც უკმაყოფილოა ცხოვრებისეული პირო-

ბებით. უკრაინას შეეძლო და ახლაც შეეძლებოდა ამ პრობლემის მოგვარებას, რუსეთი რომ არ შემოჭრილიყო ჩვენს ქვეყანაში. რუსეთი აცხადებს, რომ ის ომს არ აწარმოებს, რომ თითქოს უკრაინაში მიმდინარეობს სამოქალაქო ომი უკრაინის მოქალაქეებსა და იმ ხალხს შორის, რომელთაც უნდათ უკრაინის მიწა-წყალზე შექმნან დონეცკის სახალხო რესპუბლიკა, ლუგანსკის სახალხო რესპუბლიკა. თითქოს რუსეთი ამ ყველაფერში მონაწილეობას არ ლეზულობს. თუ ეს სიმართლეს შეესაბამება, მაშ მითხარით, ეს ასობით ტანკი საიდან გაჩნდა დონბასში? ვინ მისცა სეპარატისტებს ეს ტანკები? მალაზიაში იყიდეს? ხომ აშკარაა, რომ მათ ტექნიკით რუსეთი ამარაგებს. სხვანაირად როგორ გაჩნდებოდა სეპარატისტების ხელში ისეთი თანამედროვე სამხედრო მოწყობილობები, როგორიცაა „გრადი“, „უროგანი“, „სმერჩი“, რომელიც რუსეთის ჯარის აღჭურვილობის ნაწილია. ასევე სამხედრო ექსპერტებიც რუსეთიდან არიან. მოსკოვი ამბობს, რომ რუსი სამხედროები არ იმყოფებიან უკრაინის ტერიტორიაზე. თუ ეს ასეა, რატომ მიაქვთ რუსეთში კუბოები და ცხედრები? თანაც დალუპულ სამხედროებს თავიანთი სახელით კი არ მარხავენ, არამედ ნომრით, იმისათვის, რომ გასაიდუმლოებული იყოს, ვინ არის იქ დამარხული. დალუპულების დედებს ეუბნებიან, რომ არ გათქვან, სად დაილუპნენ მათი შვილები, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში არ მიიღებენ სახელმწიფოსგან სოციალურ დახმარებას. ყოველივე ეს იმას მონიშნავს, რომ რუსეთის ჯარი უკრაინის მიწა-წყალზე იმყოფება და ის ამარაგებს სეპარატისტებს იარაღით.

იმასაც ამბობენ, რომ იარაღის შემოსატანად რუსეთი ჰუმანიტარული ტვირთით დატვირთული მანქანების კოლონებსაც იყენებს...

მათ თეთრად გადაღებეს ასობით „კამაზის“ ტიპის სატვირთო მანქანა, თითქოს ჰუმანიტარული დახმარება გადმოჰქონდეთ უკრაინაში. ფაქტობრივად ამ მანქანებით შემოაქვთ იარაღი. თუ მათ მართლა დახმარების განევა უნდათ, უკრაინა ამის წინააღმდეგი არ

არის. მაგრამ უკრაინა ითხოვს, რომ ჰუმანიტარული დახმარება წითელი ჯვრის ორგანიზაციამ გააკონტროლოს. ისინი წინააღმდეგი არიან ასეთი კონტროლისა, საერთაშორისო წითელ ჯვარს ამის უფლებას არ აძლევენ. ამავ დაცლილი მანქანებით უკრაინიდან სამხედრო ქარხნების მოწყობილობები გააქვთ. ისინი უკრაინაში შლიან სამხედრო ქარხნებს და დაშლილი სამხედრო მანქანა-დანადგარები რუსეთში მიაქვთ. ამიტომ არ უნდათ, ვინმემ გააკონტროლოს ეს მანქანები. ერთხელ საერთაშორისო ჟურნალისტებს მისცეს უფლება, შეემონებინათ ერთი თუ ორი სატვირთო მანქანა. აღმოჩნდა, მანქანაში იყო მაროლი და წყალი. სხვა სატვირთო მანქანების გაჩხრეკის უფლება მათ არ მისცეს. დასკვნა ასეთია – რუსეთი განუწყვეტლივ ამარაგებს იარაღით ტერორისტ სეპარატისტებს.

დონბასი რომ ხელში ჩაიგდოს რუსეთმა, ამას დასჯერდება და გაჩერდება?

არა! ახლა რუსეთმა მიზნად დაისახა კორიდორი გაჭრას აზოვის ზღვის გაყოლებაზე ყირიმის მიმართულებით. რატომ? იმიტომ, რომ ყირიმის ოკუპაციის შედეგად ნახევარკუნძულის მოსახლეობა შავ დღეში აღმოჩნდა. არა აქვთ საკმარისი სასმელი წყალი, ელექტროენერგია, საკვები პროდუქტები. არ გააჩნიათ რუსეთთან სახმელეთო გზა, რომ იქიდან მიიღონ დახმარება. თავიდან იფიქრეს ნახევარკუნძულს ბორნით მოამარაგებდნენ, მაგრამ ბორნით ამდენი მომარაგების გადაზიდვა შეუძლებელია. ამიტომ უნდათ, აზოვის ზღვის სანაპიროს გაყოლებაზე გაიკეთონ ყირიმთან დამაკავშირებელი გზა. ამიტომ გაგზავნეს იქ ასი ტანკი, აიღეს ქალაქი ნოვოაზოვსკი, ახლა უახლოვდებიან მარიუპოლს. მარიუპოლში ხალხი ფეხზე დადგა, დაიწყეს სანგრების თხრა, გამოსვლების მოწყობა, არ უნდათ რუსების შემება. ახლა იქ დაპირისპირებაა. პუტინს სურს, დონბასის შემდეგ ხელში ჩაიგდოს სამხრეთ უკრაინა: ზაპოროჟიე, ნიკოლაევი, ხერსონი, ოდესა და შეუერთდეს დნეპრისპირეთს. მომდევნო გეგმებში შედის რუმინეთის, პოლონეთის და ბალტიისპირეთის ქვეყნების დაპყრო-

ბა. ამის შესახებ პუტინმა პოროშენკოს პირდაპირ განუცხადა. მას უთქვამს ორ დღეში ავიღებო ბუქარესტს, ვარშავას, ვილინიუსს, რიგასა და ტალინს. კიევის აღებაზე ორი კვირა დამჭირდებაო. ასე რომ, პუტინი სულაც არ მალავს აგრესიულ მისწრაფებებს არამარტო უკრაინის, არამედ ნატოს და ევროკავშირის წევრი ქვეყნების მიმართაც.

პუტინი ახლა იმით სარგებლობს, რომ რუსეთის აგრესიასთან მიმართებაში არც ევროკავშირში და არც ნატოს მოკავშირეებს შორის ერთობა არ არის. ამიტომაც უკრაინა მარტო ებრძვის რუსეთს და რუსეთის მიერ ნაქეზებულ სეპარატისტებს. ევროპა თანაუგრძნობს უკრაინას, ძალიან თანაუგრძნობს: აძლევს პუმანიტარულ დახმარებას. მაგრამ მას არ სურს უკრაინისთვის ისეთი დახმარების განწევა, რომ მან შეძლოს აგრესორის შეჩერება. რატომ არ სურს? იმიტომ, რომ არ სურს ომის გაჩაღება. ითხოვს მოლაპარაკების გზით ამ კონფლიქტის მოგვარებას. უკრაინაც ყველაფერს აკეთებს, რათა მშვიდობიანი მოლაპარაკებებით ამოიწუროს კონფლიქტი. პოროშენკო, ჩვენი პრეზიდენტი, შეხვდა მერკელს, პუტინს, ევროკავშირის წარმომადგენლებს. ასე რომ, უკრაინა მშვიდობიანი გზის მომხრეა. მინსკშიც იყო შეხვედრა ეუ-თოს, უკრაინის (იქ კუჩმა იყო ჩასული) და ასევე, ეგრეთ წოდებული, სახალხო რესპუბლიკების წარმომადგენლების. მინსკში შეთანხმდნენ ცეცხლის შეწყვეტაზე, დაზავებაზე. უკრაინა ასრულებს შეთანხმებას, ისინი კი, არღვევენ. ჩვენი ეროვნული გვარდიის ცნობით, სეპარატისტებმა, შეთანხმების მიუხედავად, სულ რაღაც ათი დღის განმავლობაში უკვე 400-ჯერ გახსნეს ცეცხლი.

ახლა მთელი მსოფლიო ხედავს, რომ რუსეთი აგრესორია და უსირცხვილოდ ცრუობს. აქედან ის თავს ვერ დაიჭრენს. ყველასთვის აშკარა გახდა, რომ რუსეთს ვერ ენდობი. რუსეთმა ხელი მოაწერა საერთაშორისო ხელშეკრულებას, რომ იქნებოდა გარანტი. ხელი მოაწერა და დაარღვია.

ის, რასაც ახლა პუტინი აკეთებს, ძალიან ჰგავს იმას, რასაც ჰიტლერი აკეთებდა ევროპაში. როგორც ჩანს ის-

ტორიიდან გაკვეთილებს ვერც ევროპა სწავლობს და ვერც დანარჩენი მსოფლიო.

ახლა, პუტინი აშკარად იტყუება, მთელი მსოფლიოს გასაგონად, ამბობს, არ ვომობო. არადა, ომობს. ასეთ პირობებში ევროპა გადამწყვეტ ზომებს რომ არ ღებულობს, ეს დანაშაულის ტოლფასია. თავიდან ჰიტლერმაც ჯერ ავსტრია

■ ჩვენმა ეკლესიამ ბოლო ორ-სამი თვის განმავლობაში ათას ტონაზე მეტი ჰუმანიტარული ტვირთი შეაგროვა. ეს არის კვების პროდუქტები, ჯავშან-ჟილეტები, მედიკამენტები... ასეთი ქმედებები აერთიანებს უკრაინელ ხალხს. გარდა ამისა, იმის გამო, რომ სიმართლე ჩვენს მხარეზეა, უკრაინის მიმართ თანაგრძნობას იჩენს ევროპა, შეერთებული შტატები და არა მარტო ისინი, არამედ ისეთი ქვეყანაც, როგორც საქართველოა.

აილო მერე სუდეტები ჩეხეთში. მაშინ ევროპა ხმას არ იღებდა და ამას იმით ამართლებდა, რომ ავსტრიაშიც და სუდეტებშიც გერმანულენოვანი ხალხი ცხოვრობდა. ამის გამო ჩათვალეს, რომ არ ღირდა ჰიტლერთან დაპირისპირება. რაკი ჰიტლერს ეს გაუვიდა, მან ჯერ ჰოლანდია დაიპყრო, მერე დანია და მერე მათ მთელი ევროპა მიაცოლა. ხელი ევროპის დუმლიმა შეუწყო. ჰიტლერთან მოლაპარაკების შემდეგ ჩემბერლენმა ბრიტანელებს აუწყა მშვიდობა მოგიტანეთო. მაშინაც მშვიდობიანად უნდოდათ მოგვარებინათ კონფლიქტი აგრესორთან. აგრესორებს, სინამდვილეში, მხოლოდ ძალისა ეშინიათ და ამიტომ აგრესია ყოველთვის

ჩანასახშივე უნდა მოიხსოს. თუ ეს ასე არ მოხდა, აგრესორი უფრო გაძლიერდება და უფრო მეტ უბედურებას დაატრიალებს. ასე გაჩაღდა მეორე მსოფლიო ომი. აგრესორთან მოლაპარაკებით ჩემბერლენმა მშვიდობა მოიპოვა?! მშვიდობის მაგივრად ომი მიიღო. იგივე შეიძლება მოხდეს პუტინთან მიმართებაშიც. პუტინი ხედავს, რომ ყირიმი მიითვისა, გაუვიდა, ახლა დონბასის ჯერია და უკრაინა დათმობაზე მიდის. ევროპას ყველაფრის მშვიდობიანი გზით მოგვარება იმიტომ უნდა, რომ იგი ფინანსურად და ეკონომიკურად რუსეთთან არის დაკავშირებული და არ უნდა ფინანსური და ეკონომიკური უპირატესობების დაკარგვა. პუტინი ხედავს, რომ ჩეხეთი მას მხარს უჭერს, ასევე საფრანგეთი, გერმანია. სანქციებზე ბევრს ლაპარაკობენ, მაგრამ არ ახორციელებენ. თუ ახორციელებენ მხოლოდ ცალკეული პირების წინააღმდეგ: ვილაცას ევროპაში არ უშვებენ, ვილაცას – ამერიკაში. ეს კი რუსეთზე დიდ გავლენას ვერ ახდენს. ამერიკა, ევროპასთან შედარებით, უფრო გაბედულად იქცევა, როგორც უკრაინის დახმარების, ასევე აგრესორთან დამოკიდებულების საქმეში. სამწუხაროდ, ამერიკასა და ევროპას შორის ამ საკითხზე სრული თანხმობა არ არის. ამერიკას უფრო გადამწყვეტი ნაბიჯების გადადგმა უნდა, მაგრამ მას აკავებს ევროპა. პუტინიც ამით სარგებლობს. არც ევროპას, არც ამერიკას და, ცხადია, არც უკრაინას, არ სურთ მესამე მსოფლიო ომი, მაგრამ თავიანთი მოქმედებებით ისინი გზას უმზადებენ ომს. მესამე მსოფლო ომის დაწყება დამოკიდებული იქნება არა ევროპასა და ამერიკაზე, არამედ რუსეთზე. ამ ომს რუსეთი დაიწყებს.

რატომ ფიქრობთ, რომ რუსეთი მესამე მსოფლიო ომს დაიწყებს?

მოდით დავუკვირდეთ. პუტინმა თვითონ თქვა, რომ მას შეუძლია ნატოს წევრ ქვეყნებს დაესხას თავს. თუ ის ამას გააკეთებს, ეს მესამე მსოფლიო ომის დასაწყისი იქნება. თუ არ მოხდა აგრესიის ჩანასახოვან ეტაპზე განადგურება, ეს ხელს შეუწყობს, მესამე მსოფლიო ომის მომზადებას.



თქვენი აზრით ამ კონფლიქტებში რა როლს თამაშობს რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესია?

რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესია სრულად არის დამოკიდებული რუსეთის სახელმწიფოზე და სახელმწიფოსთან თანამშრომლობაზე. ეს ყოველთვის ასე იყო, და ახლაც ასეა. რუსეთის ეკლესია ხედავს, რომ მოძმე მართლმადიდებლებს ხოცავენ, მაგრამ მას არ შეუძლია სიტყვა დაძვას პუტინის წინააღმდეგ. ცხადია, მას არ შეუძლია სიმართლის თქმა, მაგრამ სიმართლის თქმას ვინღა ჩივის, რუსეთის ეკლესია იდეოლოგიურ ნიადაგს ამზადებს აგრესიის გასამართლებლად. როგორ ამზადებს? პატრიარქი კირილე უკვე რამდენიმე წელია ქადაგებს „რუსულ მშვიდობას“. „რუსული მშვიდობის“ იდეოლოგია ქადაგებს, რომ უკრაინელები და რუსები ერთი ერია. გამოდის, უკრაინელები ერს არ წარმოადგენენ. პუტინს არაერთხელ აქვს ნათქვამი, რომ არ არსებობს არანაირი უკრაინის სახელმწიფო, არანაირი უკრაინული ენა და ის, რასაც უკრაინულ ენას ეძახიან, სინამდვილეში ერთიანი რუსული ენის დიალექტია მხოლოდ. ამავსე ქადაგებს რუსეთის ეკლესიაც. გამოდის, ეკლესია ინფორმაციულ ბრძოლას აწარმოებს თავისი თანამოძმეების წინააღმდეგ. არამარტო მოსკოვში, არამედ მოსკოვის საპატრიარქოს დაქვემდებარებაში მყოფ უკრაინელ მართლმადიდებლებსაც არ შეუძლიათ სიმართლის თქმა. იმის ნაცვლად, რომ თავიანთი სამშობლოს დასაცავად დადგნენ, ამბობენ, ჩვენ მშვიდობისთვის ვლოცულობთო. კი მაგრამ რომელ მშვიდობაზეა აქ ლაპარაკი? ჩვენ გვინდა სამართლიანი მშვიდობა და არა ოკუპაციისა და მონობის მშვიდობა. აი, ასეთ როლს თამაშობს რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესია.

თუ მეორე მსოფლიო ომის დროს რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესია დადებით როლს ასრულებდა ფაშისტი აგრესორებისაგან სამშობლოს დასაცავად, ახლა რუსული ეკლესია აგრესორების სამსახურში დგას.

პუტინი თავს მორწმუნე ქრისტიანად მიიჩნევს. მასთან პირისპირ შეხვედრის

შესაძლებლობა რომ გქონდეთ, რას ეტყოდით როგორც მართლმადიდებელი მოძღვარი?

არ ვიცი პუტინს რას ვეტყოდი, ანდა ის თვითონ თუ მოისურვებდა ჩემთან შეხვედრას. მე პუტინის შესახებ გავაკეთე განცხადება, სადაც მას ვუნოდე ახალი კენი. კენი რატომ? იმიტომ, რომ პუტინი ხოცავს თავის ძმებს. თუ შენ ამბობ, რომ რუსები და უკრაინელები ერთი ხალხია, მამ რატომ ანადგურებ მათ? გარდა ამისა პუტინი ცრუობს,

■ ირონია ის არის, რომ რუსეთი, როგორც უკრაინის ტერიტორიული მთლიანობის ერთ-ერთი გარანტი თვითონ დაესხა თავს უკრაინას და ყირიმი ხელიდან იმ საბაბით გამოსტაცა, რომ თითქოს ეს ყირიმის მოსახლეობის სურვილი იყო. ყირიმში მათ “მწვანე კაცუნები”, ანუ სამხედრო სპეციალისტები გამოგზავნეს თავიანთი მიზნების განსახორციელებლად.

ზუსტად ისე, როგორც კენმა იცრუა, როცა უფალმა ჰკითხა მას - „სად არის შენი ძმა აბელი?“ მაშინ კენმა უპასუხა: „რა ვიცი, მე ჩემი ძმის გუშაგი ხომ არა ვარ!“ კენმა უფალს ტყუილი უთხრა, პუტინი მთელ მსოფლიოს ეუბნება ტყუილს. იმიტომ არის პუტინი ნამდვილად ახალი კენი. რაკი პუტინი ქრისტიანია, მას უნდა სწამდეს მარადიული ცხოვრება და ასევე საშინელი სამსჯავრო. ამ საშინელ სამსჯავროზე ის პასუხს აგებს ძმათამკვლელობის გამო. მე მას ახალი კენი ვუნოდე, რათა გონს მოეგოს, ვიდრე ცოცხალია და გვიანი არ არის, რადგან თუ სიკვდილმა უნია, თავს ველარაფრით იმართლებს.

ძალიან ბევრი მორწმუნე საქართველოში, ევროპაში, ამერიკაში სრულ სოლიდარობას უცხადებს უკრაინელ ხალხს, რომელიც მსოფლიოს ყველაზე დიდ სახელმწიფოსთან ომის პირობებში იმყოფება. რა შეუძლიათ მათ გააკეთონ უკრაინისთვის ამ პირობებში?

ჩემი თხოვნაა, რომ მორწმუნეებმა ევროპაში და ყველგან, ილოცონ და ღმერთს შეევედრონ, რადგან ყველაფერი – უპირველეს ყოვლისა, არა ჩვენზე, არამედ ღვთის ნებაზეა დამოკიდებული. უნდა ვილოცოთ, რომ უფალმა გვაპატიოს ჩვენი ცოდვები. ყველა ომისა და უბედურების სათავე არის ცოდვა. იმიტომ გვმართებს ლოცვა, რომ გვეპატიოს ცოდვები და ღმერთმა გვინყალობოს მშვიდობა. მეორე, საჭიროა გაჭირვებული დებისა და ძმებისათვის დახმარების აღმოჩენა. მესამე – აგრესორის შეჩერება. ხალხმა უნდა მოითხოვოს თავიანთი მთავრობებისა და პარლამენტისგან, ხელი შეუშალონ აგრესორს და არ დაუშვან მესამე მსოფლიო ომი. ჩვენ გვეძინია მესამე მსოფლიო ომისა, მაგრამ ჩვენ შიშში კი არ უნდა ვიყოთ, არამედ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, რომ ეს ომი არ მოხდეს. მისი თავიდან აცილება მხოლოდ აგრესორის შეჩერებით შეიძლება.



ინტერვიუ დავამთავრეთ. პატრიარქმა მე და არქიმანდრიტი კირიონი კარებამდე მიგვაცილა და გულთბილად დაგვემშვიდობა. საპატრიარქო დარბაზიდან რომ გამოვედით, მისი მისაღები ოთახი სავესე იყო. უამრავი ადამიანი ელოდებოდა პატრიარქთან შეხვედრას.

გარეთ მოღუშული ამინდია, წვიმა წვრილად ცრის. ვჯდები სეროიუას მანქანაში და ჩემთვის ვფიქრობ: „როგორ გაუმართლათ უკრაინელებს, რომ ასეთი პატრიარქი ჰყავთ! ეს ხალხი ნამდვილად იმსახურებს თავისუფალი ევროპული ქვეყნების სამეგობროს ნაწილად ყოფნას.“

ესაუბრა მალხაზ სონღულაშვილი, პროფესორი, თბილელი ეპისკოპოსი



CELEBRATING
130 years
CONGRATULATIONS
Years
ANNIVERSARY



ილუსტრაციის ავტორი: ნინო ნიკოლოზიძე / ვიკტორია

საქართველოს სამსახურში: მინისტრი და პოლიცია

ქეთევან ლევდაშვილი, გიორგი ჭიჭიშვილი

მივიყვანო ჩემი პოლიცია?!

ქვეყნის ერთ-ერთმა ძირითადმა საყრდენმა ძალამ, პოლიციამ, ბევრი ცვლილება განიცადა დღევანდელი სახის მიღებამდე. ჯერ კიდევ ვარდების რევოლუციამდე სტრუქტურა თავიდან ბოლომდე კორუფციაში იყო გახვეული და, შესაბამისად, საზოგადოებაც თითქმის არ ენდობოდა მას. მოგვიანებით, 2004 წელს, პოლიციის ძირეულმა რებრენდინგმა შედეგად მოიტანა ის, რომ მრავალი წლის განმავლობაში საზოგადოებრივი გამოკითხვისას იგი ეკლესიის შემდეგ ყველაზე მაღალი ნდობით სარგებლობდა. თუმცა დროთა განმავლობაში სხვადასხვა ობიექტური მიზეზის გამო მისმა რეიტინგმა კლება დაიწყო. დღეს მას საზოგადოების მხოლოდ ნაწილი ენდობა, უმრავლესობა კი საკუთარი უსაფრთხოების დამცველთა კომუნიკაციას გაურბის.

წარსულ პრაქტიკას, გატარებულ რეფორმებსა და დღეს არსებულ მდგომარეობას თუ გადავხედავთ, ყველაფერი ჩაკეტილ წრეზე ტრიალს ჰგავს. საზოგადოების უნდობლობიდან უდიდეს ნდობამდე მოსული პოლიცია ნელ-ნელა ისევ უახლოესი წარსულისკენ მიდის. არავინ იცის, რევოლუციის შემდეგ რებრენდინგის შემდგომი იმიჯი ხელოვნურად იყო შექმნილი და დისციპლინა სიმკაცრემ განაპირობა, თუ საზოგადოების უსაფრთხოებაზე ზრუნვა სამართალდამცავებმა მართლაც შეისისხლხორცეს. თუმცა ფაქტია, რომ პოლიციაში დარჩენილი ძველი კადრების მიერ ახალი ხელისუფლების პირობებში პროფესიული ეთიკის დარღვევის ფაქტები თვალსაჩინოა.

ალექსანდრე ჭიჭიშვილის მინისტრად წარდგენის პირველსავე დღეს გაჟღერებულმა განცხადებამ ცხადი გახადა, რომ იგი ლარიბაშვილის პოლიტიკას გააგრძელებდა: „ყველაფერს ვიღონებ იმისთვის, რომ ბატონი ირაკლის დანაშაული საქმე

ღირსეულად გავაგრძელო“. შესაძლოა, საკუთარი შემცვლელის შერჩევისას ლარიბაშვილმა ჭიჭიშვილს უპირატესობა სწორედ ამის გამო მიანიჭა.

2004 წელს, როცა საგზაო პოლიცია საპატრულო პოლიციად გადაკეთდა, შეიძლება ითქვას, შინაგან საქმეთა სამინისტროს ახალი სისხლი გადაუსხეს – მრავალი წლის განმავლობაში კორუფციაში გახვეული პოლიციიდან 16 000 თანამშრომელი გაათავისუფლეს და ისინი ახალი კადრებით ჩანაცვლეს. პოლიციას სახელწოდებასა და ვიზუალურ მხარესთან ერთად ფუნქციებიც შეეცვალა. მისი ძირითადი მიზანი უკანონობასთან ბრძოლა და საზოგადოების უსაფრთხოების დაცვა გახდა.

მაშინდელი შს მინისტრი ვანო მერაბიშვილი ამბობდა, რომ დაკარგული ნდობის აღდგენა და საზოგადოების დამოკიდებულების შეცვლა ძალიან ადვილი იყო. ამისთვის საკმარისი იყო, თვითონ პოლიციელებს საზოგადოებისადმი დამოკიდებულება შესცვლოდათ. პოლიციელთა ახალი იმიჯის პოპულარიზაციისა და საზოგადოების მხრიდან ნდობის მოსაპოვებლად საინფორმაციო კამპანიაც დაიწყო და სპეციალური ვიდეორგოლებიც შეიქმნა.

„მე მიცავს ჩემი პოლიცია“ – ამ ლოზუნგით დაიწყო ფუნქციონირება ახალმა საპატრულო პოლიციამ. თუმცა ნელ-ნელა საზოგადოებაში უკმაყოფილების განცდა გაჩნდა. ყოველდღე სულ უფრო მეტი მოქალაქე ადანაშაულებდა პოლი-

ციას ნარკოტიკის ჩადებაში, უკანონოდ დაკავებასა და არასათანადო მოპყრობაში. 2006 წელს ბუტა რობაქიძის მკვლელობის ამბავმა კი საზოგადოებისა და პოლიციის ურთიერთობაში ყველაზე დიდი ბზარი გააჩინა.

„ქართული ოცნების“ ერთ-ერთი მთავარი დაპირება სწორედ დარღვეული უფლებების, შელახული ღირსებისა და სამართლიანობის აღდგენა იყო. შინაგან საქმეთა ახალმა მინისტრმა ირაკლი ლარიბაშვილმა ამერიკელი კოლეგების დახმარებით ქართულ და საერთაშორისო კანონმდებლობაზე დაფუძნებული პოლიციელთა ქცევის კოდექსიც შექმნა და სამოქმედო სტრატეგიაც.

ძველი კადრების უმრავლესობამ შს-ში მუშაობა გააგრძელა. უწყება მხოლოდ იმ პირებმა დატოვეს, რომლებმაც „გამოუსწორებელი შეცდომა დაუშვეს“. დანარჩენებისთვის კი შინაგან საქმეთა იმდროინდელმა მინისტრმა, ირაკლი ლარიბაშვილმა, „ერთი შანსის“ მიცემა გადაწყვიტა იმ იმედით, რომ ძველი კადრები ახალი ხელისუფლების პირობებში სხვაგვარად მოიქცეოდნენ:

თუმცა სულ მალე აღმოჩნდა, რომ რეალობა სხვაგვარი იყო და მხოლოდ ფურცელზე დანერგილი სტრატეგია ვერაფერს შეცვლიდა.

რაც უფრო მეტს საუბრობდნენ შს მინისტრი და მმართველი გუნდის წარმომადგენლები, რომ ახალმა ხელისუფლებამ საპატრულო პოლიციის სრულად დეპოლიტიზება მოახერხა და ახლა მისი ფუნქ-

■ ალექსანდრე ჭიჭიშვილის მინისტრად წარდგენის პირველ დღესვე გაჟღერებულმა განცხადებამ ცხადი გახადა, რომ იგი ლარიბაშვილის პოლიტიკას გააგრძელებდა: „ყველაფერს ვიღონებ იმისთვის, რომ ბატონი ირაკლის დანაშაული საქმე ღირსეულად გავაგრძელო“. შესაძლოა, საკუთარი შემცვლელის შერჩევისას ლარიბაშვილმა ჭიჭიშვილს უპირატესობა სწორედ ამის გამო მიანიჭა.

ცია პოლიტიკური დაკვეთების შესრულება კი არა, საზოგადოების უფლებებისა და უსაფრთხოების დაცვა, მით მეტმა ადამიანმა დადანაშაულა პოლიცია არასათანადო მოპყრობაში. ყველზე დიდი კითხვის ნიშანი მამუკა მიქაუტაძის საქმემ გააჩინა და მას შემდეგ საზოგადოებას დარჩა კიდევ მრავალი პასუხგაუცემელი კითხვა.

პოლიციამ, სხვა ნორმებთან ერთად, ვერც ეთიკის კოდექსის ის ნაწილი შეასრულა, სადაც დაშვებული შეცდომის სწრაფად აღიარებაზეა საუბარი. თუმცა მოქალაქეთა საჩივრებზე გამოძიების ობიექტურად წარმართვა არც უწყების ხელმძღვანელს მოუწოდებია. არასამთავრობო სექტორისა და იურისტთა არაერთი შენიშვნის მიუხედავად, პოლიციელთა შესაძლო გადაცდომებს შსს-ს გენერალური ინსპექცია იძიებდა. კანონის თანახმად, ერთი უწყების თანამშრომელთა მიერ ჩადენილი შესაძლო დანაშაული იმავე უწყებაში არ უნდა გამოიძიოს. ერთი მხრივ, ირაკლი ლარიბაშვილიც და ალექსანდრე ჭიკაიძეც კრიტიკის მიღებაზე მზაობას გამოთქვამენ. „თუ პატრულის მხრიდან რაიმე გადაცდომის ფაქტი დაფიქსირდება, ისინი მზად არიან, პასუხი კანონის სრული სიმკაცრით აგონ“, – ეს ვერც კიდევ მინისტრობის პირველ დღეს თქვა ირაკლი ლარიბაშვილმა. მაგრამ მეორე მხრივ, ისინი საზოგადოების ნებისმიერ შენიშვნას პირად მტრობად აღიქვამენ.

ამ მხრივ ლარიბაშვილმაც და ჭიკაიძემაც ის ტენდენცია გააგრძელეს, რასაც მანამდე ყველაზე მეტად აკრიტიკებდნენ. მათაც, ისევე როგორც ვანო მერაბიშვილმა, ხალხის მხარეს დგომა პოლიციელთა მხარეს დგომა ამჯობინეს. მინისტრთა ამ დამოკიდებულებიდან ჩანდა, რომ ისინი სხვადასხვა დროს მიხვდნენ, რომ თუკი პოლიციელს ბრძანების შესრულების გამო თუნდაც საზოგადოების დასანახად გააკრიტიკებ, სხვა პოლიციელი იმავე დავალების შესრულებას აღარ დასთანხმდება.

რაც შეეხება პოლიციის დეპოლიტიზებას, ამასთან დაკავშირებით კითხვები ვერ კიდევ მაშინ გაჩდა, როცა 2013 წლის 8 თებერვალს საჯარო ბიბლიოთეკასთან მმართველი გუნდისა და ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენლებს შორის ფიზიკური დაპირისპირება მოხდა. პოლი-

ცია რომ სათანადოდ ვერ მოიქცა და შს მინისტრმა იქ მყოფი საზოგადოების უსაფრთხოება ვერ დაიცვა, არასამთავრობოთა არაერთ განცხადებაშია აღნიშნული. იგივე განმეორდა 2013 წლის 17 მაისსაც.

წინა ხელისუფლების დროს უსაფუძვლო დაკავებების პრაქტიკა არც ახალი ხელისუფლების პირობებში შეცვლილა. მიუხედავად იმისა, რომ „ალიასთან“ ინტერვიუში შს მინისტრი ალექსანდრე ჭიკაიძე საპირისპიროს აცხადებს, ომბუდსმენის ანგარიში სხვა რეალობაზე მოუთითებს.

„ჩემს თანამშრომლებს მუდმივად ვაფრთხილებ, რომ არ დაარღვიონ უდანაშაულობის პრეზუმფცია და თუკი ადამიანს დანაშაულს ვერ დაუმტკიცებენ, ნუ ეცდებიან, მას ბინძური გზებით ებრძოლონ. კრიმინალებს ბინძური გზებით კი არ უნდა ებრძოლონ, არამედ უნდა ებრძოლონ გონებით, პროფესიონალიზმით, კანონით და დაუმტკიცონ, რომ ის არის დამნაშავე. მხოლოდ ამის შემდეგ მიეცეს პირი პასუხისგებაში და არა იმიტომ, რომ ესა თუ ის პიროვნება ცუდია და ვიღაცას არ მოსწონს. ასეთი რამ არ მოხდება!“ – შინაგან საქმეთა მინისტრის ინტერვიუ ალიასთან.

სახალხო დამცველის 2013 წლის ანგარიშის თანახმად, მხოლოდ სამეგრელო-ზემო სვანეთის ზუგდიდის სამმართველო იანვრიდან ივნისის ჩათვლით ნარკოტიკული ნივთიერებების სავარაუდო მოხმარებისთვის 1600-მდე პირი დააკავა. თუმცა სამართალდარღვევა მხოლოდ 130-მდე პირს დაუდგინდა. ომბუდსმენი მიიჩნევს, რომ აღნიშნული მაჩვენებელი საგანგაშოა, რადგანაც დაკავებულ პირთა 90 პროცენტზე მეტი უდანაშაულო აღმოჩნდა. ეს კი გვაფიქრებინებს, რომ პოლიცია პირთა დაკავებისას არა საფუძვლიანი ეჭვის საფუძველზე, არამედ თვითნებურად მოქმედებს.

შესაბამისად, „პოლიცია, რომელიც კანონის განუხრელი დაცვით უნდა უზრუნველყოფდეს თითოეული მოქალაქის თავისუფლებას და უსაფრთხოებას“, თავად მოქმედებს ადამიანის უფლებების სანინა-ალმდეგოდ. ამის მაგალითია, ე.წ. რეიდები, რომლებიც დანაშაულის პრევენციასა და მოქალაქეთა უსაფრთხოების დაცვას ემსახურება, რეალურად კი მათ უფლებებს არღვევს.

„რამდენჯერმე დავინახე ქუჩაში გაჩურებული ახალგაზრდა, თავისი სახლის წინ ზაფხულში შორტების ჯიბეები რომ ამოატრიალებინეს. იმის შესახებაც არის ხმები, რომ პოლიციელები ადგილზე ძალადობენ, არის ცემა, ტყუილად ნარკოლოგიურში წაყვანა, მუქარა და შანტაჟი“, – „ლიბერალთან“ საუბრისას აღნიშნავს იურისტი ლია მუხაშავრია.

მუხაშავრია მიიჩნევს, რომ ხელისუფლება პოლიციას პოლიტიკური მიზნებისთვის იყენებს და ეს პოლიციის მალევე შეეტყო. პოლიცია რომ მისთვის დადგინილი ნორმების საპირისპირო მხარეს წავიდა, ამის მიზეზად იურისტი პოლიციელთა არაკვალიფიციურობასა და ხელისუფლების მიზანმიმართულ პოლიტიკას ასახელებს, რომლის მიზანი საზოგადოების კრიტიკულად განწყობილი ნაწილის დაშინებაა. სახელმწიფოს სახელით მოქმედი შეიარაღებული ადამიანი კი საზოგადოებისთვის ბევრად უფრო საშიშია, ვიდრე შეიარაღებული კრიმინალი.

„ხელისუფლების მიმართ უკმაყოფილება და აგრესია იზრდება და ხელისუფლება, ასევე თავისი არაკომპეტენტური პოლიციის მსგავსად ფიქრობს, რომ საზოგადოების დამოშინებას ტერორით, დაშინებით და პოლიციური ზომების გატარებით შეძლებს“, – აცხადებს ლია მუხაშავრია.

ამის ერთ-ერთი მაგალითია 2014 წლის 3 ოქტომბერს მომხდარი ფაქტი, როცა პოლიციელის მიერ ნასროლ ტყვიას 22 წლის ბიჭის სიცოცხლე ემსხვერპლა. პოლიციელი დაკავებულია და გამოძიება – დაწყებული. თუმცა რა შედეგითაც არ უნდა დასრულდეს გამოძიება და ბრალის დამტკიცების შემთხვევაში როგორც არ უნდა დაისაჯოს პოლიციელი, ეს გარდაცვლილისა და მისი ოჯახისთვის ვერაფერი შელავათია. თუკი პოლიციელს იარაღის გამოყენებაზე უფრო მკაცრი რეგულაციები არ დაუწესდებათ, თუკი ისინი იარაღს მაშინ გამოიყენებენ, როცა ამას საჭიროდ ჩათვლიან, ასეთი ფაქტი მომავალშიც არაერთი იქნება.

რაც შეეხება პრემიერ მინისტრის განცხადებას, რომ „პოლიციელი დაკავებულია და კანონის შესაბამისად აგებს პასუხს ჩადენილი დანაშაულისთვის“, – ეს მთავრობის ხელმძღვანელისა და ძალოვა-

ნი უწყების ყოფილი მმართველის მხრიდან უდანაშაულობის პრეზუმფციის დარღვევა – პოლიციელმა მკაცრად უნდა აგოს პასუხი, თუკი გამოძიებით მისი დანაშაული დამტკიცდა, ირაკლი ლარიბაშვილის მიერ პოლიციელის დასჯის დაანონსება კი წარსულში დამკვიდრებული პრაქტიკისგან გამიჯვნას და შინაგან საქმეთა სამინისტროს რეპუტაციის ნაკლებად შელახვას შეიძლება ემსახურობდეს.

შს მინისტრმა და ხელისუფლებამ უნდა იცოდნენ, რომ რაც არ უნდა კარგი იყოს პოლიცია, საზოგადოებასთან თანამშრომლობის გარეშე მისი მუშაობა ეფექტური ვერასოდეს იქნება. არც მხოლოდ ეთიკის კოდექსი და პოლიციის შესახებ კანონი იქნება სამართალდამცავთა კეთილსინდისიერების გარანტია, თუ პოლიციელები მას არ დაიცავენ.

წარმატებული პოლიციელი = წარმატებული მინისტრი?

პირველად იყო წარდგენა, და წარდგენა იყო ასეთი:

„... მან პრაქტიკულად საათივით ააწყო და გამართა სისტემა ჯერ კახეთის სამმართველოში. შემდეგ უკვე გადმოვიყვანე თბილისში. ძალიან მძიმე მდგომარეობაში ჩაბარა თბილისის მთავარი სამმართველო და სულ რაღაც რამდენიმე თვეში ასევე საათივით ააწყო და გამართა თბილისის მთავარი სამმართველო. მას ჰყავს ძალიან კარგი გუნდი, თავისი თანამებრძოლები, რომლებიც ძალიან წარმატებული პოლიციელები არიან. რაც მთავარია, ლექსომ აჩვენა – მას შეუძლია მართვა. პრაქტიკულად, თბილისი არის ყველაზე რთული ქალაქი საქართველოში, ასე რომ, მე სრულ ნდობას ვუცხადებ ბატონ ალექსანდრეს, დარწმუნებული ვარ, რომ ის იქნება ძალიან ეფექტური მინისტრი. რაც მთავარია ის არის ღირსეული პოლიციელი, ის არის წარმატებული პოლიციელი, და დარწმუნებული ვარ, რომ წარმატებული მინისტრი იქნება“.

ირაკლი ლარიბაშვილმა ამ სიტყვებით წარუდგინა საზოგადოებას იმ უწყების ახალი ხელმძღვანელი, რომელსაც სხვადასხვა დროს „რკინის კაცი“, „ხერხემალი“ და თავად ირაკლი ლარიბაშვილი უძღვებოდნენ. პოლიციის პოლკოვნიკის, 29 წლის ალექსანდრე ჭიკაიძის კარიერა ძალოვან

უწყებებში 2008 წელს – თბილისის მთავარი სამმართველოს გლდანი-ნაძალადევისა და ვაკე-საბურთალოს რაიონის სხვადასხვა განყოფილებაში მუშაობით დაიწყო. პიკს კი 2013 წლის ნოემბერში მინისტრად დანიშნვით მიაღწია.

დიდი ოდენობით ნარკოტიკის, ცეცხლ-

რიტორიკულია კითხვა იმის შესახებ, თუ რამდენად სამართლიანია კრიმინალის კონკრეტული თუ „გახშირებული“ ფაქტებით გალიზიანებული ადამიანების იმ ჯგუფების მსხვერპლად გასაღება, რომლებიც, მინისტრის განცხადებით, „კარგად არიან განსწავლული პიარკამპანიასა და პროპაგანდაში და სცადეს საზოგადოებაში შეექმნათ განწყობა, თითქოს კრიმინოგენული ვითარება გაუარესდა“.

სასროლი იარაღის და საბრძოლო მასალის ამოღება, მკვლელობების ცხელ კვალზე გახსნა, ქურდობასა თუ ყაჩაღობაში ეჭვმიტანილების, ყალბი ფულის მჭრელების, საბუთების უკანონოდ დამზადებისა და პროსტიტუციისთვის ადგილის დათმობის, ასევე, ქურდული სამყაროს წევრობის ბრალდებით პირების დაკავება, ეკოლოგიური კრიზისების წინააღმდეგ ბრძოლა, შეხვედრები სხვადასხვა ქვეყნების წარმომადგენლებთან და ა.შ. – დანაშაულის კონკრეტული ფაქტების წინააღმდეგ ბრძოლის შედეგებისა და თავად მინისტრის აქტივობების ჩამონათვალის ხილვა ძალოვანი უწყების ვებგვერდის არქივშია შესაძლებელი. თუმცა სავესები ბუნებრივია, რომ საზოგადოებას მწვავე რეაქცია კრიმინალის იმ ფაქტებზე უფრო აქვს, რასაც მედიითა და სოციალური ქსელებით იგებს ან საკუთარი თვლით ხედავს.

რიტორიკულია კითხვა იმის შესახებ, თუ რამდენად სამართლიანია კრიმინალის კონკრეტული თუ „გახშირებული“ ფაქტებით გალიზიანებული ადამიანების იმ ჯგუფების მსხვერპლად გასაღება, რომლებიც, მინისტრის განცხადებით, „კარგად არიან განსწავლული პიარკამპანიასა და პროპაგანდაში და სცადეს საზოგადოებაში შეექმნათ განწყობა, თითქოს კრიმინოგენული ვითარება გაუარესდა“.

სტატისტიკური მონაცემებით აპელირება, რომ წინა წლებთან შედარებით დანაშაულმა იკლო, ან ის ფაქტი, რომ მედია შესაძლოა უფრო ინტენსიურად აშუქებდეს ქვეყანაში მომხდარ დანაშაულებებს,

ვერაფერი პასუხია იმ ადამიანების მისამართით, რომელთაც არსებული ვითარება, მათი და მათი ოჯახის წევრების უსაფრთხოების „რეიდებით“, როგორც „პრევენციული ხასიათის ღონისძიებებით“ უზრუნველყოფა და არცთუ იშვიათად, პოლიციის თანამშრომელთა უტა-

ქტო დამოკიდებულება და ქმედებები არ მოსწონთ.

ზემოთაღნიშნული ფაქტებისა თუ შსს-ს მიმართ გაუღრებელი კრიტიკის საპირწონე კონტრარგუმენტად არც ის ამბავი გამოდგება, რომ, როგორც მინისტრი ეჭვობს, შინაგან საქმეთა სამინისტროსა და პირადად მის დისკრედიტაციაზე რაღაც გარკვეული ძალები მუშაობენ. საზოგადოება მხოლოდ მმართველი ძალისა და ოპოზიციის მომხრეებისგან არ შედგება და არც მინისტრს უნდა სწყინდეს ის ფაქტი, რომ „სტატისტიკურად შემცირებული კრიმინალის ფონზე“ მოსახლეობის ნაწილი მაინც უკმაყოფილოა. ალექსანდრე ჭიკაიძე იმ უწყებას ხელმძღვანელობს, რომელიც სახელმწიფოს ერთ-ერთ ფუნდამენტურ საზრუნავზე – მისი მოსახლეობის უსაფრთხოებაზე აგებს პასუხს. უსაფრთხოების თემას კი „გაგებით ვერ მოეკიდები“.

შსს-ს მინისტრის პოსტზე ალექსანდრე ჭიკაიძის წარდგენისას პრემიერ-მინისტრმა აღნიშნა, რომ ის „ღირსეული, წარმატებული პოლიციელია“, მოგვიანებით კი განაცხადა, რომ ძალოვანი უწყების ხელმძღვანელი 24 საათის განმავლობაში მუშაობს, სწრაფად იზრდება, ეფექტური მინისტრია და მასთან პრეტენზიები არ აქვს.

გასაგებია, რომ მთავრობის ხელმძღვანელი შინაგან საქმეთა სამინისტროში საკუთარ შემცველს ენდობა და მის მუშაობას აფასებს. საზოგადოებისთვის ალბათ არც ის უნდა იყოს საწყენი, თუკი

ალექსანდრე ჭიკაიძე საქართველოს შსს-ს ვებგვერდზე მინისტრის რეზიუმეში აღნიშნული ამოცანის – „ჩვენი მთავარი მიზანი ქვეყანაში კანონიერების, ჰუმანურობისა და სამართლიანობის დამყარებაა“ – შესრულებას სრულად შეძლებს. თუმცა უკანონობასთან ბრძოლის გარდა, არსებობს სხვა ფაქტორებიც, რომელთა დავინყება არ შეიძლება.

აღნიშნული ძალოვანი უწყების ხელმძღვანელის პოსტი – პოლიტიკური თანამდებობაა – და განცხადება იმის შესახებ, რომ „... რაც იყო და რაც მოხდა (საქართველო-რუსეთის ურთიერთობებში) ძალიან სამწუხაროა და ეს წარსულში იყო და წარსულს ჩაჰბარდა“, მინიმუმ ეწინააღმდეგება იმ პოლიტიკას, რომელიც რუსეთის მიერ საქართველოს ტერიტორიების ოკუპაციას უსვამს ხაზს. (ტერიტორიების ოკუპაციასთან დაკავშირებული საკითხები, როგორც წესი, წარსულს იშვიათად „ჰბარდება“ და როგორც შორეულ, ასევე, უახლეს „წარსულში მომხდარ“ ფაქტებთან დაკავშირებით რუსეთის მიმართ პრეტენზიები სხვა ქვეყნებსაც აქვთ).

ამას გარდა, იყო ორი სხვადასხვა გამოცემისთვის მიცემული ორი „პრევენციული ინტერვიუ“, (რომლებიც დაახლოებით იმ პერიოდს ემთხვევა, როდესაც ქვეყანაში გახშირებული კრიმინალის ფაქტების შესახებ ინტენსიური საუბარი მიმდინარეობდა). სადაც შინაგან საქმეთა მინისტრი „ნაციონალური მოძრაობის“ და სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციებისა თუ საგანგებოდ ჩამოყალიბებული ჯგუფების მიერ სამინისტროს დისკრედიტაციაზე, კრიმინალის თემით მანიპულირებაზე, „ევრომაიდნის სცენარის“, სახელმწიფო გადატრიალების, სახელმწიფო ინსტიტუტების დამხობის, დესტაბილიზაციისა და არეულობის შექმნის მცდელობებზე საუბრობდა:

„ჩემთვის ცნობილია ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ მიხეილ სააკაშვილმა კონკრეტული დავალებები მისცა „ნაციონალური მოძრაობის“ წევრებსა და არასამთავრობო ორგანიზაციების ლიდერებს. ეს დავალებები კიევსა და თურქეთში ჩატარებულ თათბირებზე გაიცა. ამ შეხვედრების მთავარი თემა არ იყო შიდაპარტიული საკითხები, სააკაშვილმა ქვეყანაში

ქაოსის შესაქმნელად კონკრეტული დავალებები და გეგმები მისცა“, – აცხადებდა ალექსანდრე ჭიკაიძე.

შინაგან საქმეთა მინისტრის ინტერვიუს მთავრობისა თუ მმართველი გუნდის სხვა წევრებიც გამოეხმაურნენ და გაისმა განცხადებები იმის შესახებ, რომ ალექსანდრე ჭიკაიძე „ჰაერზე“ არ საუბრობს და „ნაციონალური მოძრაობისა“ თუ მიხეილ სააკაშვილის მიერ ქვეყანაში არეულობის შექმნის მცდელობების შესახებ ინფორმაცია რეალურად არსებობდა.

აღნიშნულ ორ ინტერვიუს შორის მინისტრმა საქართველოს პარლამენტში ოპოზიციის წარმომადგენელთა შეკითხვებსაც უპასუხა, სადაც „ნაციონალური მოძრაობის“ მიერ დაგეგმილი დესტაბილიზაციის შესახებ ინტერვიუში გაჟღერებულ თემსაც შეეხო:

ალექსანდრე ჭიკაიძე: „ჩემი ინტერვიუს შესახებ კიდევ მოგახსენებთ - ზოგადად, ძალიან კარგი, პრევენციული ინტერვიუ იყო, საკმარისი მტკიცებულებები მქონდა. მყავს მეგობრები, რომლებიც თქვენთანაც („ნაციონალური მოძრაობის“ წევრებთან) მეგობრობენ და ბევრი რაღაცა დაფარული და დახურული არ რჩება“.

გოკა გაბაშვილი: „თქვენს ხელს ფაქტები არ იყო და მშვენიერი პრევენციული ინტერვიუ გამოგივიდათ არა ფაქტებზე დაყრდნობით, არამედ – ჭორებზე, მოსაზრებებზე, და ჩვენი საერთო ნაცნობების ნალაპარაკებზე გააკეთეთ კომენტარი, როგორც ვაგივ“.


ალექსანდრე ჭიკაიძე: „არა, არა ბატონო გოკა, იქ ფაქტებიც იყო სამაგისო“.

ზემოთაღნიშნულ ინტერვიუებში შინაგან საქმეთა მინისტრმა ისიც განმარტა, რომ ანტისახელმწიფოებრივი ქმედებების აღსაკვეთად კანონით გათვალისწინებულ ყველა ღონისძიებას გაატარებენ და უკვე მიღებულია კონკრეტული ზომები, თუმცა გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე მეტი კონკრეტისკენ თავს შეიკავებდა. მან ისიც დასძინა, რომ ყველა, ვინც ანტიკონსტიტუციური გზით წავიდოდა და ქვეყანას საფრთხეს შეუქმნიდა, კანონის წინაშე უმკაცრესად დაისჯებოდა.

სავსებით ბუნებრივია, რომ შინაგან საქმეთა მინისტრი ამ უკანასკნელ განცხადებას აჟღერებდეს, შესაბამისად კი ლოგიკურია, რომ კითხვები „სახელმწიფო

გადატრიალების მცდელობის“ საკითხთან დაკავშირებითაც არსებობს.

სახელმწიფო ინსტიტუტების დამხობისა და დესტაბილიზაციის მცდელობა რომ ბევრად უფრო მძიმე დანაშაულია, ვიდრე საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში საბურავების დანვა – ეს ფაქტია. ისიც ფაქტია, რომ ქვეყანაში მოსახლეობის უსაფრთხოებისთვის პირდაპირი საფრთხის შემცველი არეულობის მცდელობათა აღკვეთაზე ძალოვანი უწყება/უწყებები არიან პასუხისმგებლები. მაგრამ ცალკე საკითხია რამდენად მოახდენს მის პრევენციას შინაგან საქმეთა მინისტრის ინტერვიუ? ან რამდენად მართებულია მინისტრის მიერ იმ ინფორმაციის საჯაროდ გაცხადება, რომ ყოფილი მმართველი გუნდი და ექსპრეზიდენტი გადატრიალებას ამზადებენ? მით უმეტეს, თუკი კონკრეტული ნაბიჯები უკვე გადადგმულია და ამ თემაზე გამოძიებაც მიმდინარეობს? ან რამდენად სწორია სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საკითხის „პრევენციულ“ ინტერვიუებში აღნიშვნა, მაშინ, როდესაც პოლიტიკურ კონკლავზე ბევრად უფრო მნიშვნელოვანი, სახელმწიფოებრივი საკითხის მინიმუმ საგანგებო ბრიფინგზე გაჟღერებაა?

დასასრულ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს მოსახლეობას ახსოვს საბჭოთა მეთოდებით მომუშავე მილიცია, „რკინის კაცის“ კორუმპირებული და არცთუ იშვიათად თავად კრიმინალბად ქცეული ძალოვანი უწყების თანამშრომლები, პოლიციად ქცეული მილიცია და ის არაერთი, მსუბუქად რომ ვთქვათ, კითხვა, რაც „ნაციონალური მოძრაობის“ ხელისუფლებაში ყოფნის პერიოდში შინაგან საქმეთა მინისტროს (და არა მარტო) თანამშრომლების ქმედებების მიმართ ჩნდებოდა. მოსახლეობას ალექსანდრე ჭიკაიძე და იმ სამართალდამცავთა ქმედებებიც დაამახსოვრდება, რომელთაც დღეს შინაგან საქმეთა მინისტრი ხელმძღვანელობს. როგორი იქნება ეს მოგონებები, დიდწილად სწორედ მინისტრზე და მოკიდებული, ხოლო ის ფაქტი, რომ უწყების მუშაობის მიმართ არსებობს (და არცთუ იშვიათად ჟღერდება კიდევ) ლეგიტიმური კითხვები, დემოკრატიის თანამდევნი ფანსალი პროცესისა და მიუღებელი არ უნდა იყოს. 

ახალი საკრედიტო ბარათი უკრეცედენტოდ დაბალი საპროცენტო განაკვეთით!



იცოდით



განახლებული %



ყოველი ჩვენგანი მნიშვნელოვანია

 **ბანკი რესპუბლიკა**
BANK REPUBLIC

ვაჭი სოსიძე შენარაღი



290 90 90
290 90 99

* 90 90

BR.CE

ენა სუბიექტის ბაზაზე

ვახუშტი მენაბდე



ფიქრისთვის. ასეც უნდა იყოს: პოლიციურ ენას ინტერპრეტაციები არ სჭირდება. მისი თხრობა სკრუპულოზურია, გამორიცხავს გადახვევას, არ აღძრავს ეჭვებს. მიმართულია ყოველგვარი ანალიზის წინააღმდეგ. ფაქტები ზუსტად ისეთი ზუსტია, როგორც მოგვენოლება. ის ადრესატმა, როგორც კოდი, ისე უნდა მიიღოს. კოდი რთავს ალუზიებს, ინსტინქტებს, გრძნობებს, მოქმედებაში მოჰყავს ჩვენი ენსუალური ნაწილი, თუმცა გამორიცხავს ინდივიდუალურს. მოქმედებს რა გრძნობადის დონეზე, მიემართება ყველას თანაბრად – ერთიან ჯგუფს, როგორც ინდივიდს. ააქტიურებს იმას, რაც საერთოა, ამიტომ უარყოფს სპეციფიკას.

დასაწყისში მოტანილი ციტატა კლასიკური კოდია. თითქოს მასში უფრო მნიშვნელოვანი დეტალებია (ნეიტრალური შემავსებლები), და არა თავად მოვლენა; არა შემთხვევა, არამედ მისი ტექნიკური მხარე. მოყოლა რომ გთხოვონ, პირველად ეს სიტყვები გახსენდება: „შეტყობინება“, „N37-ე „დ“ კორპუსი“, „ავტოფარეხი“ და მისთ. ამგვარი ენა გაინოვს მოვლენას. წინ მოდის არა თავად მიზეზი, ამ შემთხვევაში მკვლევლობის, სიცოცხლის დასასრულის, საზოგადოებრივი წესრიგის შერყევის ემოციური ფაქტი, არამედ ფაქტის ნეიტრალური შემავსებელი, რომელიც არაფრის მთქმელია. ამგვარი ინფორმაცია არაფერს აძლევს ადრესატს. ისინი უწყინარი აღმნიშვნელები არიან – მისამართები, შენობები, ნივთები.

ტექსტი მთლიანად დეპერსონალიზებულია. ერთადერთი სახელი „ილია ჭავჭავაძე“ და ისიც ქუჩას აღნიშნავს. კიდევ მოხსენებულია გარდაცვლილი, ოღონდ როგორც გვამის პატრონი. ამგვარად, პოლიციური ენა თვალთმაქცობს, ყველაფერს ასაგნებს, ამბავს სუბიექტს აცლის და ამბობს რაღაცას, რაც მხოლოდ „თქმაში“ არსებობს და მხოლოდ ამ ენით შეივსება, მისით ცოცხლობს. პოლიციური ენა ფრთხილობს, ის მოვლენებს მშრალად აღწერს – მონაწილეების გარეშე. ფაქტებს კი ნივთებივით აწყობს თაროე-

„შემოვიდა შეტყობინება მასზედ, რომ ქალაქ თბილისში, ილია ჭავჭავაძის გამზირზე, N37-ე „დ“ კორპუსის მიწისქვეშა ავტოფარეხში გაჩერებულ ავტომანქანაში აღმოჩენილი იყო მამაკაცის გვამი“, – ეს განცხადება საქართველოს მთავარმა პროკურატურამ 15 ივლისს 21 საათზე, 02 წუთსა და 42 წამზე, საკუთარ ოფიციალურ ვებგვერდზე გამოაქვეყნა.

ამგვარი სიზუსტე, როგორც დანაშაულის ლოკაციის, ისე ინფორმაციის გავრცელების დროის მითითებით, თითქოს გასაქანს არ აძლევს რეფლექსიას, სიგრცეს არ ტოვებს

ბზე კლიშეებით საზრდოობს. ამდენად მისთვის ყველა შემთხვევა ერთმანეთს ჰგავს. არ ასხვავებს ერთმანეთისგან მდიდრისა და ღარიბის, ცნობილისა და უცნობის, დიდისა თუ პატარის მკვლევლობას. კანონის წინაშე თანასწორობის მოთხოვნების დაცვითა და პატივისცემით, ყველაფერს ერთ სიბრტყეში ალიქვამს. ეს შეთხვევები, მოვლენები ერთმანეთისგან მხოლოდ ნეიტრალური შემავსებლებით, დეტალებით, ნივთებით, ფაქტებით განსხვავდება. მსმენელისთვის სულერთია ჭრილობა შემაგალია თუ გამავალი, საფეთქელთან არის თუ მკერდთან, ეს უსარგებლო ინფორმაციაა. თუმცა პოლიციური ენა ჩვენ მას ბეჯითად გვანვდის და ამით ცდილობს დაგვარწმუნოს შემთხვევის ნამდვილობაში. ეს წარმატებული გზაა. ჩვენ ვრწმუნდებით რეალურობაში, რომელიც მხოლოდ პოლიციურ ენაში არსებობს.

ის, რაც პოლიციური ენისთვის განსხვავების მარკერია, ჩვენთვის შეიძლება, პირიქით, მსგავსების მანიშნებელი იყოს. პოლიციური ენა ეძებს განსხვავებას შემთხვევებს შორის და ამბის თხრობისას სწორედ ამაზე აკეთებს აქცენტს. ის იყენებს წინადადების შაბლონურ კონსტრუქციებს და ამით საკუთარი მიდგომის დანახვებას ცდილობს. მიდგომის, რომელიც ათანაბრებს, აჩვენებს ემოციისგან დაცლილობას, ინდივიდუალური მიმართების გამორიცხვას, სტატისტიკურობას, საქმიან დამოკიდებულებას, დისტანცირებულობას და მათემატიკურობას.

ექსპერიმენტიც კი შეიძლება ჩავატაროთ – Google-ს საძიებო სისტემაში ნებისმიერი ასეთი შაბლონის ჩაგდება უსწრაფესად, წამის მეათედებში მოგვცემს ათასობით შედეგს, სადაც სხვადასხვა ფაქტის შესახებ ერთი და იმავე კონსტრუქციით, მეტიც, ერთი და იმავე ფრაზით (სადაც მხოლოდ ტექნიკური მახასიათებლებია შეცვლილი) პოლიციური ენა ამბავს გვიყვება. მისთვის განსხვავება ამ მოვლენებს შორის მხოლოდ ინდივიდუალურ, ტექნიკურ დეტალებში, ნეიტრალურ შემავსებლებშია. რომელიც სხვაგან არ მეორდება. არ მეორდება არა იმდენად ფორმალური თვალსაზრისით, არამედ კონტექსტუალურად. მაგრამ რეალურად, ჩვენი გონება იმახსოვრებს არა დეტალებს, ფაქტებს და ნივთებს, არამედ წინადადების კონსტრუქციებს; არა სიტყვებს, არამედ ინტონაციას და რიტმს; ჩვენ გვახსოვს „ივენანას“ მელოდია და არა „ვარდონანა“, თხრობის მუსიკა

და არა თხრობით მონოდებული ფაქტები. თხრობის შინაარსი მის ტონებში, ნოტებსა და ტემბრის მონაცვლეობაშია. ცხადია, ეს არ ეხება მხოლოდ ზეპირ მეტყველებას, არამედ – წერილობით კომუნიკაციასაც. ამდენად, პოლიციური ენა ცდილობს თხრობის კონკრეტული კონსტრუქციითა და ნეიტრალურ შემავსებლებზე აქცენტით მიგვანიშნოს განსხვავებული შემთხვევების მიმართ თანაბარი მიდგომის შესახებ. ხოლო ჩვენ თხრობის კონკრეტული კონსტრუქციითა და დეტალების მოსმენით ალიქვამთ მას, როგორც მსგავსი შემთხვევების მიმართ დიფერენცირებულ მიდგომას. ამგვარად, ჩვენი და პოლიციური ენის ურთიერთობა დისონანსია, სადაც კომუნიკაციის პროცესში აზრი იკარგება, მესიჯი ადრესატს სცდება. რა თქმა უნდა, პოლიციური ენა არის კიდევ ამისთვის მონოდებული. ის ჩვენ გვაბრუნებს უშინაარსო, ტექნიკური დეტალებით, გვიკარგავს ემპათიას და გააზრების უნარს, არა იმდენად გაგების, არამედ გაშინაგანების მნიშვნელობით, მიგვიძღვება მშრალი კომუნიკაციისკენ.

ზოგჯერ სიტყვების პირდაპირი მნიშვნელობით გაგება გამოსავალია. სწორედ ასე იხსნება ფარდა, კი არ აიხდება, არამედ ორ ნაწილად იყოფა, როგორც კრეტსაბმელი. ის ამიშვლებს მიმალულ მნიშვნელობებს, მტვერს გადანმენდს მარნის ღვინოებს, პოულობს შინაარს იქ, სადაც ის თითქოს ზედაპირზეა, მაგრამ ლიბრი გადაჰკვრია, ყველა ხედავს, მაგრამ ვერავინ გადაუსვამს ხელს.

მეტი დასაბუთებულობისთვის შეიძლება პოლიციური ენის ანალიზს დინამიკაში მივმართოთ, არა მის რომელიმე ერთ განცხადებას, არამედ ერთობლიობას, ტრადიციას და რუტინას. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ოფიციალურ საიტზე არის ასეთი განყოფილება: „კრიმინალური ქრონიკა“, სადაც ერთ გვერდზე რამდენიმე ამბავია განთავსებული. ისინი სხვადასხვა დანაშაულის გახსნის შესახებ იუნყებიან. გადავწყვიტე, მხოლოდ ისეთი სიახლეები მენახა, რომლებშიც მკვლევლობაზეა საუბარი. პოლიციის მთავარი მიზანი ხომ უსაფრთხოების უზრუნველყოფაა. მისი ფუნქციაა, დაიცვას ადამიანის სიცოცხლე. რაც ყველაზე ძვირფასია, მის მიმართ სიტყვებიც ყველაზე ფაქიზი და ზუსტი უნდა იყოს. სწორედ ამიტომ, ყველაზე კარგად ადამიანის სიცოცხლის შესახებ თხრობისას ჩანს პოლიციური ენის დამოკიდებულება მის მიმართ. „კრიმინალური ქრო-

■ **ასამართლებს არა სასამართლო, არამედ პოლიციური ენა. ის, როგორც გილიოტინა, უდანაშაულობის პრეზუმფციას მოკვეთს დევიანტს პოლიციური სხეულიდან და მართლმსაჯულების საჯიჯგნად წირავს მას, ვისაც მომავალში ტომებს მიაკერებენ; მტკიცებულებებს დააკრავენ და აახევენ; დაკითხვიდან-დაკითხვამდე გასტანჯავენ, გაცვეთენ; ფურცლებზე დაფიქსირებული სიტყვებით შეკრავენ, მანამ, სანამ გონებაში ყველაფერი არ გაქრება და შემთხვევის ერთადერთ დასტურად ეს გაქვავებული დოკუმენტები არ დარჩება.**

ნიკის“ პირველ ათ გვერდზე მკვლელობის საქმის გახსნის ათი ამბის მოძიება შეიძლება.

ჩემი მეთოდოლოგია მარტივია, ამ განცხადებების კონსტრუქციები ერთმანეთს შევადარე. თითოეული მრავალჯერ ნავიკითხე და შედეგი ასეთია – ათივეს ნაკითხვის შემდეგ არც ერთის შინაარსი არ გახსოვს, ვერც ერთს ვერ გაიხსენებ. სამაგიეროდ, მაშინვე დანერ იდენტურ ახალ განცხადებას ისე, რომ კონსტრუქცია არ შეგეშლება. ამ ეფექტს მიიღებთ არა მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ამ ათ ნიუსს მიყოლებით ნაკითხავთ, არამედ მაშინაც, თუ ათი დღის განმავლობაში თითოს თითოჯერ მოგასმენინებენ. ან როგორც გნებავთ ისე, არ აქვს მნიშვნელობა არც თხრობას შორის ინტერვალს, არც სინქრონულობას. აქ რუტინა არა თხრობის გარეგან გამოვლინებაში, არამედ თავად თხრობაშია. სწორედ ამ გზით მიიღწევა ეფექტი, რომლიც გვავენყებს შინაარსს და გვანათლებს შაბლონებით. ეს დაზუთხვის აქტია. ცოდნა გამოცლილი შინაარსით, როგორც კონსტრუქცია, როგორ გეოგრაფია, როგორც ძალადობა ამ შაბლონების მეშვეობით; ჩარჩო, რომლის გარეთ ჩვენი ცნობიერება ვეღარ გადის და ჩვენ ვინყებთ მოყოლას რომ:

შსს-მ მკვლელობის ფაქტი ცხელ კვალზე გახსნა

შსს-ს თბილისის მთავარი სამმართველოს და საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა ერთობლივად ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო მოქმედებების შედეგად 1945 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი მარიო ჭ. განზრახ მკვლელობის და ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო ტარების ბრალდებით დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ დაკავებულმა თბილისში, დედანის ბაღში მდებარე ერთ-ერთ კაფეში, ოჯახური კონფლიქტის ნიადაგზე ურთიერთშელაპარაკებისას ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლით მრავლობითი სასიკვდილო ჭრილობა მიაყენა სიძეს, 1963 წელს დაბადებულ მერაბ მ-ს და შემთხვევის ადგილიდან მიიძა-

ლა. დაჭრილი ადგილზევე გარდაიცვალა.

სამართალდამცველებმა, ცხელ კვალზე ჩატარებული ოპერატიული მოქმედებების შედეგად, ბრალდებული მომხდარიდან რამდენიმე წუთში დააკავეს.

[ბრალდებული აღიარებს ჩადენილ დანაშაულს.]

გამოძიება განზრახ მკვლელობის და ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო ტარების ფაქტებზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ის 108-ე და 236-ე მუხლებით).

კონსტრუქცია რამდენიმე ბლოკისგან შედგება:



I ბლოკი არის სათაური, სადაც პოლიცია მოქმედებს და ეს მოქმედება წარმატებულია, მიზანს აღწევს, ტყუილად არ შვრება. ჩანს მისი აღმნიშვნელი (მაგ. პოლიცია, შსს, სამართალდამცველები და ა.შ.) და წარმატების კორელატი (გახსნა, დააკავა და ა.შ.). შუაში არის უმნიშვნელო დეტალები (ადგილი, სამმართველოს ნომერი, ცხელი კვალი და ა.შ.). საბოლოოდ კი იკვრება ფორმულა, სადაც პოლიცია გამარჯვებული, მოლოდინი კი აღსრულებულია (მაგ. „შსს-მ [...] გახსნა“).



II ბლოკი გამხსნელი წინადადებაა, რომელიც გვაუწყებს წარმატების აგენტებს და მათ ქმედებას, რომლითაც შესაძლებელი გახდა აღსრულება. ეს ნაწილი სამართალდამცავი ორგანოების კონკრეტული ქვედანაყოფების შესახებ გვანვდის ინფორმაციას. ჰყვება მათზე, ვინც კონკრეტულ ოპერაციაში იღებდა მონაწილეობას. აქ მხოლოდ ქვედანაყოფის სახელწოდება იცვლება, რაც სწორედ იმას მიანიშნებს, რომ თითოეული მათგანი შემთხვევითია და მათ მხოლოდ სისტემაში აქვთ შინაარსი. მნიშვნელობა განისაზღვრება იმით, რომ საერთოს ნაწილები არიან და დამოუკიდებლად მათ ფასი არ აქვს.

მნიშვნელოვანი თავად მოქმედებების აღწერაა. ცხადია, რომ თითოეულ შემთხვევაში პოლიცია, გამოძიება მოქმედებდა. თუმცა ათიდან ათივე შემთხვევაში ეს მოქმედებები იდენტურ სიტყვებში – „ოპერატიულ-სამძე-



ბრო მოქმედებები“ ან „საგამოძიებო მოქმედებები“ – ეტყვა. ამით გვაუწყებენ, რომ პოლიციის ხელში იმდენი ინსტრუმენტია, მათი ჩამოთვლაც კი არ ღირს. სინამდვილეში ყველა ერთ მიზანს – დევიანტის შეპყრობას, წესრიგის დამრღვევის გამოჭერას ემსახურება. სწორედ ამ ბუნდოვანებაში, არაფრისშემცველ შეტყობინებაში იმალება პოლიციის ყველგანმყოფობა. მას, ვისაც ცარიელი შეტყობინებით კონკრეტული სათქმელის, არაფრით კი ყველაფრის თქმა შეუძლია, ხელწინფება რეალობის კონსტრუირებაც.

ეს ბლოკი აუცილებლად სრულდება სიტყვით „შედეგად“, რომელიც მარგი ქმედების კოეფიციენტზე მიუთითებს და, ცხადია, ის ასპროცენტია. ეს მიზანმიმართულობის ნიშანია. ეს მზერა დაჟინებით მიემართება ნებისმიერს. პოლიციური ენა ქმნის ილუზიას, რომ მთელი მანქანა ამ მიზანმიმართულობაში ერთ წერტილში იყრის თავს და ვაი მას, ვინც ამ წერტილის გულისგულში აღმოჩნდება. პოლიციური ენა შედეგებს მიითვლის.



III ბლოკი დანაშაულს და დამნაშავეს ეძღვნება, ამ უკანასკნელს პოლიციური ენა სახელით და გვარის პირველი ასოთი მოიხსენებს. ამ ჟესტით მას თითქოს პიროვნულობას ართმევს, სტატისტიკაში გადაჰყავს. შეუძლებელია, ადამიანის დანახვა ინიციალის უკან. რაც არ უნდა უდანაშაულობის პრეზუმფციითა და პერსონალური მონაცემების დაცვის სტანდარტებით გამართლდეს ეს ქმედება, რეალურად, მას უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე ადამიანის უფლებების დაცვა. ადამიანის უფლებები ხარკს იხდის პოლიციური ენის მიზნების წინაშე, რომლის განზრახვა დამნაშავეს დესუბიექტივიზაციაა, რათა შესაძლებელი გახდეს მასზე ძალაუფლების მოპოვება, მაშასადამე, ძალადობრივი აქტი. ამიტომ კონკრეტულ პირს ინდივიდუალურ კოდს ართმევს და ამგვარად მის დეჰუმანიზაციას იწყებს. რადგან, ვინც სუბიექტი არ არის, მასზე ძალადობა ძალადობად არ შეირაცხება. ამ პროცესში დაბადების წლის მოხსენება ციფრების გამოყენების აუცილებლობას აჩენს, რაც სტატისტიკის ალუზიას კიდევ უფრო ამწვავებს, უფრო და უფრო აცლის დევიანტს ადამიანობას. გარდა ამისა, სახელის სრული ვერსია და გვარის ინიციალი ღიმილს იწვევს და კიდევ უფრო ართულებს ინფორმაციის სერიოზულად აღქმას.

ამავე ბლოკში პოლიციური ენა დანაშაულს სახელს არქმევს, რომელიც ამონარიდია სისხლის სამართლის კოდექსიდან, კანონიდან, რომელიც ერთ დისპოზიციაში ათასობით განსხვავებულ შემთხვევას ანესრიგებს, მიუსჯის და ერთი პროცედურის დაცვით ერთ კონკრეტულ დაწესებულებაში ამწვავებს.

პოლიციური ენა „ბრალდებაზე“ აკეთებს აქცენტს. გვეუბნება, რომ ვიღაცას რაღაცაში ბრალი ედება. თავისთავად, ეს ბრალდება, სამართლებრივი თვალსაზრისით ჯერ კიდევ არ ნიშნავს კონკრეტულ პირსა და დანაშაულს შორს დადგენილ მიზეზმდეგობრივ კავშირს და მსჯავრდებას. თუმცა მისი როლი პოლიციური ენის მიზნებისთვის არსებითია. ასამართლებს არა სასამართლო, არამედ პოლიციური ენა. ის, როგორც გილიოტინა, უდანაშაულობის პრეზუმფციას მოკვეთს დევიანტს პოლიტიკური სტელიდან და მართლმსაჯულების საჯიჯგნად წირავს მას, ვისაც მომავალში ტომებს მიაკერებენ; მტკიცებულებებს დააკრავენ და აახევენ; დაკითხვიდან-დაკითხვამდე გასტანჯავენ, გაცვეთენ; ფურცლებზე დაფიქსირებული სიტყვებით შეკრავენ, მანამ, სანამ გონებაში ყველაფერი არ გაქრება და შემთხვევის ერთადერთ დასტურად ეს გაქვავებული დოკუმენტები არ დარჩება, რომლებიც არასრულყოფილად გადმოსცემენ მოვლენას, ისე, თითქოს ის არც არასდროს მომხდარა, წლების განმავლობაში ატარებენ პროკურატურის სართულებსა და სასამართლო ინსტანციებს შორის.



შემდეგ IV ბლოკში, რომელიც თითქმის ყოველთვის ასე ჟღერს: „გამოძიებამ დაადგინა“, საუბარი ისევ პოლიციის წარმატებულობასა და ძალმოსილებაზეა. ეს ნაწილიც მუდმივობაში იკითხება და გულისხმობს, რომ დაადგინა არა მარტო დღეს და არა მარტო ეს შემთხვევა, არამედ ადგენდა ყოველთვის და დაადგენს მომავალშიც.



V ბლოკში წინ წამოინევს დევიანტის ქმედება, ოღონდ ის აქ თავისთავად იმისთვის კი არ არის მოხმობილი, რომ შემთხვევის ინდივიდუალურობა დაგვანახოს, არამედ იმისთვის, რომ სსკ-ის (სისხლის სამართლის კოდექსის) კონკრეტულ დისპოზიციას შეესაბამებოდეს.


ამ ბლოკშივე ჩნდება მსხვერპლი, თუმცა მისი ფუნქცია უფრო ფაქტების გამყარებაა.


■ **ემოციური მომენტი**
სხვა პლასტში ინაცვლებს, ტრაგედია ნარატივში აღარ თამაშდება, ის გამოეყოფა ამბავს, გამოდის მთხრობელის იურისდიქციიდან. მთხრობელი თავისუფალია ემოციისგან, სრულიად უგრძობია, გამორიცხავს სულიერ ძვრას. ტრაგედია უკვე იმის კისერზეა, ვინც ამბავს ისმენს. გვაშფოთებს არა თავად ამბავი, არამედ მთხრობელის ცივი ტონი და სწორედ ეს არის მთელი ტრაგიკულობა, სწორედ აქეთ ინაცვლებს ემოციური მახვილი. ამგვარად, მთელი პასუხიმგებლობა ნარატივის ადრესატზე გადადის.

■ **ნარატივი ისე ფორმირდება, რომ მას არც სუბიექტი ჰყავს და არც ობიექტი. ნარატივი თავად არის ორივე მათგანი, იგი ითავსებს ყველა გრამატიკულ თუ პოლიტიკურ მნიშვნელობას. „კრიმინალური ქრონიკა“ წინადადება გრამატიკის გარეშე, პუნქტუაცია სასვენი ნიშნების გარეშე, თხრობა ისტორიის გარეშე, კომუნიკაცია მონაწილეების გარეშე, სტატისტიკა რიცხვების გარეშე, სამყარო ადამიანების გარეშე.**


მას თავისთავადი ღირებულება არ აქვს. ის ადასტურებს დევიაციას. საერთოდ პოლიციურ ენაში მნიშვნელობა არც დევიანტს გააჩნია და არც მსხვერპლს. მათი ფუნქციაა, ჩართონ მექანიზმი. პოლიციურ ენაში ისინი საკუთარ ცხოვრებისეულ პატრონებს ხელიდან ეცლებიან, გამოდიან მათი სხეულებიდან, შესაძლებელს ხდიან პოლიციური ენის ნარატივს, იმ მიზეზებად იქცევიან, რომლებიც თხრობას აღძრავს. სტარტერები არიან გასაშლელ მაგიდაზე.

პოლიციური ენით შემთხვევა გადმოიცემა არა როგორც ტრაგედია, არამედ როგორც ილუსტრაცია, რომელიც რაღაც სხვა ამბის, დიდი ამბის მოზაიკის ერთი ნამსხვრევეა და მხოლოდ მის მთლიანობაში აქვს მნიშვნელობა, ვინაიდან ის საერთო სურათის შევსებას ემსახურება. არა კონკრეტული შემთხვევა, არამედ მთელი „კრიმინალური ქრონიკა“ ის, რაც უნდა გავიგონოთ. ამგვარ რეალობაში ემოციური მომენტი სხვა პლასტში ინაცვლებს, ტრაგედია ნარატივში აღარ თამაშდება, ის გამოეყოფა ამბავს, გამოდის მთხრობელის იურისდიქციიდან. მთხრობელი თავისუფალია ემოციისგან, სრულიად უგრძნობია, გამორიცხავს სულიერ ძვრას. ტრაგედია უკვე იმის კისერზეა, ვინც ამბავს ისმენს. გვაშფოთებს არა თავად ამბავი, არამედ მთხრობელის ცივი ტონი და სწორედ ეს არის მთელი ტრაგიკულობა, სწორედ აქეთ ინაცვლებს ემოციური მახვილი. ამგვარად, მთელი პასუხიმგებლობა ნარატივის ადრესატზე გადადის.

 **შემდეგი, VI ბლოკი:** პოლიციური ენა ისევე პოლიციის წარმატებაზე მოგვითხრობს და ეტევა კონსტრუქციაში „სამართალდამცავებმა... დააკავეს“. აქ ეს მითითება სამდებია. ერთ ტექსტში პოლიციური ენა სამჯერ მიუთითებს სამართალდამცავთა ყოვლისშემძლეობაზე. თითოეული კი წინა განზრახვას ადასტურებს – დაგვანახოს ჩვენი უსუსურობა მანქანის წინაშე, ჩავგინერგოს რიდი და შიში მის წინაშე უსასოო, განწირული, ბედისწერით განსაზღვრული გაქცევის, თავის დაღწევის შეუძლებლობა.

 **VII ბლოკი** სხვა არაფერია, თუ არა აღსარება, მონანიება, რომელიც პოლიციის მიერ გამოვლენილი ფაქტების უტყუარობას და, შესაბამისად, თავად პოლიციის უტყუარობის წინაშე ადამიანის უსუსურობას, უძლურებას

და წინააღმდეგობის შეუძლებლობას გამოხატავს. დაკავებული დანაშაულს აღიარებს. მაშასადამე, კიდევ ერთხელ დასტურდება უცდომელობა. ბრალდებული თავად აჭერს ხელს ელექტრო ლილაკს. მნიშვნელობა არ აქვს, ნამდვილად მან ჩაიდინა თუ არა დანაშაული. უფრო მნიშვნელოვანია აღიარება, რომელიც თვითგადარჩენის ინსტინქტსაც კი – უარყო საკუთარი დამნაშავეობა და იმართლო თავი – ანუღირებას უკეთებს. იურიდიული დოქტრინა აღიარებს კიდევ, რომ ბრალდებულის აღიარებითი ჩვენება არ შეიძლება ავტომატურად, სხვა მტკიცებულებების გარეშე გახდეს პირის მსჯავრდების საფუძველი (შეიძლება მან მოიტყუოს და ა.შ.). მაგრამ ეს კითხვის ნიშნის ქვეშ კი არ აყენებს კონკრეტული პირის მიერ დანაშაულის ჩადენის შანსს, არამედ, პირიქით – ზრდის, გარდაუვალს ხდის დანაშაულს. ეს ისეთი დამლაა, რომელიც გამამართლებელი განაჩენის შემთხვევაშიც კი დამნაშავეობას მიუთვლის დევიანტს.

 **ბოლოს კი მთელი ეს ეპოპეა VIII ბლოკით გვირგვინდება, სადაც პოლიციური ენა ჩქარი ტემპით, მიფუჩეჩებული ემოციით, ბიუროკრატიული გულგრილობით გვამცნობს გამოძიების მიმდინარეობის შესახებ. თხრობის დრო თითქოს ანმყოა, მაგრამ იგი მოიცავს წარსულს – რადგან პოლიციური ენა უკვე მომხდარ ამბავს გვიყვება – და მომავალსაც, რადგან ისეთი დამაჯერებელი ტონი აქვს, რომ სამართლის აღსრულება საქმეზე განაჩენის დადგომასთან ერთად გარდაუვლად გეჩვენება. სინამდვილეში, ამ თხრობაში არ არსებობს დრო. ის მუდმივი და ყოვლისშემძლეა. დრო, რომელსაც ვერ დავმალეობი, რომელიც ყველგან გიპოვის, ყველა კარებს შეაღებს და ყველა ღრიჭოში შეძვრება.**

ეს news-ები გადამონმებას არ ექვემდებარება, მათ ვერ ჩაუღრმავდება. ეს ტექნიკურადაც კი შეუძლებელია. უბრალოდ, სათანადო ინფორმაციას ვერ მოიპოვებ, დოკუმენტებს არ მოგანვდიან და ამის მიზეზად გამოძიების ინტერესებს ან პერსონალური მონაცემების დაცვას მოიტანენ. ბუნებრივიცაა, რადგან ეს ინფორმაცია თავის თავში არც გულისხმობს გადამონმების შესაძლებლობას. ეს ნეიტრალური ამბავია, ჩაშლილი სტატისტიკა, რომელიც უბრალოდ გვამცნობს, უბრალოდ ჰყვება, მხოლოდ ლაპარაკობს, ლაპარაკობს თავისთავად, შინაარსის გარეშე. არც ერთი

ეს ამბავი, სინამდვილეში, არაფერს გვეუბნება. მისი მიზანი არც არის რაიმე გვიტხრას, იგი დაცლილია აზრისგან. უძრავ დისკურსში მხოლოდ კოდირებულ კონსტრუქციებს აქვს მნიშვნელობა და არა ფაქტებს. ფაქტებზე, ნივთებზე, დეტალებზე ყურადღების გამახვილება პოლიციური ენის მიერ მხოლოდ გზის არევაა. გამზირები, ნომრები, გეოგრაფიული არეალები, მხოლოდ მიზეზია კონსტრუქციების კვლავნარმოებისთვის. თხრობაში მთავარი ის სიტყვები კი არ არის, რომლებიც დეტალებს განასხვავებენ, არამედ სიტყვები, რომლებიც მეორდებიან: შსს, გახსნა, დაკავება, გამოძიება და სხვ.

პოლიციური ენა მხოლოდ შინაგან საქმეთა სამინისტროსა და საგამოძიებო ორგანოების დისკურსში არ გვხვდება. იგი სხვა არეალებშიც აღწევს. მაგალითად, როგორცაა საზოგადოებრივი ორგანიზაციები, საჯარო სექტორი, მომსახურების სფერო, ბიზნესი. ამიერიდან ოფიციალური საკომუნიკაციო ენა პოლიციური ენა ხდება. ამიტომ პოლიციური უკვე აღარ აღნიშნავს მთხრობელის სტატუსს, არამედ მის განზრახვას.

აქამდე არსებული ენის მიხედვით, ფაქტები ადამიანების გარშემო აიგებოდა. როდესაც ადამიანზე ვსაუბრობთ, თითქოს ვსაუბრობთ მის პიროვნებაზე, რომელსაც ჰქონდა მომავალი, გეგმები. წესით, მოვლენები ადამიანების გარშემო ვითარდება. ჩვენი აზროვნებისთვის ტრადიციულ იქცა კლასიკური აღქმა, სადაც ადამიანი ყოველთვის მოვლენების ცენტრში, მთავარ პერსპექტივაში დგას, ის არის სუბიექტი და ამბავი მისით იხსნება. მაგრამ „კრიმინალურ ქრონიკაში“ სუბიექტი იკარგება, იკარგება არა მხოლოდ ადამიანი, არამედ მთხრობელიც. იკარგება მკვლელიც, მოკლულიც და, მით უმეტეს, თანამზრახველებიც. მოვლენა საკუთარი გმირებისგან დისტანცირდება. ის არა მათ გარშემო, არამედ თავისთავად ვითარდება. ერთადერთი მონაწილე არის თავად დისკურსი, ანუ თხრობა; არა ნარატორი, არამედ ნარატივი. თხრობაში თითქოს უკვე მომხდარ ამბავს კი არ გადმოგვცემენ, არამედ მის კვალდაკვალ, თანდათან, ნელ-ნელა და ნება-ნება იქმნება მოვლენა – თითქოს ის ქმნიდეს ფაქტს. თხრობა მიუჩინს ყველა სიტყვას თავის ადგილს, არა გმირებს, გარემოებებს, გეოგრაფიულ არეალებს, არამედ სიტყვებს, რომელთა უკანაც არაფერია, არავითარი შინაარსი და არავითარი ობიექტური მოცემულობა.

თხრობა იყენებს აღმნიშვნელებს, რომლებიც არ გამოხატავენ შინაარსს, არ აღწერენ მას, არ ცდილობენ, გაგვაგებინონ კონკრეტული ადამიანების ბედი, არამედ, უბრალოდ, ქმნიან ნარატივს ობიექტის გარეშე. ამგვარად, ნარატივი ისე ფორმირდება, რომ მას არც სუბიექტი ჰყავს და არც ობიექტი. ნარატივი თავად არის ორივე მათგანი, იგი ითავსებს ყველა გრამატიკულ თუ პოლიტიკურ მნიშვნელობას. „კრიმინალური ქრონიკა“ წინადადებაა გრამატიკის გარეშე, პუნქტუაცია სასვენი ნიშნების გარეშე, თხრობა ისტორიის გარეშე, კომუნიკაცია მონაწილეების გარეშე, სტატისტიკა რიცხვების გარეშე, სამყარო ადამიანების გარეშე. ■



საჯიბო ენის ძიებაში

ეთნიკურად არაქართველი ადგილობრივებით დასახლებულ რეგიონებში სახელმწიფო ენის უცოდინარობა საქართველოს მოქალაქეებისთვის განათლების მიღებას, ეკონომიკურ ინტეგრაციას თუ ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში სრულფასოვან მონაწილეობას მინიშნელოვნად აფერხებს.

სოფო აფციაური, თათია ხალანი

მარნეულის გზებზე გადატვირთული მიწრაობა. მალაზიებზე, სოლამაზის სალიწების, ლომბარდების, თითქმის ყველა დანეტელებლის შესასვლელში წარწერები ქართულ და რუსულ, იშვიათად კი აზერბაიჯანულ ენებზეა.

წვიმს, მაგრამ N3 აზერბაიჯანულ-ნოვარა საჯარო სკოლის მოსწავლეები შესვენებაზე სკოლის შენობაში ვერ ჩერდებიან. დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის, გულნარა დარგალის, კაბინეტში ქართული ენის მასწავლებელს ეხვებიან. წუნუ ხარშილადი ამ სკოლაში უკვე ათი წელია მუშაობს. აზერბაიჯანულ სკოლებში ქართულის სწავლა პირველი კლასიდან იწყება და გაკვეთილი ყოველდღე უტარდებათ. ინგლისურთან ერთად მეორე უცხო ენად მსხუთე კლასიდან რუსულის სწავლას იწყებენ. წუნუ ხარშილადი ამბობს, რომ ახალ თაობაში ქართული ენისადმი ინტერესი შედარებით გაიზარდა, გაუმჯობესდა ენის სწავლება.

„აღრე სახელმძღვანელოებიც კი არ გვექონდა, ეს პრობლემა მოგვარდა. ამასთან, მოსახლეობაში სახელმწიფო ენისადმი ინტერესი გაიზარდა. მშობლები ძალიან მოტივირებულნი არიან. უნდა იქნას, რომ მათმა შვილებმა ქართული იცოდნენ. რა თქმა უნდა, გაკვეთილების ჩატარების დროს დაბალ კლასებში ენობრივი პრობლემაა. თან წესია, რომ ქართულად უნდა ვესაუბროთ. მაგრამ ბავშვებს ის არ ესმით, მათი მშობლიური ენა ჩვენც ელემენტარულ დონეზე ვიცით და ასე კონტაქტობი. მეათე და მაღალ კლასებში თუ შეხვდით, ნახავთ, რომ ბავშვები ქართულად გამართლად საუბრობენ.“ – გვეუბნება წუნუ.

მეათე კლასი. ქართული ენის გაკვეთილი. ითაბში ჩემდებრი მონაწილე ზის. ერთი გოგონა ხელს იწვევს. უნდა, რომ იფილყოფი გახდეს. მეორე, მის უკან მჯდომი გოგონა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ეკონომიკის ფაკულტეტზე აპირებს სწავლის გაგრ-



მეათე საჯარო სკოლის მოსწავლეები შეხვედრას ელოდებიან დარგალის, თბილისში დასახლებულნი.



ძელებს. დანარჩენები ხმას არ იღებენ. შეკითხვაც იციან თუ არა ქართული იმ დონეზე, რომ სწავლა უშუალოდ სასწავლებლებში გააგრძელონ, პასუხს არ გვეცემენ. ქართულის მასწავლებლები გვეუბნება, რომ თბილისის სწავლის გაგრძელებაზე ახლა გაცილებით მტკიონა მისწავლე ფიქრობს. ქალაქში სულ რვა სკოლაა, მათ შორის მხოლოდ ერთია ქართულენოვანი,

მეორე – შერეული აზერბაიჯანულ-ქართული სექტორებით. N6 ქართულენოვან საჯარო სკოლაში 1000 მოსწავლე დადის. მათ შორის სასწავლებლებში გააგრძელონ, პასუხს არ გვეცემენ. ქართულის მასწავლებლები გვეუბნება, რომ თბილისის სწავლის გაგრძელებაზე ახლა გაცილებით მტკიონა მისწავლე ფიქრობს. ქალაქში სულ რვა სკოლაა, მათ შორის მხოლოდ ერთია ქართულენოვანი,

რომ მოშობები სვდებიან, რომ თუ მათი შვილები სახელმწიფო ენა არ ეცოდინება, სამომავლოდ საზოგადოებაში ინტეგრაცია გაუჭირდებათ. სკოლაში 1000 მოსწავლედან 80% მჭიბია. დირექტორის თქმით, დანეტეობი ლასებში ბავშვებთან კონტაქტს კი ქორს, მათ არ იციან სასაუბრო ქართული შესაბამისად, ჰედაგოებს რაოდენიმე წლის განმავლობაში დიდი

ძალისხმევა სჭირდებათ, რომ მოხანაველებმა ქართულად საუბარი შეძლონ. „სკოლაში მჭირდა შემთხვევა, როცა ცეცხმა მშობელს ბავშვის აზურბაიჯანულენოვან სკოლაში გადაცვანა უნდა, რადგან აქ სწავლა უფროდა ამიტომ ვეფიქრებ, მესუფთ კლასში ანაკარულენოვანი ბავშვები აღარ მივიღი – მათთვის ქართულის სწავლა უკვე ძალიან რთულია“.

ლელა ხარშილაძე მშობლებთან კონ-


საქართველოში ვცხოვრობთ და სახელმწიფო ენა როგორ არ უნდა ვიცოდეთ? – გვეუბნება დამტკრული ქართულით. კლასში ისმაილი ქართულად ცველაზე უკეთ საუბრობს.

დენტის, უიდარ ალივის, ფინდის და ფინანსებით მილიანად გარემონტდა. ალტურევა სხვადასხვა ტექნიკური საშუალებით. ბავშვები არაქართულენოვან გარემოში ცხოვრობენ და ამის დაძლევა მხოლოდ მათი სურფილი შეძლება. მე სულ ვიხოვ მასწავლებლებს, ბავშვებს ქართული სატელევიზიო არხების ყურება სიხოვონ. თუ შესაბამისი გარემო არ იქნება, შეუძლებელია ენის

სწავლა, – ამბობს ქართული ენის მასწავლებელი. გარდაზინდენ ოდნავ მოშორებით თბილყარის დასახლება. ორსართულიანი პატარა სკოლის კედლები ლურჯადაა შეღებილი. შესვენიბამდე რამდენიმე წუთი დარჩა. მესუფთ კლასში ხუთი მოსწავლე ზის. კრიაადერი გოგონა ცალკე მაგიდასთან მიმუდარა. მასწავლებელი კლასიდან გასულა. ქართული არც ერთმა არ იცის, არც

მით რას ვეუბნებით. საკლასო ოთახიდან გავედვიარი. მწორე სართულის ფანჯარაზე დიდი ფურცელი გაკრული ორენოვანი წარწერით: „კეთილი იყოს თქვენი მობრძანება. გილოცავთ 2014-2015 სასწავლო წლის განყებას“, – ეს ჩემი ხელით მოხებატე, გვეუბნება რუსულად ერთ-ერთი მასწავლებელი. თბილყარის სკოლაში 100-მდე ბავშვი სწავლობს. კლასში მაქსიმუმ 10

მოსწავლეა. მესწავლებელი ცდილობს ოთახი გარეთააა შენიბამ განაკლასა რატებს ცდილობენ, მაგრამ ერთმანეთს არ გვეკსმის. „ამ სკოლაში ქართული ენის ცოდნას სკოლის ადგილმდებარეობაც უწლის ხელს. ბავშვები ფაქტობრივად, იზოლირებული არიან გარდაზინდენ. არც მათმა მშობლებმა იციან სახელმწიფო ენა“, – გვეუბნება ქართულის მასწავლებელი.



მეცხე საყვარი სკოლის მოსწავლეების 80% ზეიბაა აზურბაიჯანული.

■ სკოლის დირექტორი, ლელა ხარშილაძე, მშობლებთან კონტაქტის სინწლეებზეც საუბრობს. ამბობს, რომ მშობლების ჩართულობა, ზოგადად, პრობლემატე ქვეყანაში, მარწეულის ქართულ სკოლებში კი პრობლემატე ქართული ენის არცოდნაც ემატება. სახლში მათ ქართულად არაიენ ვსაუბრება, ისინი მარტო მეცადინეობენ.

ტაქტის სინწლეებზეც საუბრობს. ამბობს, რომ მშობლების ჩართულობა, ზოგადად, პრობლემატე ქვეყანაში, მარწეულის ქართულ სკოლებში კი პრობლემატე ქართული ენის არცოდნაც ემატება. სახლში მათ ქართულად არაიენ ვსაუბრება, ისინი მარტო მეცადინეობენ. „ამიტომ ხშირად მშობლებთანაც ემუბობით. ელემენტარულ დონეზე ვასწავლით, როგორ დეცემიარონ შე-

ეზოში ისეც ხმაირა. ბიჭები ცალკე თამაშობენ. გაკვეთილები დასრულდა. მშობლები მცირწლეიდან შევიღება ქოლგებით ხელში გარეთ ელოდებიან. „თბილისი – ჩენი დედაქალაქი“, – ეს საქართველო ხმწლეუის თფაღა, დიდი სამოთხის კოწოტე პატარა“, – ეს წარწერები უკვე გარდაზინდენ აზურბაიჯანული სკოლის შესწავლეუბია. სკოლა 2010 წელს აზურბაიჯანის ყოფილი პრეზი-



მეცხე საყვარი სკოლაში 100% სკკლასი ოთახია გარდაზინდენ.



ქართული ენის არცენის საბავშუო ბაღის აღსაზრდელებისთვის პრობლემებს ქმნის გარდაბანი

ენობრივი ბარიერით გამოიწვეული პრობლემები სკოლაშედილი აღზრდის დაწესებულების პედაგოგებსაც აწუხებთ. მარნეულისა და გარდაბნის ორივე საბავშუო ბაღში მასწავლებლებს დიდი წვადება სჭირდებათ, აღსაზრდელებისთვის ელემენტარული სიტყვების სასწავლებლად. აქვრ წარმოდგენით, თავიდან რ ართული ბავშვებთან კონტაქტი. ენის არცოდნას, სექტორებში ბავშვთა დიდი რაოდენობაც ენაზეა. ერთ ჯგუფში 50 აღსაზრდელთან კონტაქტი არ გვეხმის, შუფლებულია. ამიტომ, ჩვენც ვცდილობთ აზურბათიანული სიტყვები მოვიძებლოთ", - გვიყვება გარდაბნის N3 საბავშუო ბაღის აღსაზრდელი მთვარისა გულბანი.

*** რამდენიმე წელია მარნეულში USAID-ის დემოკრატიული ჩართულობის ცენტრი ფუნქციონირებს. მისი წარმომადგენელი მარია სამხარაძე ამბობს, რომ ცენტრში შეხვედრები, როგორც წესი, სამ - ქართულ, აზერბაიჯანულ და რუსულ ენებზე ტარდება. დისკუსიების ჩატარების დროს ენა მუდმივი პრობლემაა. ხანდაზმულებს უფდარებით კარგად საუბრობენ ქართულ, თუმცა ახალი თაობის წარმომადგენლებიც ენობრივი ბარიერი გამოიწვეულ პრობლემებს ხშირად ეჭვებიან. მაგალითად, აზერბაიჯანული და ქართულენოვანი ბავშვებისთვის საზაფხულო სკოლა ცალკე-ცალკე გაეკეთეთ. ერთად გვიწოდდა, მაგრამ აზრი არ უქონდა.

საქართველად ვერ ვთარგმნიდით", - ამბობს მარიაში, და იხსენებს შემთხვევებს, როცა საჯარო დაწესებულებებში დასაწერი განცხადებებისთვის მოსახლეობა ხშირად მათ მიმართავს: "საკრებულის სხდომებზე ვყოფილვარ, გამგებობაში ქართველები არიან, საკრებულოში - აზერბაიჯანელები. სხდომები მუდმივად რუსულად მიმდინარეობს, სხვა გზა არაა, ერთმანეთის არ ესმით". ნილსფერ კურნალი რამდენიმე თვეა დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში მუშაობს. უმაღლესი სასწავლებელი თბილისში დაამთავრა. თავიდან ქართულად მეტყველებდა და სწავლა უჭრდა, მაგრამ თბილისში ქართველების ოჯახში ცხოვრობდა. დედამაც იცის ელემენტარული სიტყვები და ამიტომ ქართული საბოლოოდ კარგად შეისწავლა.



„შეიძლება ითქვას, რომ ადრე შვირც ენად რუსული ენის სწავლა იყო მოდამი, ახლა ქართულია. ბერი შუახნის ადამიანი ვიცი, ვინც ქართულის სწავლა ახლა დანერგა, რომ სამსახურის შიგნით მოახერხოს", - ამბობს ნილსფერი. ენობრივი ბარიერის პრობლემა როგორც სამედიცინო დაწესებულებების პაციენტებს, თუმცა გამოიწვევს საუბრობის პაციენტებს, ასევე ადგილზე მომუშავე პერსონალსაც აქვს. მარნეულის ერთ-ერთი საავადმყოფოს მთავარი ექიმისა და მენეჯერის, მამუკა ჩხარტაშვილის კაბინეტთან თავის რიგს სამი ქალი ელოდება. მათთან გამოლაპარაკებას რუსულად და ქართულ ენაზე ვცდილობთ, თუმცა გზავდებით, რომ არცერთი ენა არ ესმით.



■ ენობრივი ბარიერის პრობლემა როგორც სამედიცინო დაწესებულებების პაციენტებს, ასევე ადგილზე მომუშავე პერსონალსაც აქვს. მარნეულის ერთ-ერთი საავადმყოფოს მთავარი ექიმისა და მენეჯერის, მამუკა ჩხარტაშვილის კაბინეტთან თავის რიგს სამი ქალი ელოდება. მათთან გამოლაპარაკებას რუსულად და ქართულ ენაზე ვცდილობთ, თუმცა გზავდებით, რომ არცერთი ენა არ ესმით.

ერთი მთავარი ხმის არ იღებს. როგორც ჩანს, ახლავს გზად ექიმი საუბრობის გარეშე ხდება, სა სჭირდებათ მოსულესს. ფორცულზე ბეჭდს ურტყამს და ისინი ოთახიდან ასევე ხმაოიულებლად გაგვეშვით, რომ სამედიცინო ენის სწავლა აქ წესისმორ მსურველს უნდა შეუძლებოდა. თუმცა მარნეულის ენის საბოლოო გეგმისთვის, რომ ვაჯერებოთ პროექტი სახელმწიფო მოხელეებზე გათვლილი და ამ მომსახურებით ადგილობრივები ახალი მომავალში ისარგებლებენ.

2011 წელს მარნეულსა და ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ სხვა რეგიონებში ქართულის სწავლის გასასაღებლად ქართული ენის სახლი გაიხსნა. თავდაპირველად დაგეგმილი იყო, რომ სახელმწიფო ენის სწავლა აქ წესისმორ მსურველს უნდა შეუძლებოდა. თუმცა მარნეულის ენის სახლი გეგმისთვის, რომ ვაჯერებოთ პროექტი სახელმწიფო მოხელეებზე გათვლილი და ამ მომსახურებით ადგილობრივები ახალი მომავალში ისარგებლებენ.



რას აკლივს სახელმწიფო პენსიების უზიაროვნებას ინტეგრაციისთვის?

სახელმწიფო ენის არცოდნა, ზოგადი განათლების დაბალი დონე, ინფორმაციურ ხელშეწყობებში, არასათანადო სამოქალაქო და პოლიტიკური ჩართულობა – ეთნიკური უმცირესობები დასახლებულ რეგიონებში ეს პრობლემები ჯერ კიდევ შევადგდს. უკვე ქართლის რეგიონის მოსახლეობა 511,2 ათას ადამიანს ითვლის. რაც

საქართველოს მოსახლეობის 11,4%-ია. მოსახლეობის 44,7% ეთნიკურად ქართველია, 45,1% – აზერბაიჯანელი, 6,4% – სომეხი, ხოლო 3,8% – აფხანი, ოსი, რუსი, ბერძენი, უკრაინელი და ქურთი. ამასთან, რუსთავსა და თეთრიწყაროში ქართველ ეთნიკურად ქართველებს, ნაკლებ – სომეხს და ბერძენს, ხოლო გარდაბანში, მარნეულში, ბოლნისსა და დმანისში – აზერბაიჯანელებს. მიმდინარე წლის ივნისში შერევაბინა და სამოქალაქო თანასწორობის

სამინისტრომ შეზენარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული კონცეფციისა და 2009-2014 წლების სამოქმედო გეგმის შესრულების შეფასების ანგარიში წარადგინა. დოკუმენტში საუბარია, თუ რა შედეგი გამოიღო სამოქმედო გეგმა და რა ხარვეზები რჩება ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაციის მხრივ. აღნიშნული კონცეფცია და სამოქმედო გეგმა მთავარბამ 2009 წლის მაისში დაამტკიცა, რომლის მიხედვით

სახელმწიფო დანტესებულებების და ეთნიკური უმცირესობებით დასახლებული რეგიონების სამი სამხარო ადმინისტრაციის წარმომადგენლები. კონცეფცია სახელმწიფო სტრატეგიასა და ამოცანებს ექვს ძირითად მიმართულებით განსაზღვრავს: განათლება და სახელმწიფო ენა, კანონის უზენაესობა, მედია და ინფორმაციურ ხელშეწყობაში, პოლიტიკური ინტეგრაცია და სამოქალაქო მონაწილეობა. სოციალური და რეგიონული ინტეგრაცია კულტურა და თვითმყოფავლობის შენარჩუნება.

სამოქმედო გეგმის შეფასებამ აჩვენა, რომ ხშირ შემთხვევაში სახელმწიფოს მიერ დაგეგმილი ღონისძიებები მნიშია, გარკვეული საგანმანათლებლო პროგრამები კი – არაეფექტური. გარდა ტრენინგების კულტურის პრობლეების, შეფასების დოკუმენტში ნათქვამია, რომ საქართველოს საკანონმდებლო სფეროში არსებობს ხარვეზები, რომლებიც ეთნიკური უმცირესობების უფლებების რეალიზების ხელს უშლის. სახელმწიფოს მიერ დაგეგმილი ღონისძიებების განხორციელებისას კი პრობრბიტულია მხოლოდ ცვლად მსხვილი ეთნიკური ვეგუბები და უფრადლებოდ რჩებიან სხვა ეთნიკური უმცირესობები, მაგალითად, ბოშები, რაც საზოგადოებაში მათ ინტეგრაციას აფერებს.

ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში ერთ-ერთ უმთავრეს პრობრბედად კვლავ სახელმწიფო ენის არცოდნა და ზოგადი განათლების დაბალი დონე რჩება. ქვემო ქართლის რეგიონის განუთარების სტრატეგიაში (2014-2021) წერია, რომ რეგიონში საგანმანათლებლო დანტესებულების დეფიციტია. ეთნიკურად არბრბიეული აბაღარბედი უმაღლესი განათლების მიმდებარე ხშირად ბაქისა და ერეკენში მდებარე. მათი ძალზე მცირე ნაწილი სწავლებას საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში. ეთნიკურად არბრბიეული ენის არცოდნის დიდი ნაწილი, ქართველ მნიშარბიების გამო, სწავლის გაგრბეულების სურბილს არ ამტკიცებს. ისინი ხშირად სწავლას მთავომყოფობებზე კლსში წყებენ*.


„ზოგადი განათლების ხელშეწყობის ქართველს არ არსებობს მნიშარბი, რომ ზოგად საგანმანათლებლო დანტესებულებებში სწავლების ენა ქართულია. საქართველოს მოქალაქეებს კი, რომელთათვისაც ქართული ენა მხოლოდური არ არის, უფლება აქვთ, მიიღონ სრული ზოგადი განათლება მათ მხოლოდურ ენაზე, თუმცა სკოლებში სახელმწიფო ენის სწავლება სავალდებულოა.“

მარნეულის სკოლის მასწავლებლების თქმით, ბოლო წლებში სახელმწიფო რეგიონებთან დაკავრბეული პრობლემა მეტ-ნაკლებად გადაიჭრა. მიუხედავად ამის, კვლევები აჩვენებს, რომ სახელმწიფო ენის ინტეგრაციის უფრო მაღალი ეფაუტეა.

“უპასუხიობი აბიიბი, ხომოხს ამოხა 26”

პროგრამა „ვასწავლი ქართულს, როდორ გეორ ენა“ გულისბობს ქართული ენისა და ლეგონტრის კვალიეოკური მასწავლებლების მოელრბებს სამტრეკედიის მდებარე ქართლისა და აბიბიო ეროვნული ეთნიკური უმცირესობებით დასახლებული სოფლებში იმ არბრბიეულ ენა სკოლებში სავად განმარბიეობით უმაღლესი დღის ქართული ენის ცოდნისა და სწავლების საფრფი.

2009-2012 წლებში კონკრბეული მონაწილეობა 1000-ზე უარს მიიღო. მიმდინარე ტრებრბეა და გასაგრბეებს წარმებები მხოლოდ 86-ს ტრებრბე-მასწავლებლებს გაიარა. მათსედა დასაქმებულნი 75 ვეგეიფი აბაღარბეული ტრებრბე-მასწავლებლებს მდებარეობს ტრბრბეები საკრბეები ქართლის, როდორ გეორ ენის, სწავლების მეთოდიკა (50 სს), ეთნიკურ და რეგიონური ტრბრბე-მასწავლებლებს (5 სს) და განდამარბიეეებარბე ან სომურბი ენის შემსწავლელი სწავლ სკოლის (50 სს). ამ პროგრამის ფრადლებში ბეგეობებში მასწავლებლებს საბაბრბეი აბრბრბებების გარე, სახელმწიფო პროგრამის რეგრბე ხეფალების 1000 ადამიანს ითვლიან. პროგრამა ხორცელებს აბაღარბეები, ნომ-მასწავლებლებს, ბოლნისში, დმანისში, გარდაბანში, მარნეულსა და საგარეგეობი.



"ქართული ენა მომავალი ნაჩხატებისთვის"

2011-2012 წლებში „მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის“ პროგრამა „ქართული ენა მომავალი ნაჩხატებისთვის“ განხორციელდა, რომლის მიზანია, ხელი შეუწყოს საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების სამოქალაქო ინტეგრაციას. პროგრამის მიზნობრივ ჯგუფს წარმოადგენენ ქვემო ქართლში, სამცხე-ჯავახეთსა და კახეთში არსებული არაქართულენოვანი სკოლების მოსწავლეები, მასწავლებლები, სკოლის დირექტორი და ადგილობრივი თემი.

არაქართულენოვან სკოლებში ქართული ენის ფლობის დონის გაუმჯობესების მიზნით სსიპ „მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულმა ცენტრმა“ კონკურსის წესით შეარჩია და გაგზავნა 2011 წელს 303, ხოლო 2012 წელს 237 ბაკალავრის ხარისხის მქონე სპეციალისტი, რომლებიც ეხმარებიან ადგილობრივი არაქართულენოვანი სკოლების მასწავლებლებს საგაკვეთილო პროცესის ორ ენაზე წარმართვასა და ქართული ენის გაკვეთილის ჩატარებაში.

ზუხაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრაციის ხელმძღვანელი

მარნეულში მოქმედებს ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლა, რომლის მიზანია, ცენტრალურ და რეგიონულ დონეებზე მმართველობისა და თვითმმართველობის ორგანოებში დასაქმებულ საჯარო მოხელეთათვის როგორც მოკლევადიანი, ისე გრძელვადიანი პროფესიული-საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება. ქართული ენის სწავლების კურსი (წელიწადში 3 თვე ეტაპობრივად); ინგლისური ენის სწავლების კურსი (წელიწადში 3 თვე ეტაპობრივად). ასევე სხვადასხვა კურსები: ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვა, ფინანსური მენეჯმენტი, პროექტის მართვა და მონიტორინგი, ადამიანური რესურსების მართვა, სამართლის საფუძვლები და საქმისწარმოება, მენეჯმენტის საფუძვლები.

დასახვევია. ასევე, ეროვნულ უმცირესობათა ენებზე სახელმძღვანელოების თარგმნის და ორენოვანი სახელმძღვანელოების გამოყენების პრობლემა ისევე დგას.

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გადამწყვეტილებით, 2011 წლიდან სასკოლო სახელმძღვანელოების თარგმნის პროცესი შეიცვალა. მშობლიურ ენაზე სახელმძღვანელოებში არსებული მასალის მხოლოდ 70% ითარგმნება, ხოლო 30% სახელმწიფო ენაზეა. ინიციატივის მიზანი ბილინგვური განათლების რეფორმის ხელშეწყობა იყო, თუმცა სხვადასხვა კვლევები აჩვენებდა.

ლი რიგი ღონისძიებები არაეფექტურია. არაქართულენოვან სკოლებში განათლების შედარებით დაბალ ხარისხს სასკოლო საატესტაციო გამოცდებისა და მისაღები გამოცდების შედეგებიც ადასტურებს.

„სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრის“ ხელმძღვანელი შალვა ტაბატაძე ამბობს, რომ არაქართულენოვან სკოლებში მხოლოდ სახელმწიფო ენის არცოდნა კი არა, ზოგადად, განათლება პრობლემაა.

„განათლების სამინისტროს მიერ განხორციელებული სხვადასხვა პროგრამა

■ კვლევის მიხედვით, არაქართულენოვანი სკოლის კურსდამთავრებულებში ჩაჭრილობა პროცენტული რაოდენობა სხვადასხვა საგანში 8,23%-დან 29,95%-მდე მერყეობს. იგივე მაჩვენებელი საქართველოს მასშტაბით 1,53%-დან 4,54%-მდეა.

2010-2013 წლებში მისაღები გამოცდების ზოგადი უნარების ტესტებში სომხურენოვან და აზერბაიჯანულენოვან ჩაჭრილ აბიტურიენტთა რაოდენობა 27,8%-ს შეადგენს. ქართულენოვან აბიტურიენტთა ანალოგიური მაჩვენებელი კი 10 %-ს არ აღემატება.

ნებს, რომ ეს ინიციატივა ხარვეზებით განხორციელდა.

„საგნის მასწავლებლები, რომლებიც საერთოდ ვერ ფლობენ სახელმწიფო ენას, ვერც სახელმძღვანელოების გამოყენებას ახერხებენ, რადგან მათთვის გაუგებარია სახელმძღვანელოში სახელმწიფო ენაზე არსებული სასწავლო მასალის შინაარსის 30%;

არაქართულენოვანი სკოლის მოსწავლეთა მშობლები კი ვერ ახერხებენ მოსწავლეთა დახმარებას, რადგან სახელმძღვანელოში სახელმწიფო ენაზე არსებული მასალა მათთვისაც გაუგებარია“, – აღნიშნულია სამოქმედო გეგმის შეფასების დოკუმენტში.

„ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრის“ მიერ მომზადებული ანგარიში – „ზოგადი განათლების ვაუჩერული დაფინანსების ეფექტურობის კვლევა თანასწორობის კონტექსტში“ – აჩვენებს, რომ ეთნიკურ უმცირესობებთან დაკავშირებით განათლების სამინისტროს მიერ ჩატარებული

მა ეფექტური რომ არაა, თვალსაჩინოა. სწავლობენ ქართულ ენას, მაგრამ უშედეგოდ. რადგან არ გვყავს ხარისხიანი, კვალიფიციური მასწავლებლები, მათ გადაზადებაზეც არავინ ზრუნავს. ამ სკოლებში რომ განათლება არაა განვითარებული, ამას კვლევებიც ადასტურებს. მაგალითად, საატესტაციო გამოცდებში 40% იჭრება. სამინისტროს მთავარი არგუმენტის მიხედვით, ქართული ენის სწავლება მაღალ დონეზე არ არის და არა მხოლოდ არაქართულენოვანი მოსწავლეების შემთხვევაში. მაგრამ თუ შევადარებთ ჩაჭრის მაჩვენებელს, ის ქართულენოვანი ბავშვების შემთხვევაში 10%-ით ნაკლები იყო. ანალოგიურია მისაღებ გამოცდებზეც. ზოგად უნარებს მშობლიურ ენაზე აბარებენ მაგრამ აქაც დაბალია მაჩვენებელი“, – ამბობს შალვა ტაბატაძე.

კვლევის მიხედვით, არაქართულენოვანი სკოლის კურსდამთავრებულებში ჩაჭრილობა პროცენტული რაოდენობა სხვადასხვა საგანში 8,23%-დან 29,95%-მდე მერყეობს. იგივე მაჩვენებელი საქართვე-

ლოს მასშტაბით 1,53%-დან 4,54%-მდეა.

2010-2013 წლებში მისაღები გამოცდების ზოგადი უნარების ტესტებში სომხურენოვან და აზერბაიჯანულენოვან ჩაჭრილ აბიტურიენტთა რაოდენობა 27,8%-ს შეადგენს. ქართულენოვან აბიტურიენტთა ანალოგიური მაჩვენებელი კი 10%-ს არ აღემატება.

შალვა ტაბატაძე მიიჩნევს, რომ სახელმწიფო ბევრ ფულს ხარჯავს სხვადასხვა საგანმანათლებლო პროგრამისთვის, მაგრამ კავშირი დაფინანსებას, განათლების პოლიტიკასა და ხარისხის გაუმჯობესებას შორის არ არის.

„მოსწავლე, რომელმაც ქართული ენა არ იცის, ამ ენაზე ვერც მათემატიკას, ვერც ისტორიას და ვერც სხვა საგანს ვერ შეისწავლის. სწორად განხორციელებული ბილინგვური განათლება ზუსტადაც მშობლიური ენისა და მეორე ენის კარგად, ხარისხიანად სწავლას უზრუნველყოფს“, – ამბობს შალვა ტაბატაძე.

ტაბატაძის თქმით, 2012 წლის ჩათვლით, მხოლოდ 13 არაქართულენოვანი მასწავლებელია სერტიფიცირებული, „ეს იმის ნიშანია, რომ ხარისხის მხრივ არაფერი შეცვლილა“.

ქართულის, როგორც მეორე ენის, სწავლების გაუმჯობესებისთვის 2009-2013 წლებში განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ რამდენიმე პროგრამა განახორციელა: „ვასწავლოთ ქართული, როგორც მეორე ენა“ და „ქართული ენა მომავალი წარმატებისთვის“. ორივე პროგრამა ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში მასწავლებლების გაგზავნას ითვალისწინებდა. „სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრში“ ფიქრობენ, რომ ამ წლების განმავლობაში მასწავლებლების ადგილზე გადასაზღვრა უკეთესი იქნებოდა: „განათლების სამინისტროს არ აქვს ხედვა, არ არსებობს გრძელვადიანი გეგმა. სწორედ ამის შედეგია, რომ ამდენი ფინანსური რესურსის ხარჯზე ნაკლებეფექტური პროგრამები ხორციელდება“.

შესაბამისად, შალვა ტაბატაძის აზრით, განათლების პრობლემის გადაწყვეტის ერთ-ერთი გზა, ადგილობრივი



მეექვსე საჯარო სკოლა. გარდაბნის თბილწყაროს დასახლება.

კადრების მომზადება და მათი რეგიონებში დაბრუნება:

„სახელმწიფომ უნდა წაახალისოს ადგილობრივი სტუდენტები, რომ უმაღლესი განათლების მიღების შემდეგ, რეგიონებში დაბრუნებისა და მასწავლებლად მუშაობის დაწყების სურვილი გაუჩნდეთ“.

ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაციისთვის სახელმწიფო განათლებაში საკმაოდ ბევრ ფინანსურ რესურსს ხარჯავს. გარდა ჩამოთვლილი პროგრამების არაეფექტურობისა, რჩება საკითხები, რომლებიც ამ ადამიანების ინტეგრაციას აფერხებს. მიუხედავად იმისა, რომ მარნეულის რაიონში აზერბაიჯანელი მოსახლეობა ქარბობს, სხვადასხვა წამყვან პოზიციაზე ძირითადად ქართველები

გვევლინებიან. იგივე მდგომარეობაა თითქმის ყველა საჯარო დაწესებულებაში. მარნეულში რამდენიმე პრეკედენტულ ფაქტს იხსენებენ, როცა ეთნიკურად აზერბაიჯანელი თანამდებობის პირი გახდა, ერთ-ერთი მაგალითია რამინ ისმაილოვი, რომელიც გამგებლის მოადგილედ ახლახან დაინიშნა. **□**

პროექტი დაფინანსებულია აშშ-ის მიერ, გამოცემაში გამოთქმული მოსაზრებები ავტორისეულია და შეიძლება, არ ასახავდეს აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის თვალსაზრისს.



Government of the United States

ენა თუ იდენტობა?

(ახსებობს თუ ახა "მაბხაღი და სვანაღი სავაღაღიზღის" სავაღიღი?)

კახა გაბუნია

ჯერ კიდევ XIX საუკუნის ენათმეცნიერები ამტკიცებდნენ, რომ შესაძლებელია ენის განვითარების ტენდენციის გონივრული წარმართვა. ენა გონივრულ წარევას საჭიროებს: მისი დახვეწისთვის აუცილებელია მართებული ენობრივი პოლიტიკის შემუშავება... ენათმეცნიერება არა მხოლოდ უნდა იკვლევდეს ენაში არსებულ კანონებს, არამედ აღმოჩენილ კანონთა საფუძველზე წარმართავდეს ენის/ენების შემდგომი განვითარების გეზს.

ენობრივი პოლიტიკა – ეს არის ოფიციალური ქმედება, რომელიც ცდილობს, ჩაერიოს ნებისმიერი ტიპის ენის (სახელმწიფო, რეგიონული, უმცირესობათა, უცხო და მისთ.) ფუნქციონირების სფეროში (მაგალითად, წერის ოფიციალური სისტემა, სახელმწიფო სტრუქტურებთან ურთიერთობის ენის დაკანონება და სხვა...) ან განათლების სისტემაში ამ ენების ადგილის საკითხებში. ენობრივი პოლიტიკა, როგორც წესი, ეყრდნობა გარკვეულ პრინციპებს (ეკონომიკა, ეროვნული იდენტურობა, დემოკრატიული ღირებულებები და ა. შ.).

ზოგიერთი ევროპული პოლიტიკური ფილოსოფია გეთავაზობს თეორიას, რომლის მიხედვითაც სახელმწიფო, ეროვნება და ენა ერთმანეთთან მჭიდროდაა დაკავშირებული: ენა არის ეროვნულობის სიმბოლო და კომპონენტი და, ამასთანავე, მოქალაქეობის განმსაზღვრელი ფაქტორი. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, რომ ის მკაფიოდ განისაზღვროს და გამოიყოს სხვა ენობრივი სახესხვაობებისგან, რომლებიც მოცემულ გეოგრაფიულ ტერიტორიაზე გამოიყენება.

ენობრივი სახესხვაობა – ეს არის ტერმინი სოციოლინგვისტიკაში, რომელიც ნეიტრალური, მახასიათებელი ტერმინია; მისი დანიშნულება ის არის,

რომ თავიდან ავიცილოთ ტერმინის – ენა – ხმარება, ამასთანავე, თავიდან ავიცილოთ ფასეულობითი განსჯა. ენობრივი სახესხვაობის ნებისმიერი განსაზღვრება, როგორც შემადგენელი ან არაშემადგენელი რეალური ენისა, ეფუძნება გარე ფაქტორებს და არა სახესხვაობის რეალურ (ლინგვისტურ)

■ დედაენის განმარტებისას, როგორც წესი, ხაზს უსვამენ ტერმინის სოციოლოგიურ დანიშნულებას: „დედაენა მთავარ ენას ნიშნავს და არა ვისიმე ენას: სოციოლოგიის ობიექტია და არა ინდივიდუალური ფსიქოლოგიისა“ – ამბობდა გ. რამიშვილი; „დედაენა არის წინაპრების მიერ შექმნილი კულტურის ენა, რომელიც, როგორც სამყაროს ხედვა-აღქმის სისტემა, მრავალთაობას აერთიანებს. დედაენა მთავარი ენაა და არა მაინცდამაინც ბიოლოგიური მშობლის ენა“ (ტარიელ ფუტყარაძე).

მახასიათებლებს... თუმცა, ვფიქრობთ, ამთავითვე საჭიროა, მკაფიოდ განისაზღვროს და გაიმიჯნოს ისეთი ტერმინები, როგორიცაა მშობლიური ენა, უცხო ენა, მეორე ენა.

მშობლიური ენა, დედაენა, ეროვნული ენა

მშობლიური ენა – ეს არის ენობრივი სახესხვაობა, რომელიც შექმნილია ადრეულ ბავშვობაში, ორი-სამი წლის ასაკამდე. ამ სახესხვაობას განსაკუთრებული სტატუსი აქვს ბავშვისათვის, რამდენადაც ბავშვი მას თავისით აღმოაჩენს სამყაროს ადრეული სოციალიზაციის პერიოდში: ლინგვისტური ურთიერთობა სხვა მოლაპარაკებებთან აუცილებელია ნორმალური განვითარებისათვის. ბავშვი ლინგვისტური „წესების“ გაცნობიერებასა და შეთვისებას მის უშუალო გარემოში იწყებს და, ამავე დროს, იძენს კომუნიკაციური ქცევის წესებს (მაგალითად, ვის, როგორ და როდის უნდა მიესალმოს...). ეს არის სახესხვაობა, რომელშიც ადამიანის ენობრივი ნიჭი პირველად გამოვლინდება ბუნებრივ ენაზე.

მშობლიური ენა ყოველდღიურად გამოსაყენებელი ტერმინია, რომელსაც, ამასთანავე, ემოციური ქვეტექსტი ახლავს. ენობრივი სახესხვაობისთვის, რომლითაც შესაძლოა განისაზღვროს ამა თუ იმ წევრის მიკუთვნება გარკვეული ენობრივი ჯგუფისადმი, აუცილებელი სულაც არაა პირველი ენის პოვნის ენა, არამედ, შესაძლოა, ეს იყოს მოგვიანებით შექმნილი სახესხვაობა (ცნობილი ქართველი მწერლის – დავით კლდიაშვილის მაგალითი, რომელმაც მშობლიური – ქართული ენა ზრდასრულ ასაკში შეისწავლა)...

საინტერესო მიმართებაა ქართულ სინამდვილეში ტერმინებს „მშობლიურ ენასა“ და „დედაენას“ შორის:

ევროპულ ენათმეცნიერებაში მშობლიური ენის აღსანიშნავად მეტწილად დედის სემანტიკის მომცველი შესიტყვებანი გამოიყენება (ინგ. Mother tongue, გერმ. Muttersprache, შვედ. Modersmål, ფრანგ. La langue maternelle, ესპ. La



lengua materna, ქართ. დედაენა და ა. შ.); ამავე მნიშვნელობით (პრაქტიკულად, როგორც სინონიმს) განიხილავენ ტერმინს – მშობლიური ენა (ინგ. Native language, რუს. Родной язык, ქართ. მშობლიური ენა); ამ მხრივ განსაკუთრებული სიტუაციაა ქართულ სინამდვილეში.

დედაენის განმარტებისას, როგორც ნესი, ხაზს უსვამენ ტერმინის სოციოლოგიურ დანიშნულებას: „დედაენა მთავარ ენას ნიშნავს და არა ვისიმე ენას: სოციოლოგიის ობიექტია და არა ინდივიდუალური ფსიქოლოგიისა“ – ამბობდა გ. რამიშვილი; „დედაენა არის წინაპრების მიერ შექმნილი კულტურის ენა, რომელიც, როგორც სამყაროს ხედვა-აღქმის სისტემა, მრავალ თაობას აერთიანებს. დედაენა

მთავარი ენაა და არა მაინცდამაინც ბიოლოგიური მშობლის ენა“ (ტარიელ ფუტყარაძე).

როგორც ვხედავთ, არის მცდელობა, ტერმინ „დედაენას“ ისეთი ფუნქციები დაეკისროს, როგორც არ აქვს, მაგალითად, ინგლისურ Mother tongue-ს (სიტყვასიტყვით – იგივე „დედაენა“). ამას აქვს კიდევ გარკვეული ობიექტური ნაწინამძღვარი: აღსანიშნავია ერთი მნიშვნელოვანი ფაქტი – XIX საუკუნის ბოლოს სწორედ ამ სახელწოდებით (დედა ენა) დაიბეჭდა ი. გოგებაშვილის მიერ შედგენილი სახელმძღვანელო, რომლითაც მთელი ქართველი ერი იწყებდა მშობლიური ენის შესწავლას და შემთხვევითი არ არის ქართველ მეცნიერთა შორის გავრცელებული მოსაზრება, რომ

„სამწიგნობრო ქართული (იგივე სალიტერატურო ქართული) – დედაენას უიგივდება“ (ტარიელ ფუტყარაძე).

თავისთავად, თუკი მშობლიურ ენას ტრადიციული გაგებით მივუდგებით (ეს არის ენა, რომლის მეშვეობითაც ბავშვი ლინგვისტური „წესების“ გაცნობიერებასა და შეთვისებას იწყებს მის უშუალო გარემოში და, ამავე დროს, იძენს კომუნიკაციური ქცევის წესებს), ტოლობის ნიშნის დასმა ტერმინებს სალიტერატურო ენასა და მშობლიურ ენას (დედაენას) შორის შეუძლებელია; მაშასადამე, ცხადია, რომ ტერმინს – დედაენა დღეს უკვე შეძენილ-შეთვისებული აქვს დამატებითი ფუნქციები, რაც ტერმინ მშობლიური ენისათვის არ არის დამახასიათებელი.

მეორე ენა, უცხო ენა

ტერმინი მეორე ენა გამოიყენება იმ ენობრივი სახესხვაობებისთვის, რომელთა ათვისებაც ბავშვობაში კი არა, მოგვიანებით ხდება: ამის გამო, ყველა სხვა ენა, გარდა პირველი ენისა (რომელზეც მოზარდი იწყებს აზროვნებას), უნდა მოვიაზროთ მეორე, მესამე და ა. შ. ენებად მათი შეძენის თანმიმდევრობის მიხედვით. პირველი ენის (ენების) შეძენის შემდეგ შეძენილი ენები შესაძლოა სხვადასხვა სახისა იყოს, აქედან მომდინარეობს დიდი ტერმინოლოგიური მრავალფეროვნება.

მეორე ენა გულისხმობს არა მხოლოდ დაუფლების თანამიმდევრობას, არამედ ხაზს უსვამს ენობრივი სახესხვაობის სოციოლინგვისტურ სტატუსს.

აუცილებელია გაიმიჯნოს მეორე ენისა და უცხო ენის სტატუსები: ტერმინი უცხო ენები ხშირად გამოიყენება, რათა მოვიხსენიოთ ენობრივი სახესხვაობები, რომელთა სწავლება შესაძლოა ნაკლები მოტივაციით იყოს გამონეული: კერძოდ, შემსწავლელები არ არიან იმ სახესხვაობებთან კონტაქტში, ან მხოლოდ ვირტუალურ ან შეზღუდულ ფორმებს იყენებენ (კინო, ტელევიზია, იმ ქვეყნებში ვიზიტები, სადაც ისინი გამოიყენება და მისთ.). ამის გამო, ისინი, შესაძლოა, ნაკლებად აცნობიერებდნენ საკუთარ მოთხოვნილებებს უცხო ენებზე – ისინი ჩვეულებრივი სკოლის საგნებად მიიჩნევიან, რომლებშიც მიღწევების დამადასტურებელი არა ფაქტობრივი დაუფლება, არამედ მათი შეფასება (ტესტები, გამოცდები); ეს არის მეორე ენისა და უცხო ენის არსებით განმასხვავებელი: მეორე ენას შემსწავლელი ეუფლება, შეითვისებს; უცხო ენას – სწავლობს, როგორც საგანს (აქედან გამომდინარეობს მეთოდოლოგიური მიდგომებისა და სწავლების სტრატეგიების არსებითი სხვაობაც)...

ქართველური ენები თუ ქართული ენის დიალექტები?

უკანასკნელი ათწლეულის განმავლობაში საკმაოდ მწვავე კამათი მიმდინარეობდა იმის თაობაზე, არის თუ არა მეგრული და სვანური ქართული ენის დიალექტები... ტრადიციულად, ქართველური ენათმეცნიერება (ნიკო მარი, აკაკი შანიძე, არნოლდ ჩიქობავა, თამაზ გამყრელიძე და მრავალი სხვა) მეგრულ-ლაზურსა და სვანურს ქართულის მონათესავე ენებად მიიჩნევდნენ. მე-20 საუკუნის განმავლობაში ეს თვალსაზრისი არავის დაუყენებია ეჭვქვეშ და ლინგვისტთა თაობები სწორედ ამ ჭრილში განიხილავდნენ მეგრულის, ლაზურისა და ქართულის ლინგვისტურ ურთიერთმიმართებას. ამ თვალსაზრისის სანიშნა აღმდგომად, მეცნიერთა ერთმა ჯგუფმა (ტარიელ ფუტყარაძე, თეიმურაზ გვანცელაძე, მანანა ტაბიძე და სხვ.) გამოთქვა მოსაზრება, რომ მეგრულ-ჭანური და სვანური არა ენები, არა-

ნების განხილვა, რამაც, პრინციპში, აზრთა სხვადასხვაობა წარმოშვა... დიალექტი განისაზღვრება, როგორც ამა თუ იმ ენის სამეტყველო ნირსახეობა, გავრცელებული გარკვეულ ტერიტორიაზე ან ეთნიკურ, სოციალურ, პროფესიულ, ასაკობრივ ჯგუფში. ამის მიხედვით გვაქვს ტერიტორიული, ეთნიკური, სოციალური, პროფესიული დიალექტები. დიალექტი მეტყველების ფაქტია და არა ენისა: ერთი და იმავე სისტემის ნაირგვარი გამოყენება საფუძველს უქმნის ენობრივი სახეობების წარმოქმნას. ეს ნაირსახეობები არსებითად წარმოადგენენ კიდევ დიალექტებს; დიალექტი ზეპირი მეტყველებაა; წერილობით მხოლოდ მისი ფიქსაცია ხდება. მთავარი და არსებითი მაინც ის არის, რომ დიალექტი არის საერთო ეროვნული ენის ნაირსახეობა და არა დამოუკიდებელი ენობრივი სისტემა (ბესარიონ ჯორბენაძე).


ურთიერთობა ენასა და დიალექტს შორის შეიძლება შემდგენიარად განისაზღვროს: აუცილებელი პირობა იმის დასაშვებად, რომ ენობრივი სახესხვაობები ან დიალექტები ერთსა და იმავე ენას მიეკუთვნება, არის ის, რომ ისინი ერთ უწყვეტობას ანუ კონტინუუმს უნდა წარმოადგენდნენ... (ვინ-

ფრიდ ბოედერი – ცნობილი გერმანული ქართველოლოგი). სოციოლინგვისტიკაში დიალექტს განსაზღვრავენ გამოყენებითი (პრაგმატული) თვალსაზრისით; შესაბამისად, მისი საკუთრივ ლინგვისტური სტატუსი, როგორც წესი, მხედველობაში ნაკლებად მიიღება – იგი აღინერება ექსტრალინგვისტური (და არა იმანენტური) ნიშნების მეშვეობით.

ქართველ ლინგვისტთა ერთი ნაწილის მტკიცებით, „ენისა და დიალექტის გამიჯვნის პრობლემა მხოლოდ ლინგვისტიკის სფეროში ვერ მოთავსდება; კულტურული ტრადიციის მქონე არცერთი ენა საკუთრივ ლინგვისტური ნიშნებით არ არის სახელდებული ენად: ჯერ არავის დაუდგენია ენობრივ ცვლილებათა თუ თავისებურებათა ის ზღვარი, რომლის შემდეგაც მონათესავე ენობრივ

მედ დიალექტებია და, რაც მთავარია, სანიშნა აღმდგომი მოსაზრების ავტორები, მათი აზრით, ნებისთი თუ უნებლიეთ, ემსახურებიან (ემსახურებოდნენ) რუსული სპეცსამსახურების ინტერესებს (?)... საკითხის ამგვარმა პოლიტიზებამ სულ სხვა ჭრილში გადაიყვანა კამათი და, ვფიქრობთ, მან არა მხოლოდ არაკორექტული სახე მიიღო (სხვა თუ არაფერი – ქართველური ენათმეცნიერების ფუძემდებლების მიმართ დამოკიდებულებისა და შეფასების თვალსაზრისით), არამედ ოპონენტთა „დადანაშაულებასა“ და განქიქებასაც არ ერიდებოდა, ობიექტურნი თუ ვიქციებით – მოკამათე ორივე მხარე...

სამეცნიერო პაექრობა არავითარ შემთხვევაში არ უნდა გასცდეს გარკვეულ ჩარჩოებს: საკითხში ნაკლებად ჩახედული მკითხველისთვის კი აუცილებელია იმ ამოსავალი დებულებებისა და ტერმი-



ნების განხილვა, რამაც, პრინციპში, აზრთა სხვადასხვაობა წარმოშვა... დიალექტი განისაზღვრება, როგორც ამა თუ იმ ენის სამეტყველო ნირსახეობა, გავრცელებული გარკვეულ ტერიტორიაზე ან ეთნიკურ, სოციალურ, პროფესიულ, ასაკობრივ ჯგუფში. ამის მიხედვით გვაქვს ტერიტორიული, ეთნიკური, სოციალური, პროფესიული დიალექტები. დიალექტი მეტყველების ფაქტია და არა ენისა: ერთი და იმავე სისტემის ნაირგვარი გამოყენება საფუძველს უქმნის ენობრივი სახეობების წარმოქმნას. ეს ნაირსახეობები არსებითად წარმოადგენენ კიდევ დიალექტებს; დიალექტი ზეპირი მეტყველებაა; წერილობით მხოლოდ მისი ფიქსაცია ხდება. მთავარი და არსებითი მაინც ის არის, რომ დიალექტი არის საერთო ეროვნული ენის ნაირსახეობა და არა დამოუკიდებელი ენობრივი სისტემა (ბესარიონ ჯორბენაძე).

ურთიერთობა ენასა და დიალექტს შორის შეიძლება შემდგენიარად განისაზღვროს: აუცილებელი პირობა იმის დასაშვებად, რომ ენობრივი სახესხვაობები ან დიალექტები ერთსა და იმავე ენას მიეკუთვნება, არის ის, რომ ისინი ერთ უწყვეტობას ანუ კონტინუუმს უნდა წარმოადგენდნენ... (ვინ-

ერთეულთა შორის არსებული რაოდენობრივი განსხვავებანი თვისებრივში გადადის – სისტემის ვარიანტი გადადის ახალ სისტემაში“ (ტარიელ ფუტყარაძე); აქედან გამომდინარე, „არსებული ენების სტატუსი, როგორც წესი, განსაზღვრულია ეთნოკულტურული და პოლიტიკურ-რელიგიური ნიშნის მიხედვით (ტარიელ ფუტყარაძე).

საკითხის პოლიტიზების მცდელობას წარმოადგენს შემდეგი კატეგორიული მტკიცებაც: „როგორც წესი, ერთ ერს (ეთნიკური გაგებით) ერთი დედაენა აქვს“ (ტარიელ ფუტყარაძე); „ერთი ერი (ეთნიკური ერთობა) ერთ ენაზე მეტყველებს“ (თეიმურაზ გვანცელაძე).

წინამდებარე სტატიის ფარგლებში ამ მოსაზრების გამონვლილივით ანალიზის საშუალება, ბუნებრივია, არ გვაქვს. თუმცა, მაინც შევეცდებით, მკითხველი მეტ-ნაკლებად გავარკვიოთ პრობლემის არსში.

საზოგადოდ, ერთი და იგივე ობიექტი (ჩვენს შემთხვევაში – ენა) მეცნიერების სხვადასხვა დარგის შესწავლის საგანი შეიძლება გახდეს. ამის მკაფიო მაგალითია საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფართო სპექტრის არსებობა: ბუნების ესა თუ ის მოვლენა შეისწავლება სრულიად განსხვავებული კუთხიდან (ქიმია, ფიზიკა, ბოტანიკა, ბიოლოგია...). მაგალითად – წყალი ფიზიკის შესწავლის საგანიცაა (მისი ფიზიკური თვისებების განხილვა) და ქიმიისაც (წყლის მოლეკულური შედგენილობა...). ასევეა ენის შემთხვევაშიც: აუცილებელია, დავიცვათ იმანენტური (ანუ არსობრივი) განსაზღვრის პრინციპი. როცა საუბარია ამა თუ იმ ენის წარმომავლობაზე, მის ნათესაობაზე სხვა ენებთან – უნდა ვისარგებლოთ იმ წეს-კანონებითა და ტერმინოლოგიით, რაც ჩამოყალიბებულია ისტორიულ-შედარებითი ენათმეცნიერების ნიაღში; ენად კვალიფიცირება ხდება სისტემური იგივეობა-სხვაობების მიხედვით – ეს არის აქსიომა ენათმეცნიერებისთვის და სხვა მიდგომები უკვე სცილდება ენათმეცნიერების სფეროს. შესაბამისად, ლინგვისტური ცნებებისა (ენის, დიალექტის და ა. შ.) და მათი ურთიერთმიმართების დადგენა ლინგვისტიკაში მხოლოდ საკუთრივ ლინგვისტური კრიტერიუმებით არის შე-

საძლებელი, ექსტრალინგვისტური ცნებებისა და კრიტერიუმების შემოტანას აქ მხოლოდ ქაოსისა და არეუ-დარევის გამონვევა შეუძლია (ალექსანდრე ონიანი).

სოციოლინგვისტიკა შეისწავლის ენის (ენათა) ფუნქციონირებას სინქრონულ დონეზე; მისი მიზანი არ არის და არც არასოდეს ყოფილა ამა თუ იმ ობიექტის საკუთრივ ლინგვისტური სტატუსის

■ ტერმინი მეორე ენა გამოიყენება იმ ენობრივი სახესხვაობებისთვის, რომელთა ათვისებაც ბავშვობაში კი არა, არამედ – მოგვიანებით ხდება: ამის გამო, ყველა სხვა ენა, გარდა პირველი ენისა (რომელზეც მოზარდი იწყებს აზროვნებას), უნდა მოვიაზროთ მეორე, მესამე და ა. შ. ენებად მათი შექენის თანმიმდევრობის მიხედვით. პირველი ენის (ენების) შექენის შემდეგ შექენილი ენები შესაძლოა სხვადასხვა სახისა იყოს, აქედან მომდინარეობს დიდი ტერმინოლოგიური მრავალფეროვნება.

დადგენა. ფაქტია, რომ ამა თუ იმ ერთეულის სტატუსი განსხვავებული იქნება ისტორიულ-შედარებითი ენათმეცნიერებისთვის იმისგან, რაც, სხვადასხვა ექსტრალინგვისტური ფაქტორის გამო, „დააკანონა“ სოციოლინგვისტიკამ. ვფიქრობთ, სრულიად მართებულია მოსაზრება, რომელიც ბ. ჯორბენაძის მიერ არის ფორმულირებული: „ენათმეცნიერული (დავაზუსტებთ – საკუთრივ ლინგვისტური) თვალსაზრისით, მეგრულ-ჭანური და სვანური ქართულის მოძმე

ენებია, მაგრამ ეთნიკურ-პოლიტიკური (აქაც დავაზუსტებთ – სოციოლინგვისტური) თვალსაზრისით მათ იგივე სტატუსი აქვთ, რაც დიალექტებს (ბესარიონ ჯორბენაძე).

საუკუნეების წინ ქართული იყო რელიგიის ენა და, ამდენად, ქართველური ტომების ენობრივად შემკვრელ-მაკონსოლიდირებლის ფუნქციაც ეკისრებოდა. მეგრელები თუ სვანები არასოდეს არ იყვნენ მოწყვეტილნი საერთო ქართულ რეალობას, ეროვნულ ფესვებს... ფაქტია, რომ მეგრულ-სვანებიც ისეთივე მემკვიდრეები და შემოქმედნი არიან ქართული ლიტერატურისა, როგორც დანარჩენი კუთხის წარმომადგენლები... ამის განმაპირობებელი კი იყო სწორედ ის, რომ მეგრულიცა და სვანურიც დამწერლობის არ მქონე ენებია – ეს ენები გამოიყენებოდა მხოლოდ სამეტყველო (მოსმენისა და ლაპარაკის) ფუნქციით, ხოლო სხვა სამეტყველო ფუნქციების (წერა, კითხვა) „განსახორციელებლად“ ბუნებრივად გამოიყენებოდა ქართული – ეკლესიის, ოფიციალურ-საქმიანი ენა... მრავალსაუკუნოვანი ისტორიის განმავლობაში მეგრელისა და სვანისთვის სამწერლობო ენის ჩანაცვლების საკითხიც კი არასოდეს დასმულა... სამწუხარო ის არის მხოლოდ, რომ ზოგიერთს მეგრელისა თუ სვანურის ენად მოხსენიება მისი სახელმწიფო ენად გამოცხადება ჰგონია... ის დებულება, რომ მეგრულ-ლაზური და სვანური, ისევე, როგორც ქართული, ქართველური ენებია, თავისთავად და ავტომატურად, „სუპრატისული“ არ არის... ძალიან სახიფათო და მიუღებელი ნამონწყებული კამპანია: თითქოს ის, ვინც მეგრულ-ლაზურსა და სვანურს ენებად მიიჩნევს – სამეგრელოსა და სვანეთის საქართველოდან გამოყოფას ქადაგებს... ერთხელ და სამუდამოდ ზღვარი უნდა გავავლოთ მეცნიერებასა და პოლიტიკას შორის!..

...კვლევისას შეიძლება პატიოსანმა მეცნიერმა შეცდომები დაუშვას, არასწორი გზით წავიდეს, მაგრამ მის კვლევას მაინც შეიძლება ჰქონდეს გარკვეული ღირებულება, – განსხვავებით იმ შემთხვევებისგან, როდესაც ჯერ დებულებები (სლოგანები) და დასკვნები იწერება და მერე იწყება „კვლევა“... **■**

პალიასტომის ტბის მეთევზეები

სოფი აფციაური

პალიასტომის ტბაზე ერთმანეთის მოპოვებით ორი ნაღი ტრეტივებს. შუადღია, ზაფხულის ცხელი დღე. ნაღების კიდებზე თითო-თითო მეთევზე დგას, დანარჩენები კი წყალში არიან შესულები და ბაღის გადადგმას ელოდებიან.

ხელის რამდენიმე ძლიერი მოქცევა და ბაღე წყალშია. მის ორგვეთ თხუთმეტამდე მეთევზეა შემოკრებილი. ყველას თავისი ფუნქცია აქვს. მთავარი ლერი ნაღზე შემომდგარი მეთევზეები არიან, ისინი წინასწარი იცავენ. სხვები ბაღეს პაერში წყდენ და გაბმულ თევზს იქიდან ამოტოვობს საშუალებას არ აძლევენ. შემდეგ კი, დაახლოებით ორი საათის განმავლობაში ცდილობენ, ბაღე წყლიდან მოქაონონ.

აზარტულ თამაშს მკვდის. წინასწარ არასდროს იციან, ბაღეს რამდენი თევზი ამოკვევდა, ერთის ამოტოვასაც კი ემოციური შეხებობებს აწოდებენ:

„არ გაუშვა, მაგალი ასწიე ბაღე, უხ, რამხელა თევზი იყო!“, – ყვრიის ნიკა და დანარჩენებიც უვრიდებიან.

თუმცა უკვე წლებია პალიასტომი მეთევზეებს იმდენ უვრევს.

ამბობენ, რომ ადრე ეს ტბა თევზაობისთვის ერთ-ერთი საუკეთესო ადგილი იყო. საუკუნეების განმავლობაში ფლორისა და ფუნის მრავალი სახეობისთვის იდეალური საარსებო გარემო არსებობდა. თუმცა მკოვე საუკუნის ოციანი წლებიდან ეკოსისტემის დეგრადაცია დაიწყო. პალიასტომი შავ ზღვას გაჭრილი არხით დაუკავშირეს. ამან კი ტბის წყლის დამლაშება და პროდუქტიულობის მკვეთრი შემცირება გამოიწვია.

ეს ტერიტორია, შავი ზღვის აღმოსავლეთი სანაპირო ზონიდან მოყოლებული, კოლხეთის დაცულ ტერიტორიებს ეკუთვნის. 1998 წელს დაცული ტერიტორია საერთაშორისო მნიშვნელობის მქონე ტარბეტეიანი ეკოსისტემების დაცვისა და შენარჩუნების მიზნით შეიქმნა.

ადრე დიდი რაოდენობით კუფლს და ლერჯოს იქნდნენ. დღევანდელი მეთევზეების ნადავლი კი მკოვე რაოდენობის სხვადასხვა ზომის კუფლია. ყველაზე მკოველი ნადავლებს კოლს 15 ლარად, საშუალებს 10-ად, სულ პატარებს კი 5 ლარად ყიდას.

თუ ამნდი გაუბრძობლები, ბაღეს დღის განმავლობაში დაახლოებით 15-ჯერ უქცამენ. საღამოს კი დაქვრილი თევზი მუდმივ კლინტებთან მოაქვთ.

ფულს თანაბრად იყიფენ. თითოეული მეთევზეს დღეში დაახლოებით 15 ლარამდე რჩება.

თემური შვილიშვილიან ერთად თევზაობს. 13 წლის მამუკას არდადგები აქვს და ბაბუამ პალიასტომზე გამოვიყვანა:

„აღარა პალიასტომზე თევზი. გეჭოტის, მაგრამ 40 წელია ამ საქმეს ვაცუფობი. ყველაფერი ბუნებაზე დამოკიდებული. გეჭოტის შემთხვევები, როცა სახლში 5 ლარით ან საერთოდ არაფრით წაქვსეღარო. თუმცა ბუნებას მეტყველებს დევერელები“გარო“, – ამბობს თემური და დღის ბოლოს იქნა მანზე გაშლილ ქაღალდე სახლად მოტარებულ საქმეს ალაგებს. მეთევზეები სადლობენ. საქმეს თითო ჭიქას აყოლებენ და ნადირობის ქაღალდობის – დალის ლოცავენ.

ამით მთავრდება მათი დღე. ახლა უკვე მურღლით, გამოიფინენ აზარტულ „თამაშს“. ეფორიიდან, გაბისინო ისტორიები და ოლაპარკო სხვადასხვა თემსზე. ყველაზე აქტიულორი მინც პალიასტომი და მასთან დაკავშირებული ისტორიები ან ლეგენდებია.

„პალიასტომს ზვერი მეთევზის სიცოცხლე შეუნარავს. ცვალებადი ხასიათი აქვს. ხან ძალიან მშვეფია, უკვებ კი გადარევა იცის. ქარის ამოგარდნისთან ერთად შეუძლია ნაღი წამში ამოტარალოს“.

წლების მანძილზე დგროვილი ხავსი და შუამი გამოცდილ მცურავსაც კი საფრთხეს უქნის. შარშან ორი მეთევზე მოულოდნელად ცუდ ამინდში მოცდა და დახიზრო. იქ, სადაც წყალმა მათი სხეულები გამოიყვია, ახლა ჯვრები აღმარებული. **■**







საქართველო
საქართველო








ენა, ხოთაღის სმაუხოზს და მძვინვანაჲს

ლევან ბერძენიშვილი



გუსტავ ფლობერი

ზოგიერთი მწერალი მხოლოდ ენითაც კი იცნობა. ზოგიერთს ეს ოცნებად აქვს გადაქცეული, ზოგმაც ენა თავისი მწერლობის ნაწილად აქცია, მოკლედ – მწერლის ენა ლიტერატურის უაღრესად მნიშვნელოვანი ნაწილია.

ქართულ ლიტერატურაში სულ ცოტა ორი მწერალია, რომელთა ნაწერებსაც მომენტალურად ვცნობთ. ზოგიერთები მესამესაც ცნობენ – ვასილ ბარნოვს ვგულისხმობ, მაგრამ პირველი ორი აშკარაა: შეუძლებელია ვერ იცნო კონსტანტინე გამსახურდია ან ოთარ ჩხეიძე, რომელთაც თავისებური ენა აქვთ. მრავლად არიან ისეთი მკითხველები, რომელთაც მწერლის ენის ამ თავისებურების გამო ჩხეიძის ნაწარმოებების კითხვა უჭირთ. ვისაც კარგი სმენა აქვს, ბგერწერით გალაკტიონის უცნობ ლექსსაც კი იცნობს, თუმცა ენისგან განსხვავებით აქ უკვე კარგი სმენაცაა საჭირო.

მწერლობაში ენა, უპირველეს ყოვლისა, მწერლის ინდივიდუალიზაციის საშუალებაა. ეს შედარებით მარტივი რამაა, რაც ზემოთ ჩამოთვლილმა მწერლებმა მოახერხეს კიდევ. არსებობს მეორე გზაც – მოახერხო პერსონაჟების ენის დივერსიფიცირება, ანუ პერსონაჟების განსხვავებულ ენაზე ამეტყველება. ასეთი რამ ფაქტობრივად


არავის გამოსვლია, არავის, გუსტავ ფლობერის გარდა. მის ნაწარმოებებში პრობლემას არ ქმნის იმის გაგება, მაღამ ბოვარი საუბრობს, თუ მისიე ბოვარი. არადა, თუკი ტექსტს თანამედროვე მეთოდებით შევისწავლით, მომენტალურად დავადგენთ, რომ ნაწარმოები ერთ ავტორს ეკუთვნის, ამის ფონზე კი მკითხველი მაინც ხვდება, რომელი პერსონაჟი მეტყველებს. ფლობერი პერსონაჟების მეტყველებას აკვიატებულ სიტყვებს, სინტაგმებს, განსხვავებულ რიტმს, განსხვავებულ წყვეტას და ა.შ. ანიჭებს. ის იდეალური მწერალია, რომელმაც ისიც კი მოახერხა, რომ დაეწერა რომანი არაფერზე. „სალამბო“ ისეა შექმნილი, რომ მისი საფუძველი კი არა, თავად რომანია მნიშვნელოვანი.

ასე რომ, არსებობს ორი სახის ინდივიდუალიზაცია: ერთია მწერლის ინდივიდუალიზაცია – სამწერლო ენის მიხედვით ნაწარმოების ავტორის ამოცნობა, მეორე კი – პერსონაჟთა ინდივიდუალიზაცია, როდესაც შესაძლოა პერსონაჟების ცნობა.

არსებობენ ისეთი მწერლებიც, რომლებიც სულ სხვა ენობრივ პოლიტიკას არჩევენ. თუმცა პერსონაჟებიც და ავტორიც იოლად იცნობა იმის მიხედვით, თუ რა ტიპის ტექსტს ვკითხულობთ.



უილიამ ფოკლნერი



ფიოდორ დოსტოევსკი

ზოგიერთმა მწერალმა თავად შექმნა თავისი ხალხის ენა. მაგალითად, რუსთაველმა ის ქართული შექმნა, რომელზეც დღეს ჩვენ ვსაუბრობთ. ქართული ენა სხვა იყო რუსთაველამდე და სხვაა რუსთაველის შემდეგ. იტალიური ენაც სულ სხვა გზით მიდიოდა და ფლორენცია არ იყო იტალიის „ისეთი“ ცენტრი, რომ რომაული დიალექტი დაემარცხებინა. მაგრამ არსებობდა დანტე ფლორენციელი და სენიორიიდან მისი გაძევების მიუხედავად, მან ფლორენციული საუბრის იტალიურ საუბრად ქცევა შეძლო. დანტესა და რუსთაველზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ მათ ფიქრად არ ჰქონიათ თავიანთი ნაციისთვის საკუთარი ენის თავს მოხვევა. თუმცა არიან ისეთებიც, რომლებმაც მხატვრული ნაწარმოების ენობრივი კომპონენტით გამდიდრება ჩაიფიქრეს... ჩაიფიქრეს და შეძლეს კიდევ.

ასეთმა მწერლებმა უფრო რთული გზა აირჩიეს. ახლა სწორედ ერთ-ერთ ასეთ მწერალზე მინდა ვისაუბრო: როგორ გამოიხატა ენობრივი პოლიტიკა მსოფლიოს ერთ-ერთ ყველაზე რთულ მწერალთან – ფიოდორ დოსტოევსკისთან.

დოსტოევსკი წერს „ძმებ კარამაზოვებს“. მისი პირველი ნაკითხვისას უცებ აღმოაჩენ, რომ მას არ ჰყავს ისეთი ავტორი, რომელ-

მაც ყველაფერი იცის: რა ტრიალებს ძმების გულში, რა იფიქრა დიმიტრიმ და ა.შ. „ძმები კარამაზოვების“ ავტორმა არაფერი იცის. ამ რომანს წერს კაცი, რომელმაც მომხდარ ამბებს ყური მოკრა და წარმოდგენაც არ აქვს, რა იფიქრა დიმიტრიმ, მან მოკლა თუ არა, ან ვინ არის მკვლელი. რა თქმა უნდა, ეს რომანი დოსტოევსკიმ დაწერა, მაგრამ რომანი დაწერა ისე, რომ მის პერსონაჟებს ენობრიობა შეეძინათ. მას მიხაილ ბახტინმა პოლიფონიური რომანი უწოდა.

რა განსხვავებაა დოსტოევსკის რომანსა და, ვთქვათ, ტოლსტოის, სერვანტესის, შექსპირის ნაწარმოებებს შორის?! არასწორია საუბარი იმაზე, რომელი მათგანი უფრო დიდი მწერალია. უბრალოდ ვნახოთ, რა განსხვავებაა მათ შორის: დოსტოევსკის რომანებს მიღმა ვხვდებით, ე.წ. ხაზოვან წერას, უფრო კონკრეტულად, ვხვდავთ ავტორს, რომელიც კარგად იცნობს საკუთარ პერსონაჟებს და მხატვრულ სამყაროში განალაგებს მათ. ამ ავტორს შეუძლია პერსონაჟებს (რუსთაველივით) მთელი მსოფლიო, (ტოლსტოისავით) მთელი ეპოქა, (ბალზაკივით) მთელი საფრანგეთი აჩუქოს. ან მოიქცეს ისე, როგორც მოიქცა დოსტოევსკი – მან „არ იცის“, რა ხდება. მისი პერსონაჟები ხანგრძლივ მონოლოგ-

■ **ზოგიერთმა მწერალმა თავად შექმნა თავისი ხალხის ენა. მაგალითად, რუსთაველმა ის ქართული შექმნა, რომელზეც დღეს ჩვენ ვსაუბრობთ. ქართული ენა სხვა იყო რუსთაველამდე და სხვაა რუსთაველის შემდეგ.**

ბს აბამენ. კაცმა, რომელიც წერს, წესით ამ მონოლოგებზე არაფერი უნდა იცოდეს. არადა, დიმიტრი კარამაზოვი ლაპარაკობს, ლაპარაკობს, ლაპარაკობს ან „რალაცას“ წერს. ეს მეორე ხერხი გამორჩეულია ლიტერატურაში. ის რუსთაველმაც გამოიყენა (ნესტანის წერილი ეს წერილთა წერილია) და სერვანტესმაც (გავიხსენოთ დუღინე-ასადმი მიწერილი წერილის სანცოსეული ზეპირი ვერსია).

სამეტყველო ენა და წერილი ენა სხვადასხვაა, ეს სრულიად ბუნებრივია. ერთი ამბავია, როდესაც რომელიმე პერსონაჟი საუბრობს და მეორეა, როდესაც წერს. დოსტოვესკიმ გამოიყენა ეს სიმდიდრე და თავის პერსონაჟს წერა დაანყებინა. ორ მაგალითს მოვიტან, ორივე საზიზღარი, თუმცა ამავდროულად მიმზიდველი პერსონაჟია: დოსტოვესკის ჰყავს ივანე კარამაზოვი, ალბათ ყველაზე უსიმპათიო კარამაზოვი დედამინის ზურგზე (მამამინის შემდეგ) და, მეორე მხრივ, სტავროგინი, ნიკალაი ვსევოლოდოვიჩი. ეს ორი პერსონაჟი წერს – სტავროგინმა აღწერა და დაბეჭდა თავისი უსაქციელობები, რომელიც მრავლად ჰქონდა ჩადენილი, ხოლო ივანმა კი აღწერა ქრისტეს, ასე ვთქვათ, დაუანონსებელი ჩამოსვლა დედამინაზე – „დიდი ინკვიზიტორი“.

„დიდი ინკვიზიტორი“ არის „პოემა“, რომანი რომანში, სადაც ეკლესიამ ქრისტე დაიჭირა, საქმე გაურჩია, დაწვა დაუპირა. ამ ნაწერის მიხედვით, გაირკვა, რომ კათოლიკურ ეკლესიას ქრისტესთან პრეტენზია ჰქონია.

ნახეთ, რა ეშმაკი კაცია დოსტოვესკი – ეკლესიას თუ ეწყინებოდა, ის იტყოდა, რომ ეს თავი მან კი არა, ცუდმა კაცმა დაწერა. კაცმა, რომელმაც მამის მკვლელობა უკარნახა სმერდიაკოვს, პერსონაჟს, რომელიც მას უსიმპათიო კაცად ჰყავს გამოყვანილი; ზუსტად იმავეს იტყოდა სტავროგინზეც.

ენობრივი პოლიტიკის თვალსაზრისით, დოსტოვესკის პერსონაჟები ავტორებად იქცნენ. ამიტომაც, ვიღებთ არა ერთმეფიან ან ერთდღერტიან – მონოფონიურ რომანს, სადაც ავტორის აზრი პერსონაჟებს მოჰყავთ სისრულეში, არამედ დოსტოვესკის რომანს, ენობრივი პოლიტიკის შემცველ ნაწარმოებს. ეს ის ფუნდამენტური ცვლილებაა, რომელმაც თანამედროვე მწერლობა წამოქმნა. დოსტოვესკი უარს ამბობს

ერთ სიმართლეზე, ერთ ჭეშმარიტებაზე, ერთ ხმაზე, ერთ ენაზე. ის ამბობს, რომ არსებობს მრავალი თანაბარვალენტობიანი, თანასწორი ხმა – მტყუნთა და მართალთა. ისინიც ავტორები არიან. მან შექმნა ასეთი ავტორები, რაც ჯამურად ჰქმნის კიდევ ჰარმონიას, ანუ, როგორც მას ბახტინმა უწოდა, პოლიფონიურ რომანს.

ასე რომ, მწერლობაში ფლობერსა და დოსტოვესკის ეკუთვნით ორი ენობრივი მიღწევა: ფლობერმა განასხვავა პერსონაჟთა ენები, დოსტოვესკიმ კი ყველა პერსონაჟი აალაპარაკა, თუმცა განასხვავა მათი იდეოლოგიები, შესაბამისად – ენები. ეს ის განსხვავებაა, როდესაც სიტყვით კი არა, შინაარსით ცნობ ავტორს. როდესაც კითხულობ, ანუ უსმენ პერსონაჟს და ხვდები, რომ ეს დიმიტრი კარამაზოვია, იმიტომ კი არა, რომ ფლობერივით აკვიტებულ სიტყვებს იყენებს, არამედ იმიტომ, რომ იგი ასეთ რამეს ამბობს: „დამიანის გული ასპარეზია, სადაც ღმერთი და სატანა ერთმანეთს ებრძვიან, აქ ისინი თანასწორნი არიან“. ეს საკმაოდ ბნელი იდეაა, რომელიც არ მოეწონება არც მართლმადიდებლურ და არც კათოლიკურ ეკლესიას. ის ძალიან ჰგავს სულ სხვა რელიგიას, მაზდანიანობას, სადაც ორი თანასწორი ძალაა. ეს იდეა წარმართულ რელიგიას ჰგავს. გავიხსენოთ თუნდაც როგორ ემუქრებოდა ზევსი პოსეიდონს, თუ ის ბერძენის სასარგებლოდ ბრძოლას არ შეწყვეტდა, რაზეც პოსეიდონსაც ჰქონდა პასუხი – ნუ ავინყდება ზევსს, რომ ჩვენ სამნი (ზევსი, პოსეიდონი და ჰადესი) თანასწორნი ვართო. გასაგებია, რომ ზევსი ოლიმპოელთა დასის მეთაურია, მაგრამ როგორი შეუპოვარია პოსეიდონი!

დოსტოვესკისთან სწორედ ამას ვხვდებით. მან არამხოლოდ სინტაქსის დონეზე განსხვავებული ენა შექმნა, არამედ განასხვავა იდეოლოგიები და ერთ ნიგნში სხვადასხვა სამყაროები მოათავსა. ამიტომაც ის მსოფლიო ჩემპიონი მწერალი და შემთხვევითი არაა, რომ მუდამ თავისი გავლენის ქვეშ ტოვებდა და ტოვებს მკითხველს.

დოსტოვესკის ენობრივ გავლენასთან დაკავშირებით გავიხსენოთ კიდევ ერთი მწერალი, რომელზეც თავის დროზე დოსტოვესკიმ იქონია გავლენა. შემდგომში კი მან თავად, შემოვლითი გზით, გავლენა იქონია თანამედროვეობის ერთ-ერთ ყვე-

■ დოსტოვესკი პოლიფონიურია და რამდენიმე ხმაში წერს. რომანიდან იმდენი ხმა ისმის, რამდენი პერსონაჟიცაა ნაწარმოებში. ფოლკ-ნერმა კი ოთხხმიანი ნაწარმოები დაწერა. ეს კლასიკაა, ეს გურული სიმღერაა.



SOBRANIE
LONDON



სობრანიე
ეკონომიკური
ზღვრითი
ლონდონი

სობრანიე სობრანიე სობრანიე
ლონდონი / სოფსი-1879 ლონდონი / სოფსი-1879
აღიჭილი
დასახელება
*რეკომენდებული ფასი

LSS
LESS SMOKE SMELL

საიუზიტაო ფასი
*3.50 ლარი



SOBRANIE BEYOND COMPARE
სობრანიე ზიონდ ქომფარ

მოწევა კლავს
მოწევა იწვევს კანის
ნაადრევ დაბერებას

ლაზე უფრო სერიოზულ მიმართულებაზე. ცნობილია დოსტოევსკის დიდი გავლენა უილიამ ფოლკნერზე, რომელიც ყოველთვის უარყოფდა, რომ ფროიდი ჰქონდა ნაკითხული და აღიარებდა, რომ დოსტოევსკის ნაწარმოებების წასაკითხად ყოველწელს ერთი თვე ჰქონდა გამოყოფილი.

ფოლკნერმა დოსტოევსკის გავლენით ახალი პოლიფონიური რომანი შექმნა. მისი მთავარი რომანი რომ დოსტოევსკის გავლენითაა დაწერილი, ამას დიდი მტკიცება არ სჭირდება: სამი დედამამიშვილი, მეოთხე – განსხვავებული, მამა, რომელიც სვამს, მართალია კარამაზოვი – კონიაკს, ის – ვისკის, მაგრამ ორივე ამბობს, რომ კონიაკი/ვისკი კი არ კლავს, დარდი კლავს; ერთი სიტყვით, უამრავი მსგავსებაა. ფოლკნერმა ეს გრანდიოზული იდეა ენობრივად განავითარა და დაწერა რომანი ოთხ ხმაში.

დოსტოევსკი პოლიფონიურია და რამდენიმე ხმაში წერს. რომანიდან იმდენი ხმა ისმის, რამდენი პერსონაჟიცაა ნაწარმოებში. ფოლკნერმა კი ოთხხმიანი ნაწარმოები დაწერა. ეს კლასიკაა, ეს გურული სიმღერაა – სამი ჰარმონიული ხმა, მეოთხე, ე.წ. მოძრავი, რომელიც ხმებს შორის გადად-გადმოედის. ფოლკნერმა დაწერა წიგნი, რომელსაც „ხმაური და მძვინვარება“ ჰქვია. ნაწარმოების ერთი ნაწილი „იდიოტის“ მიერ პირველ პირობა დაწერილი. მას დრო აქვს არეული. შემდეგ გვხვდება თვითმკვლელის ენა, რომელიც პირველ პირში ჰყვება, თუ როგორ ნავიდა, როგორ ჩაიდო ჯიბეში უთო და ა.შ. შემდეგ – საზიზღარი პიროვნების ენა, რომლისთვისაც დოლარი, ცენტი ინგლისური ენის მთავარი სიტყვებია, რომელმაც საკუთარი და და დისშვილი გაძარცვა და ამის ფონზე კი თავი კარგი ადამიანი ჰგონია.

ამ ენაში არ გვჭირდება ფლობერისეული განცხადებები, აქ ის აზრები, დიანოია ჩანს, რაც თავის დროზე არისტოტელემ გამოყო, როგორც სტრუქტურული ელემენტი. მან თქვა, რომ არის სიუჟეტი, არის ფაბულა, მაგრამ არის აზრები, აზრები, როგორც მნიშვნელოვანი სტრუქტურული ელემენტი.

„ხმაური და მძვინვარება“ დოსტოევსკის პირმოა, ეს არის რომანი, რომელმაც პირდაპირი გავლენა იქონია ბორხესზე. ხოლო რა შექმნა ბორხესმა, ეს ყველამ ვიცით. დღევანდელი მსოფლიო ლიტერატურა მადლიერი უნდა იყოს იმ ენობრივი თავზე-

დობისა, იმ საშინელებისა, მორწმუნე კაცს რომ გააბედინა და ათქმევინა, რომ ღმერთი არ არის ერთი, რომ პერსონაჟებს აქვთ თავიანთი სიმართლე, რომ სამყაროში არსებობენ სამყაროები, რომ ადამიანი სამყაროა. უზარმაზარი ლიბერალური იდეა გამოთქმული ისეთი კონსერვატორის მიერ, როგორც დოსტოევსკი იყო. საკმაოდ კონსერვატული იდეოლოგია ჰქონდა ფოლკნერსაც, თუმცა საკუთარი შემოქმედებით ის ინდივიდუალიზაციას, ლიბერალიზმს ემსახურებოდა.

დაბოლოს, არსებობს მწერლის ენა, მწერლის ინდივიდუალური ენა, რომლითაც ის იცნობა. უნდა მივულოცოთ ყველას, ვინც ეს შეძლო და მოახერხა. ამავდროულად, არსებობს მწერლების კიდევ უფრო შორს გადადგმული ნაბიჯი – პერსონაჟთა ინდივიდუალიზაცია ენობრივი ნიშნების მიხედვით. სრულიად უნიკალური მიღწევა და არსებობს მესამე დონე ენობრივი ექსპერიმენტისა, როდესაც პერსონაჟი სამყარო ხდება. მას არა მარტო ენა, არამედ სათქმელიც განსხვავებული აქვს და, შესაბამისად, სწორედ სათქმელი ცვლის ენას, როგორც აღმნიშვნელი – აღსანიშნს. აქ ჩნდება იმ ენა პერსონაჟი-იდეოლოგები. ჩნდება სამი ძმა კარამაზოვი, რომლებიც სამსხვადასხვა რამეს ამბობენ. ჩნდება მათი მამა, რომელიც საერთოდ სხვა დისკურსშია და ჩნდება არა დოსტოევსკი, არამედ ვიღაც პიროვნება, რომელიც მათ აერთიანებს, რაც ჯამში ჰქმნის ჰარმონიას.

ეს დიდი საოცრებაა. შემდგომში ხდება ამ ჰარმონიის ფრაგმენტიზაცია და ჩნდება სხვა ტიპის მწერალი, რომელიც აშკარად დოსტოევსკის მხრებზე დგას, ყველაზე უცნაური, მოულოდნელი და გენიალური რომანით „ხმაური და მძვინვარება“. მან გამოიყენა ძველი კლასიკური სიბრძნე: ვიცით, რომ ენობრივი ექსპერიმენტი, როგორც იდეა, ფოლკნერმა დოსტოევსკისგან აიღო, მაგრამ სათაურის შერჩევას – „ხმაური და მძვინვარება“ – მან შექსპირის „მაკბეთით“ ისარგებლა, სადაც ნათქვამია, რომ ცხოვრება იდიოტის მოთხრობილი ზღაპარია, სავსე ხმაურით და მძვინვარებით, თუმცა შინაარსის გარეშე. ფოლკნერმა ეს მეტაფორა რეალობად აქცია – ცხოვრება მოაყოლა იდიოტს და ეს ცხოვრება მართლაც ხმაურითა და მძვინვარებით სავსე აღმოჩნდა. ■

■ ჩნდება სხვა ტიპის მწერალი, რომელიც აშკარად დოსტოევსკის მხრებზე დგას, ყველაზე უცნაური, მოულოდნელი და გენიალური რომანით „ხმაური და მძვინვარება“. მან გამოიყენა ძველი კლასიკური სიბრძნე: ვიცით, რომ ენობრივი ექსპერიმენტი, როგორც იდეა, ფოლკნერმა დოსტოევსკისგან აიღო, მაგრამ სათაურის შერჩევას – „ხმაური და მძვინვარება“ – მან შექსპირის „მაკბეთით“ ისარგებლა, სადაც ნათქვამია, რომ ცხოვრება იდიოტის მოთხრობილი ზღაპარია, სავსე ხმაურით და მძვინვარებით, თუმცა შინაარსის გარეშე.

ფოტო: ლეონ სარაშვილი



თეოდანე პროკოპოვიჩი. პირველი სასწავლო ყრმათა. მოსკოვი, 1739.

ხობოხ მიჯნით დაღა ენაჲღა **XVII-XVIII სს.**

გიორგი კეკელიძე

ის, რომ სახელმწიფოს იდენტობას ენაც განსაზღვრავს – არაბალია. არაბალია ისიც, რომ ამაზე უკვე სადღაც-სადღაც დაგობენ. მაგრამ ნაკლებ საკამათოა ამ ენაზე სახელმძღვანელოს აუცილებლობა. იაკობ გოგებაშვილის ღვანლი, ვიტყვი პათეტიკურად, ამ მხრივ აუნონელი გახლავთ. ამ კაცმა მოახერხა ნამდვილი სასწავლო, დაახლოებით იმ რანგისა, რასაც საქართველოსთვის გამოტოვებული ევროპული განმანათლებლობა გულისხმობდა. თითქოს უბრალო სიტყვები „დედა ენა“, „აი-ია“ (რომელიც, როგორც გასაღები, ავტორის მიერ დიდხანს იძებნებოდა, სხვადასხვა ვარიანტის მოსინჯვის შემდეგ) მაგიურ სიტყვათშეთანხმებებად იქცა და ჩვენი ყოფა (თუნდაც ყოველდღიური)

დაეყრდნო. მე არ მივეკუთვნები იმ ხალხის რიცხვს, ვინც მიიჩნევს, რომ გოგებაშვილის „დედა ენა“ მოდერნიზების გარეშე უნდა ისწავლებოდეს და ახალი სახელმძღვანელოების გაჩენა მკრეხელობაა. დარწმუნებული ვარ, ამ აზრზე იქნებოდა თვითონ იაკობიც, ცვლილებების და სიახლეების დიდად ამყოლი კაცი. დღეს ეროვნული ბიბლიოთეკა იმაზე მოგითხრობთ, რაც გოგებაშვილმა შეცვალა და განავითარა. იშვიათ გამოცემათა ფონდის ხელმძღვანელი, დალი მაჩაიძე ბევრი თქვენგანისთვის უცნობი თაროებისკენ გაგვიძღვება:
პირველივე ქართული ბეჭდური წიგნი, სასწავლო დანიშნულების საანბანო გამოცემა იყო: ქართული ანბანი ლოცვებითურთ. რომი,


1629. ნიგნი გამოიცა მხედრული შრიფტით „პროპაგანდა ფიდეს“ სტამბაში. იგი განკუთვნილია კათოლიკობის გამავრცელებელი საზოგადოების მისიონერებისათვის. დროთა განმავლობაში მნიშვნელოვნად გაფართოვდა მისი ფუნქცია, რადგან XIX საუკუნემდე აღნიშნული გამოცემით ევროპელი ქართველოგებიც სარგებლობდნენ. ამ 32-გვერდიანი ნიგნის სანყის შვიდ გვერდზე ქართული მხედრული ანბანი დაბეჭდილი, ხოლო დანარჩენებზე განთავსებულია ლოცვები, მრწამსი, ათი მცნება და ღვთისმშობლის საგალობელი. ტექსტები წარმოდგენილია ქართულად და ლათინურად. ქართული ტექსტის ენა მარტივია და ადვილად გასაგები. მიჩნეულია, რომ იგი საგანგებოდ ამ გამოცემისათვის თარგმნა თეიმურაზ I-ის ელჩმა, „წმინდა ბასილის ორდენის“ ბერმა ნიკოლოზ ჩოლოყაშვილმა. გამოცემა, რომელმაც ასოთამწყობისთვის ერთგვარი სავარჯიშო ტექსტის როლი შეასრულა, უნიკუმად იქცა. მისი ორიგინალი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ასლი კი საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში ინახება.

შემდეგი ცნობილი ქართული საანბანო გამოცემა პეტერბურგის სამეცნიერო აკადემიის სტამბაში დაიბეჭდა: გურამიშვილი, ქრისტეფორე და სხვა; რუსულ-ქართული ანბანი. – სპბ. 1737. ნიგნი ნუსხა-ხუცურია, 32-გვერდიანი, უთავფურცლო, დაბეჭდილია 500 ეგზემპლარად. ამ გამოცემისათვის ქართული ანბანი დავით გურამიშვილის ძმამ, ბერმა ქრისტეფორემ შეადგინა, რომელიც შემდეგ მოსკოვში განახლებული სტამბის თვალსაჩინო მოღვაწე გახდა. ანბანის რუსულ-ქართულობა, შენიშვნები გერმანულ ენაზე და ლათინური ტრანსკრიპციით დაბეჭდილი „მამაო ჩვენო“ მიგვანიშნებს ანბანის კიდევ სხვა ავტორის შესაძლო არსებობაზე. ეს მრავალფეროვნება აფართოებს აღნიშნული ნიგნის მნიშვნელობას. იგი ნათლად გვიჩვენებს ქართველთა დაინტერესებას უცხო ენებით, ევროპელებისას კი – ქართულით. ამ თვალსაზრისით გამოცემა რომში დაბეჭდილ პირველ ქართულ ანბანს ემსგავსება. სადღეისოდ ნიგნი უნიკუმია, დაცულია რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ბიბლიოთეკაში.

ქართული ანბანის შემცველი სასწავლო დანიშნულების მქონე პირველი თარგმნილი გამოცემა ბაქარ მეფის სურვილით, იოსებ სამეხელის საფასითა და ქრისტეფორე გუ-

რამიშვილის რედაქტორობით დაიბეჭდა. ეს იყო: თეოფანე პროკოპოვიჩი. პირველი სასწავლო ყრმათა – მოსკოვი, 1739. ნიგნში ასახულია ანბანი და ასოთა წყობა, საღვთო რჯულის მცირე განმარტება, ათი მცნება, უფლის სვედრებელი, მრწამსი და ცხრა ნეტარება. ეს 168-გვერდიანი ნუსხა-ხუცურით დაბეჭდილი სახელმძღვანელო დარეჯან ბატონიშვილის მოღარეთუხუცესის, გაბრიელ ჩხეიძის მიერ რუსულიდან თარგმნილ ნაშრომს წარმოადგენს. ის დარეჯან ბატონიშვილის სასახლეში გამოიცა, სადაც რუსეთს შეხიზნული ბაქარ მეფის თაოსნობითა და არქიმანდრიტ იოსებ სამეხელის ხელმძღვანელობით არჩილ II-ის მიერ წამოწყებული საქმე – მოსკოვში ქართული ნიგნის ბეჭდვა – განახლდა. გამოცემა ბაქარის სურვილით, სამეხელის საფასითა და ქრისტეფორე გურამიშვილის რედაქტორობით დაიბეჭდა. ამ საქმის თანამონაწილე იყო გერმანე ბერი, პირველნაბეჭდი ქართული საყმანელო ნიგნისა და სახელმძღვანელოს შემდგენელი. მან გამართა ქართულ ენაზე გაბრიელ ჩხეიძის თარგმანი. დასახელებული ნიგნი ბიბლიოგრაფიული იშვიათობაა, აღრიცხული იყო მხოლოდ რუსეთის ეროვნულ ბიბლიოთეკაში. ამ გამოცემის მეორე უთავფურცლო ეგზემპლარი ჯერ კიდევ 1937 წელს საქართველოს ეროვნულ ბიბლიოთეკაში ქმნკვ საზოგადო-

პირველივე ქართული ბეჭდური ნიგნი, სასწავლო დანიშნულების საანბანო გამოცემა იყო: ქართული ანბანი ლოცვებითურთ. რომი, 1629. ნიგნი გამოიცა მხედრული შრიფტით „პროპაგანდა ფიდეს“ სტამბაში. იგი განკუთვნილია კათოლიკობის გამავრცელებელი საზოგადოების მისიონერებისათვის.



ქართული სასტამბო შრიფტის ჰენრიხ III კაიზერის სტამბაში, სტოკჰოლმში 1703 წელს გაკეთებული ამონაბეჭდი.

Neu eröffnetes
in Hundert Sprachen bestehendes
A. B. C. Buch,

Oder
Gründliche Anweisung,

In welcher
Der zarten Jugend nicht allein in der
Teutsch, Lateinisch, Französisch, Italiani-
schen, zc. sondern auch zu denen meisten Orientalischen
Sprachen, deren Erkänntnis und Aussprache
in kurzer Zeit zu lernen,
Ein leichter Weg gezeigt wird.



Leipzig, bey Christian Friedrich Gessner, 1743.

ფრანც იოხან ფრიდრიხი.
საანბანო წიგნი.
ლაიფციგი, 1743.

ების ფონდს შემოუტანია. წიგნი აღწერილია საგამომცემლო მონაცემების გარეშე, ტექსტის დასაწყისის მიხედვით, როგორც „შჯული ღმრთისა“. ამ მიზეზით, ეგონათ რა, რომ ბიბლიოთეკას ეს გამოცემა არ ჰქონდა და საარქივო ფონდისათვის 1968 წელს მისი ფოტოასლი შეუძენიათ (F 10.110/2).

მხოლოდ თეორიულ წყაროშია მითითებული ტრიფილე არქიმანდრიტის მიერ 1741 წელს თბილისში ქართული ანბანის გამოცემა ლოცვებითა და სხვა საეკლესიო კითხვა-მიგებით.

აღსანიშნავია აგრეთვე ერთი უცხოური გამოცემაც: ფრანც იოხან ფრიდრიხი. საანბანო წიგნი – ლაიფციგი, 1743. გამოცემა 100 ენაზე კრისტიან კენერის გამომცემლობაში დაიბეჭდა. ავტორის აზრით, წიგნი ადვილად და მოკლე დროში შეასწავლის მსურველ-

Das Grufimische Alphabet.

Figura.	Nomen.	Potest.	Figura.	Nomen.	Potest.
ა	აა.	Aa	ა	აა.	Aa
ბ	ბბ.	Bb	ბ	ბბ.	Bb
გ	გგ.	Gg	გ	გგ.	Gg
დ	დდ.	Dd	დ	დდ.	Dd
ე	ეე.	Ee	ე	ეე.	Ee
უ	უუ.	Vv	უ	უუ.	Vv
ს	სს.	Ss	ს	სს.	Ss
ჩ	ჩჩ.	Hh	ჩ	ჩჩ.	Hh
ც	ცც.	Tt	ც	ცც.	Tt
კ	კკ.	Ii	კ	კკ.	Ii
ღ	ღღ.	Kk	ღ	ღღ.	Kk
ლ	ლლ.	Ll	ლ	ლლ.	Ll
მ	მმ.	Mm	მ	მმ.	Mm
ნ	ნნ.	Nn	ნ	ნნ.	Nn
ი	იი.	Hh	ი	იი.	Hh
ო	ოო.	Oo	ო	ოო.	Oo
პ	პპ.	Pp	პ	პპ.	Pp
ჟ	ჟჟ.	Rr	ჟ	ჟჟ.	Rr
რ	რრ.	Ss	რ	რრ.	Ss
ს	სს.	Tt	ს	სს.	Tt
ტ	ტტ.	Uu	ტ	ტტ.	Uu
ყ	ყყ.	Qq	ყ	ყყ.	Qq
ვ	ვვ.	Gg	ვ	ვვ.	Gg
ზ	ზზ.	Cc	ზ	ზზ.	Cc
წ	წწ.	Zz	წ	წწ.	Zz
ჭ	ჭჭ.	Xx	ჭ	ჭჭ.	Xx
ხ	ხხ.	Yy	ხ	ხხ.	Yy

Die für ff Vocale sind folgende:
ა ე ი მ აჟ
a e i o u

wie ein Französisch, z

წ HIE.

ბს არა მხოლოდ ევროპულ, არამედ მრავალ აღმოსავლურ ენასაც. ამ გამოცემის 97-ე გვერდზე წარმოდგენილია ქართული ანბანი ასომთავრული და ხუცური შრიფტით. წინა გვერდზე კი დაბეჭდილია მრავალი შეცდომის შემცველი ცნობები საქართველოს შესახებ, ამოღებული ფ. მიულერის წიგნიდან „რუსეთის ისტორია“. (PG 1/1743 – საარქივო ფონდი).

საუკუნის მინურულს ქართული საანბანო წიგნი დაიბეჭდა მოზდოკში, გაიოზ არქიმანდრიტის მიერ დაარსებულ ქართულ სტამბაში: გაიოზი. ანბანი, ლოცვანი, მოკლე საქრისტიანო სწავლა. – მოზდოგი, 1797. გაიოზის მიერვე შედგენილი ქართული ანბანი 16-გვერდიანი გამოცემაა. იგი შეიცავს ასომთავრულს, ხუცურსა და მხედრულ და მწერლობებს. შრიფტები ამ სტამბისათვის

ცნობილმა მესტამბემ რომანოზ რაზმაძე-ზუბაშვილმა დაამზადა. ცნობილია, რომ ანბანი 600 ერთეულზე მეტი გამოვიდა. ამ ოდენობით გადასცა გაიოზ არქიმანდრიტმა თავისი ანბანი თბილისის სათავადაზნაურო სასწავლებელს. ეს გამოცემა ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად იქცა, დაცულია მხოლოდ პეტერბურგში, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ბიბლიოთეკაში.

დამოუკიდებელი საანბანო სახელმძღვანელოების გარდა, ძველნაბეჭდ გამოცემებში ასევე სასწავლო მიზნით ჩართული ქართული ანბანის ნიმუშები გვხვდება:

ხელმწიფის კარის დეკანოზის შვილი, ვახტანგ VI-ის სტამბის მოღვაწე, 1712 წელს „ვეფხისტყაოსნის“ გამომცემელი, მესტამბე მიქაელი, პირველი იყო, ვინც ქართული ანბანი სხვა სასულიერო წიგნს ჩაურთო: მან 1712 წელს დაბეჭდილ „დავითნში“ ტექსტის წინ, მე-[5] გვერდზე, განათავსა ნუსხა-ხუცური ანბანი, დაბეჭდილი 3 ჯგუფად: ჯერ ასომთავრული, შემდეგ ნუსხური ნაღმა-უკულმა წყობით. ჩართული ანბანი გვხვდება ამავე სტამბის 1716 წლის „დავითნშიც“. როგორც ჩანს, ამისთვის „დავითნი“ შეარჩიეს, როგორც საეკლესიო და საერო დანიშნულების წიგნი.

ასევეა ერეკლე II-ის სტამბის პირველსავე გამოცემაშიც: 1749 წლის ტფილისის „დავითნის“ 27-31 გვერდებზე დაბეჭდილია მრგვლოვანი და ნუსხური ანბანი, სავარჯიშოებით, ქარაგმებითა და ასოთა შესატყვისი არაბული ციფრებით – 1-1000-მდე.

მსგავსი შემთხვევები გვაქვს მოსკოვში ათანასე ამილახვრის სტამბაში დაბეჭდილ „დავითნებშიც“: 1764 წლის გამოცემაში ანბანი იმავე წესითაა წარმოდგენილი, როგორც 1712 თბილისის გამოცემაში. ქართული ანბანი – მრგვლოვანი და ნუსხური რიცხვითი შესატყვისებით 1-10000-მდე დაბეჭდილია ამილახვრის სტამბის 1768 წელს გამოცემული დავითნის მეორე გვერდზე.

ქართული დამწერლობის სამივე სახე – მხედრული, მრგვლოვანი და ნუსხური ანბანი თავისი რიცხობრივი შესატყვისებით წარმოდგენილია იტალიელი მარიო მაჯიოს ქართული გრამატიკის ორივე გამოცემაში – რომი 1643-1670 წლები. აღმოსავლეთის ქვეყნებში მივლინებულ კათოლიკე მისიონერთა ინტერესების გათვალისწინებით, აქვეა გამოქვეყნებული სომხურ-ქართული და არაბულ-ქართული ანბანიც.


სამ ეგზემპლარადაა შემორჩენილი ძველნაბეჭდი ქართული წიგნის 3-14 გვერდებზე დაბეჭდილი ანბანი სავარჯიშოებით. იგი დამოუკიდებელი საანბანო წიგნის დანიშნულებასაც შეასრულებდა, თუმცა მიჩნეულია, რომ ეს არის 1793 წელს ერეკლეს სტამბაში დაბეჭდილი მცირე ლოცვანის ნაწილი.

ძველნაბეჭდი ქართული სასულიერო წიგნების გარდა, ქართული ანბანი ქართული ლიტერატურის ისტორიის გერმანულ სახელმძღვანელოშიც გვხვდება. ესაა არტურ ფრანც კარლის წიგნი, რომელიც ვიენში 1798 წელს გამოქვეყნდა: Ueber Georgianische Litteratur, von Franz Carl Alter, Professor der Griechische Sprache, der Philosophie Doctor. – Wien : Gedruht bei Johann Thomas Edl. von Trattner, 1798.

ცალკე აღნიშვნის ღირსია ქართული სტამბისათვის ჩამოსხმული შრიფტების ნიმუშთა ანბანებიც: 1934 წელს სტოკჰოლმის სამეფო წიგნსაცავის ბიბლიოთეკარმა ბიორკომმა მიაკვლია ამონაბეჭდს, რომელზეც ულამაზესი ნუსხა-ხუცური ასახულა. მსხვილი და მომცრო ასომთავრული – მრგვლოვანი და წვრილი ნუსხური, მამაო ჩვენოსა და ღვთისმშობლის ლოცვის ტექსტით; 1947 წელს ასევე ბიბლიოთეკარმა ერიკ გრენმა შვეციის ქალაქ უპსალას საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკის წიგნსაცავში აღმოაჩინა ქართული ანბანის ორი ნიმუში. ერთი იგივე იყო, რაც უკვე დასახელებული, მეორე კი – სრულიად უცნობი სახეობა ღვთისმშობლის ტაძრად მიყვანების ტექსტით. ქართული შრიფტის ამონაბეჭდის მესამე სახეობა კი 1977 წელს ჯუანშერ ვათეიშვილმა აღმოაჩინა. ■

■ ცალკე აღნიშვნის ღირსია ქართული სტამბისათვის ჩამოსხმული შრიფტების ნიმუშთა ანბანებიც: 1934 წელს სტოკჰოლმის სამეფო წიგნსაცავის ბიბლიოთეკარმა ბიორკომმა მიაკვლია ამონაბეჭდს, რომელზეც ულამაზესი ნუსხა-ხუცური ასახულა

მაჯიო, ფრანცისკო-მარია. ქართული ენის გრამატიკა. რომი, 1670.



ფოტო: ლევან სანაძე/საქიპი



რუსთაველის გამზირი, N54

სახლი - მათხანი

ცირა ელისაშვილი

ვინმემ რომ მთხოვოს, თბილისის ხუთი საუკეთესო სახლის დასახელება, ამ სიაში რუსთაველის N54-ში მდებარე საცხოვრებელი სახლი აუცილებლად მოხვდება.

ნაგებობა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შენობის (რუსთაველის გამზირი N48) და ყოფილი საბაგირო გზის ქვედა სადგურის (რუსთაველის გამზირი N52) უკან, სიღრმეში დგას.

შენობა ცნობილ იურისტსა და კომერსანტს ვასილ გაბაშვილს ეკუთვნოდა და 1897 წელს არქიტექტორ კორნელი ტატიშჩევის პროექტით აშენდა (ეს ის ტატიშჩევა, რომელმაც ა. შიმკევიჩის თანაავტორობით 1898-1901 წლებში " არტისტული საზოგადოების", ამჟამად შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის შენობა ააგო. კ. ტატიშჩევის პროექტითაა აგებული მისივე სახლი ლადო ასათიანის ქ. N18-ში, რომელიც ისლამური არქიტექტურის და ძველ-თბილი-

სური საცხოვრებლის ერთ-ერთ ღირსშესანიშნავ ნიმუშს წარმოადგენს).

ისევ ჩვენს შენობას რომ დავუბრუნდეთ, მისი ფასადი ბაროკოსა და როკოკოს სტილშია გადანყვეტილი. ამ შენობას ყველა ის ელემენტი აქვს, რაც თბილისური სახლებისთვისაა დამახასიათებელი: აივანი, მოხატული სადარბაზო, ეზო-ბაღი მრგვალი შადრევნით და ალყაფის ჭიშკარი. ალბათ იკითხავთ – აბა, რით არის გამორჩეული? – საოცრად უხვად დეკორირებული და ამავდროს მსუბუქი, ორიარუსიანი ხის ჭვირული აივნით, რომელიც მეტწილად განსაზღვრავს შენობის მაღალმხატვრულ სახეს. ჭვირული აივანი ტრადიციულია ამ ქალაქისთვის. ასეთი მაქმანივით ნაქარგი აივანი კი თბილისში ერთადერთია და მის ანალოგს სხვაგან ვერსად ნახავთ. სწორედ ეს იყო მიზეზი იმისა, რომ კომუნისტურ წლებში, როდესაც ზემელის რეკონსტრუქციის დროს ამ შენობის



რუსთაველის გამზირი, N54

ფოტოები: ლ. ლალო, კ. კახიანი



ლალო ასათიანის ქ. N18




რუსთაველის თეატრი

აქ ყოველთვის ის ტფილისი მეგულება, რომელიც თითქმის აღარ არსებობს — ტფილისი თავისი ღიაობით, ურთიერთობით, კეთილგანწყობით... მას შემდეგ, რაც ამ სახლს აღმოაჩენ (ან თუ გნებავთ იპოვი, „იპოვი“ იმიტომ, რომ ისეთ უჩვეულო ადგილას დგას, რომ ყველა მნახველს საკუთარი აღმოჩენილი ჰგონია) ძველი თბილისის ატმოსფეროში გადადიხარ. აქ თითქოს ყოველთვის გელიან. გელიან ნებისმიერ დროს, თუნდაც გვიან, უკვე შებინდებულზე. ელიან ყველას, ნაცნობებს თუ უცნობებს. მათ, ვისაც ეს სახლი აინტერესებს. მასპინძლები დაუზარლად მოგიყვებიან სახლის ისტორიას, კარს გაგიღებენ; ბინიდან გამოყვანილ დენის დამაგრებლებზე ჩართული სანათით სადარბაზოს გაგინათებენ და კედლის მხატვრობას დაგათვალიერებინებენ... და როცა გგონია, რომ ამით დასრულდა, ეს მშვენიერი მოგზაურობა წარსულთან, როცა გენანება, მაგრამ მაინც დასამშვიდობებლად ემზადები და მადლობის სიტყვებს არ იშურებ, სწორედ მაშინ, აუცილებლად სახლში მიგიპატიჟებენ, ფინჯან ყავასა თუ ჩაიზე. საოცარი ის არის, რომ სანამ ამ სახლში ხარ, სანამ ყიფშიძეებს ესაუბრები, ეს კეთილგანწყობა და ურთიერთობა ძალიან ბუნებრივად გეჩვენება, ვინაიდან წარმოუდგენელია ასეთ სახლში სხვანაირი ბუნების ხალხი ცხოვრობდეს. საკმარისია ეზოს გამოსცდე, რომ ჩვეულ ურბანულ რეალობაში ხვდები, ქალაქური ხმაურითა და გაუცხოებით. სწორედ ამიტომ მგონია, რომ რუსთაველის N54-ში დრო გაჩერდა. აქ ყოველთვის ტფილისის დროა.

დანგრევა გადანყდა, სახლის იმუამინდელმა მეპატრონემ, ვასილ გაბაშვილის სიძემ, ცნობილმა თერაპევტმა ნიკოლოზ ყიფშიძემ, რომელიც „დიდი ბელადის“ პირადი ექიმიც იყო, ამ სახლის ფოტო სტალინს აჩვენა და მისი გადარჩენა სთხოვა. როგორც ჩანს, შენობის სილამაზემ სტალინზეც იმოქმედა და შენობა განადგურებას გადაურჩა.

თუმცა საბჭოთა პერიოდში გაბაშვილებს ჩამოერთვათ უძრავი ქონება საბურთალოსა და ვეძისის ტერიტორიებზე, მათ შორის სასტუმრო „ფირუზაც“, რომელიც ყოფილი სასტუმრო „აჭარის“ ადგილას იდგა.

მხატვრულ-არქიტექტურული ღირსების გარდა, ეს სახლი ჩემთვის სხვა გარემოებითაც არის მნიშვნელოვანი. სახლის მეპატრონეების, ყიფშიძეების ოჯახის ნყალობით, სულ მგონია, რომ აქ დრო გაჩერდა.

მოძებნეთ ეს სახლი, სადაც დღესაც გაბაშვილთა შთამომავლობა ცხოვრობს, დაათვალიერეთ შენობა, რომლის სანიმუშო რესტავრაციაც თავად ოჯახმა შეძლო და თქვენ აღმოაჩენთ „ტფილისს“ თბილისში. 



სილკნეტი
SILKNET

SILK DIGITAL პროდუქციები



My.Silknet.com

რა არის my.silknet.com?

სპეციალურად Silknet-ის მომხმარებლებისთვის შექმნილი პორტალი.



Silkmovies.ge

რა არის silkmovies.ge?

პირველად საქართველოში ლეგალური ფილმების უფასო პორტალი, რომელიც საქართველოს ტერიტორიაზე ხელმისაწვდომი იქნება ყველასთვის.



Silk TV აპლიკაცია

რა არის Silk TV აპლიკაცია?

ინტერაქტიული ტელევიზია ტელევიზორის გარდა ახლა უკვე სხვა მოწყობილობებზეც. Silk TV-ის უნიკალური ფუნქციები (გადახვევა, დაბრუნება, და ა.შ) და ხარისხი უკვე ყველასთვის ხელმისაწვდომია.



Silk Up

რა არის Silk Up?

უფასო მობილური აპლიკაცია, რომლის დაინსტალირება შესაძლებელია ანდროიდზე და iOS-ზე.

IRVA



MEGOGO

2 100 100 www.silknet.com

სახლი დაბოიხატოიის ქუჩაზე

ირაკლი სვადაგიანი



ფოტო: ირაკლი სვადაგიანი

თბილისის ქუჩებს ის დროც ახსოვთ, როდესაც პარლამენტის დეპუტატები ტრამვაით მგზავრობდნენ; გვიან ღამით მთავრობის თავმჯდომარე ფეხით მისეირნობდა სახლისკენ და წყლისა და მჭადის რიგში მდგომი მინისტრები წინ არ მიძვრებოდნენ.

თითქმის საუკუნის განმავლობაში საქართველოს პირველი რესპუბლიკის ყოფას თანამედროვეები საჯაროდ ძუნწად და მუქ ფერებში იხსენებდნენ – სიცივე, შიმშილი, ქაოსი, შიში... ბოლშევიკური პროპაგანდა კი ძალას არ იშურებდა, რომ ახალი თაობის საბჭოთა მოქალაქეებს თავისუფლების ოთხნლიანი კუნძულის შესახებ მხოლოდ დამცინავი, დამორგუნველი სურათები, მოგონებები დარჩენოდათ და ალტერნატიული ცოდნის წყაროები ჩაეკეტათ. კინოქრონიკებში მუდამ ატრიალებდნენ მთავრობის წევრების სახელდახელო საზეიმო სადილის მოშემშვილე გლეხობის სურათებით შეზავებულ კადრებს.

ძალისხმევამ ნაყოფი გამოიღო და დღეს ჩვენს საზოგადოებას თითქმის განწყვეტილი აქვს ცნობიერი და ემოციური კავშირი საქართველოს რესპუბლიკის დამფუძნებლებთან. მათი სახელების აბსოლუტური უმრავლესობა არაფერს გვეუბნება. სახეზე არ ვიცნობთ მაშინდელი მოქალაქეების ნდობის მანდატით ალჭურვილ პოლიტიკოსებს და დედაქალაქში, საჯარო სივრცეში, თითქმის არაფერი მიგვანიშნებს პირველი რესპუბლიკის არსებობის შესახებ. „პიონერთა სასახლის“ კიბეზე ყველას „ქეთო და კოტე“ ახსენდება და არა 1918 წლის 26 მაისი, 1919 წლის 12 მარტი და 1921 წლის 21 თებერვალი.


კითხვაზე – რაში შეიძლება სჭირდებოდეს დღევანდელ მოქალაქეს საქართველოს დამფუძნებელი მამების კვალის ნაკითხვა თბილისის ქუჩებში, ერთი მარტივი პასუხი, სწორედ ყოფით დეტალებში მაშინდელი საზოგადოების პოლიტიკური კულტურის და საზოგადო ეთიკის დანახვაა, როდესაც დიდი ცვლილებების და გარდატეხების დროს, პოლიტიკური კლასი 2-3 დღის განმავლობაში მეტეხის ციხის



ვლადიმერ ჯიბლაძე



ლეონტი ულენტი



გიორგი ერაძე



ილიკო ბადრიძე

კარცერიდან მეფისნაცვლის ყოფილ სასახლეში გადაბარგდა და მომაკვდავი საზოგადოებრივი ინსტიტუციები გადაიბარა.

პირველი რესპუბლიკის პოლიტიკური ელიტის 1917 წლამდე და 1917 წლის შემდეგი საცხოვრებლების ტოპოგრაფიული რუკის შედარება, რევოლუციის შემდგომ საქართველოში დაწყებული სოციალური ცვლილებების საინტერესო ილუსტრაციაა. წინასწარი განწყობის მიუხედავად, აშკარაა, რომ მმართველი კლასის დიდი გადასახლება „ქართული დემოკრატიის აკენიდან“ – „ნახალოვკიდან“ – ქალაქის ცენტრისკენ არ მომხდარა. ქვეყნის მმართველობის სადავეების მქონეთა შორის, ცოტას თუ გააჩნდა თბილისში საცხოვრებელი სახლი და თუკი მეფის რეჟიმის

დროს მათ კვალს კონსპირაციული ბინიდან ბინაზე მოგზაურობასა და საბოლოოდ ჟანდარმთა სამმართველოსა და მეტეხში ვხედავთ, დემოკრატიული რესპუბლიკის დროს ეროვნული საბჭოს, პარლამენტის და დამფუძნებელი კრების ქვესტორს დეპუტატები ხშირად უბრუნებდნენ საანკეტო ბარათებს მისამართის გასწვრივ მინიშნებით – „დროებითი“, ან „ბინა არ მაქვს“. დროებით მცხოვრები დეპუტატების უმრავლესობა კი ან სამინისტროების შენობებში იყო შეფარებული, ან თავად მთავრობის სასახლეში, ან მის სიახლოვეს ქირაობდნენ ბინებს.

ერთი ასეთი სახლი, სასახლესთან ახლოს, მაშინდელი პეტრე-დიდის ქუჩა N18 იყო, სადაც საქართველოს დამფუძნებელი კრების ათ დეპუტატს

ჰქონდა ოთახი ნაქირავები. დღეისათვის შეიძლება ეს სახლი ერთგვარ მემორიალად წარმოვიდგინოთ, რომელიც დიდი ცვლილებების ცოცხალი მონწყა. მდიდარი ტფილისელი მოქალაქის სახლი, რომელსაც ხშირად „ოხრანკა“ კონსპირაციული მიზნებისათვის იყენებდა, დემოკრატიული რესპუბლიკის დეპუტატთა საერთო საცხოვრებელი გახდა. საქართველოს საბჭოთა რუსეთის მიერ ოკუპაციის შემდგომ კი თითოეული ამ ადამიანის ბედი მე-20 საუკუნის საქართველოს ტრაგიკული ისტორიისა და დაკარგული და უსამართლოდ მივიწყებული თაობის ბედის შთამბეჭდავ ილუსტრაციად იქცა:

დამოუკიდებლობის ხანაში, 1919 წელსვე, გარდაცვლილი დეპუტატის – სიმონ სურგულაძის ვინაობისა და ცხოვრების გზის გასარკვევად ჟანდარმერიის და „ოხრანკის“ დოკუმენტების ჯერაც გადაუშლელი სქელი ტომები თუ გვაძლევენ იმედს. დიდი ძალისხმევის მიუხედავად იგი კვლავაც ჩვენი საზოგადოების განწყვეტილი მესხიერების მაგალითად რჩება.

ძველი მუშა-რევოლუციონერი, გამოცდილი ორგანიზატორი და კონსპირატორი გიორგი ერაძე დეპუტატობის პარალელურად შრომისა და მომარაგების მინისტრიც იყო. დამოუკიდებლობის პერიოდში მის სახელს ერთი კურიოზი უკავშირდება, რომელიც სიმართლესთან დიდად ახლოს არ უნდა იყოს, მაგრამ კარგად ასახავს მაშინდელ რეალობას: ერთ-ერთი ომისას, გვიან ღამით მეგობრებთან – ნახალოვკელ და ავლაბრელ მუშებთან ერთად მოსეირნე მინისტრი მილიციის პატრულმა ვერ იცნო და „უჩასტკაში“ წაყვანა დაუპირა. პროტესტისას – დეპუტატი და მინისტრი ვარო, ლაზღანდარობისთვის მსუბუქადაც წაუთაქეს. გიორგი ერაძე საბჭოთა ოკუპაციისას ემიგრაციაში წავიდა და ლევილში ცხოვრობდა. იგი 1971 წელს 89 წლის ასაკში გარდაიცვალა. ამ დროისათვის ის ემიგრანტული მთავრობის ბოლო მოქმედი წევრი იყო.

ვასილ წულაძე საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის მე-

ორე – ახალგაზრდა თაობის ფრიად მოქმედი და ავტორიტეტული წარმომადგენელი იყო. პოლიციასა და ჟანდარმერიასთან წლობით „თამაშის“ და 1917 წლის რევოლუციის შემდეგ „ოხრანკის“ ყოფილი აგენტების გამოვლენაში მიღებული გამოცდილება საქართველოს დამოუკიდებლობის დაკარგვის შემდეგაც არ გაუფლანგავს ფუჭად – დიდი ხნის განმავლობაში სტამბოლიდან პარიზსა და თბილისს შორის საიდუმლო საინფორმაციო არხების ორგანიზატორი იყო. სიბერეში გამოქვეყნებული მოგონებების მცირე ფრაგმენტებითაც შეიძლება ვივარაუდოთ, რამდენად მნიშვნელოვან ინფორმაციას შეიძლება ინახავდეს მისი ჩანაწერები.

ვლადიმერ (ლადო) ჯიბლაძეც ამ თაობის ლიდერი, გამოცდილი მებრძოლი, პროპაგანდისტი, საერთაშორისო სოციალისტური ყრილობების დელეგატი; 1917 წლის დეკემბერში საქართველოს სახალხო გვარდიის ერთ-ერთი ორგანიზატორი და მთავარი შტაბის წევრი, თითქმის ყველა ბრძოლის მონაწილე იყო. ლადო ჯიბლაძე, საქართველოს ოკუპაციის შემდეგ, მასობრივი რეპრესიების პირველივე ტალღის დროს, 1921 წლის მაისში, მშობლიურ სოფელში დააპატიმრეს. მეზობელმა და ძველმა თანამებრძოლმა ბოლშევიკებმა დახვრეტის რეკომენდაციით გაგზავნეს თბილისში, საიდანაც 1922 წლის დეკემბერში პოლიტპატიმრების დიდ ჯგუფთან ერთად ციმბირის საკონცენტრაციო ბანაკებში გადასახლეს, სადაც 1936 წლამდე მუდმივად უგრძელდნენ პატიმრობის ვადას. საბოლოოდ კი, 1938 წელს სტალინის სანქციით დახვრეტეს.

ლიზა ბოლქვაძე, გურიის ქალთა სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების ლიდერი, დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა ოკუპაციის შემდეგ დაწყებული წინააღმდეგობის მოძრაობაში. იგი მომდევნო ტალღისას, 1923 წლის მაისში, შუა აზიაში გადასახლეს, საიდანაც 1925 წელს დაბრუნდა და კვლავ იატაკქვეშეთს ჩაუდგა სათავეში. 1926 წელს საქართველოს

სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის არალეგალური ცეკას მდივნის მოვალეობას ასრულებდა. ამავე წელს დააპატიმრეს და 1937 წლამდე ციმბირში პატიმრობა-გადასახლებაში იყო, სანამ 1937 წელს კრასნოიარსკში არ დახვრეტეს.

კოტე ანდრონიკაშვილი, წარჩინებული კახელი თავადის ოჯახში აღზრდილი ახალგაზრდა, სტუდენტობიდანვე „მეფის ტახტის მოსისხლე მტერი“ იყო. ბევრჯერ დაპატიმრებული და გაციმბირებული. ციმბირიდან გაიქცა და 1917 წლამდე ჟენევაში მყოფი სოციალ-დემოკრატების ინტერნაციონალური ჯგუფის მდივანი იყო. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ თელავის ქალაქის თავი – 1921 წლის ომისას კახეთში მთავრობის რწმუნებული. ოკუპაციის შემდეგ რამდენჯერმე „პროფილაქტიკური“ დაპატიმრების მიუხედავად წინააღმდეგობის მოძრაობის ლიდერი – საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის მეორე და ბოლო თავმჯდომარე გახდა, რომელიც 1924 წლის აგვისტოს აჯანყებას მეთაურობდა. დაპატიმრების და გასამართლების შემდეგ, 1925 წლიდან, „სასტიკი იზოლაციის“ წესით მოთავსებული იყო სუზდალის ციხეში. გათავისუფლების შემდეგ კოტეს კვალი იკარგება. სავარაუდოდ ისიც 1937 წლის დიდი ტერორის მსხვერპლი გახდა. გასამართლების შემდეგ ხშირად ირონიულად შენიშნავდა, როგორ დაჟინებით მოიხსენებდა მას ბოლშევიკური რეჟიმი „თავად ანდრონიკაშვილად“, როდესაც თავადის ნოდება მეფის ხელისუფლებამ პირველი დაპატიმრებისას აპყარა.

ილიკო ბადრიძე – ასევე ძველი მუშა და რევოლუციონერი, მებრძოლი რაზმების ორგანიზატორი. მეფის დროს კატორღაში ნამყოფი. საქართველოს ოკუპაციის შემდეგ მალევე დააპატიმრეს. მეტეხის ციხეში ჯერ კიდევ მეფის დროს შერყეული მისი ჯანმრთელობა კრიტიკულ ზღვარს მიუახლოვდა და სიკვდილისგან მეგობარმა და თანამებრძოლმა, დამფუძნებელი კრების დეპუტატმა ვასო ცაბაძემ


დაიხსნა – თავდებობით გამოაშვებინა, რადგან მას ბოლშევიკებს შორისაც დიდი ავტორიტეტი ჰქონდა წარსული დამსახურებების გამო. ვასო ცაბაძე ტფილისის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პირველი წრეების ერთ-ერთი დამაარსებელი იყო. ილიკო ბადრიძე მეორედაც გადაურჩა სიკვდილს 1924 წლის აგვისტოს აჯანყებისას. მასობრივი დახვრეტის შეჩერების ბრძანებისას მისი რიგი ჯერ კიდევ არ იყო მოსული, განსხვავებით ვასო ცაბაძისგან, რომელიც ერთ-ერთი პირველი დახვრიტეს. სტაბილური ფსიქოლოგიური დევნა-შევიწროების ფონზე ილიკო ბადრიძე 1937 წლამდე პატრონობდა ოჯახს. 1937 წლის მასობრივი ტერორისას კი ისიც ათასობით უკვალოდ გამქრალ ადამიანთა რიგს შეუერთდა.

სანდრო ფარინევი – საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის ასევე ძველი და თვალსაჩინო მებრძოლი. საკუთარ ხელნაწერ ბიოგრაფიაში პრინციპულად არ დაგვიტოვა რევოლუციური დამსახურებების ჩამონათვალი. თუმცა, როგორც მოგვიანებით წერდნენ, მისი კვალის ნაკითხვა სანდროს სახეზე, კაზაკების ხმლების ნაკვალევითაც შეიძლებოდა. მას ორმაგი ოსურ-ქართული იდენტობის (ეროვნებად აღნიშნული აქვს გაოსებული ქართველი) გამო კავკასიელი ერების რევოლუციური თანამებრძობის ნიმუშადაც მიიჩნევენ. საქართველოს ოკუპაციის შემდეგ წინააღმდეგობის მოძრაობაში ჩაერთო და 1922 წლის 26 მაისს, საქართველოს რესპუბლიკის დროშით ხელში დემონსტრაციის მეთაურობისას დეზერტირკაში დააპატიმრეს. ჩეკისტებმა ერთწლიანი პატიმრობის და შანტაჟის შემდეგ გატყვეს და 1923 წელს საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის თვითლიკვიდაციის სპექტაკლს ჩაუყენეს სათავეში. 1920-იანი წლების ბოლომდე ტრამვაის სამმართველოს უფროსად მუშაობდა. შემდგომი ბედი კი ჯერჯერობით გაურკვეველია.

ანანია სალუქვაძის ფანტასტიკური თავგადასავლის წარმოდგენას კარგი



ვასო ნულაძე



სანდრო ფარინევი



ანანია სალუქვაძე



კოტე ანდრონიკაშვილი



ლიზა ბოლუქვაძე (მარკენი)

რომანისტი ან რეჟისორი სჭირდება. სუსტი ჯანმრთელობის 19 წლის ყმაწვილი 1907 წელს რევოლუციის აკნის – გურიის – სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების ლიდერი გახდა. საქართველოს ოკუპაციის შემდეგ, პარტიის უხუცესი ორგანიზატორის, სილიბისტო ჯიბლაძის, გარდაცვალების შემდეგ მის მხრებზე გადაიარა ბოლშევიკურ საოკუპაციო რეჟიმთან საბრძოლველად წინააღმდეგობის მოძრაობის ორგანიზებამ. 1922 წელს დაპატიმრებული 1935 წლამდე მუდმივად გადასახლებაში და ციხეებში იმყოფებოდა, სადაც ჯანმრთელობა საბოლოოდ გაუტყდა და 1935 წელს ალმა-ათაში გარდაიცვალა. 1960-იან წლებში შეიღმა – შოთა სალუქვაძემ – მალულად გადმოსაყენა სამშობლოში და საბურთალოს სასაფლაოზე დაკრძალა.

ინგოროყვას N18-ის ბოლო ბინადრის – ლეონტი ჟღენტის ბიოგრაფიაც ამ საერთო სურათის ნაწილია. 1921 წელს ემიგრაციაში წასული დეპუტატი მოგვიანებით, 1949 წელს, წერდა:

„...საქართველოს თავისუფლება ჩაქსოვილია საერთაშორისო თავისუფლებაში. არ იქნება რა საქართველო თავისუფალი, მაშინ ყველას თავისუფლება კითხვითი ნიშნის ქვეშ ისმება და სწორედ აქ არის ჩვენი მტკიცე იმედიც“.

ძნელი სათქმელია, ყველა მათგანის გულის სიღრმეში არსებული და უთქმელი მალული იმედი, სხვადასხვაგვარად რომ გადმოსცემენ ხოლმე – „ხელნაწერები არ იწვიან“, „სანთელ-საკმეველი“ და ა.შ. – უფრო უნიადაგო ხომ არ გამოდგა?! ❏

ფოტოები:
საზოგადოებრივი არქივი – „საბჭოთა წარსულის კვლევის ლაბორატორიის“ კოლექციებიდან. საქართველოს ეროვნული არქივი. თსუ ქართული ემიგრაციის მუზეუმი. გურამ შარაძის კერძო კოლექცია.

საბჭოთა წარსულის კვლევის ლაბორატორიისა და ჟურნალ „ლიბერალის“ ერთობლივი პროექტი.



საბჭოთა წარსულის კვლევის ლაბორატორია



ლიბერალი

ეთნობიოგრაფიული ექსპონატები

საქართველოს ეროვნულ მუზეუმში ასე ათასზე მეტი ეთნობიოგრაფიული ხასიათის ექსპონატია დაცული. აქედან ყველაზე მნიშვნელოვანი მასალები სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმშია განთავსებული. ესენია: კავკასიური და მახლობელი აღმოსავლეთის ხალხთა ტანსაცმელი; ქართული კერამიკის მოჭიქული და მოუჭიქავი ჭურჭლის ყველა სახეობა; ირანის, აზერბაიჯანის, სომხეთისა და დაღესტნის სამეთუნეო ცენტრების ორიგინალები; ფაიფურისა და ფაიანსის სანადიმო თუ საოჯახო მოხმარების ჭურჭელი; გარდნერის, კუზნეცოვის, ვენის, საქსის, ბოჰემიისა და ინგლისური ქარხნების მიერ დამზადებული მინისა და ფაიფურის მდიდარი კოლექციები.

უხვადაა წარმოდგენილი ფერადი ლითონების ნაწარმი. სპილენძის, ვერცხლის, რკინის ხის და თითბრის მასალისაგან დამზადებული საოჯახო ჭურჭელი, რომლებსაც იყენებდნენ ღვინის, ლუდის, წყლის, რძის, ზეთის და მარცვლეული კულტურების წარმოებისთვის. აგრეთვე, მხატვრულად დამუშავებული და შემკული სპარსული სინები და იბრილები, თურქულ-თურქმენული წურწუმები, სხვადასხვა წარმომავლობის აღმოსავლური სურები, ვერცხლის თევზები, თასები, ეკლესიისათვის შენაწერი სხვადასხვა სახის ნივთები, სპილოს ძვალზე შესრულებული სპარსული მინიატურები, ფერადი მინანქრით მორთული საბრძოლო და საყოფაცხოვრებო ნივთები, ჩინური და ევროპული ფაიფურის ფიგურების დიდი კოლექცია.

ერთ-ერთი საუკეთესოა ტყავის მასალისაგან დამზადებული ცხენის აღკაზმულობა. სპარსეთის, თურქმენეთის, აზერბაიჯანის, ქურთისტანისა და კავკასიის სკოლებში მოქსოვილი უნიკალური ხალიჩური ნაწარმი, ირანული, თურქული, ავღანური, სირიული საბრძოლო იარაღები. მუსიკალური საკრავების უმდიდრესი კოლექციები.


უხვადაა წარმოდგენილი რკინისაგან დამზადებული თითქმის ყველა სახის სამეთუნეო იარაღი; ქრისტიანული, მუსლიმანური, იუდაისტური, ბუდისტური და სხვა რელიგიებისათვის დამახასიათებელი ნივთიერი მასალების დიდი კოლექცია. მუზეუმის კოლექციებში აგრეთვე დაცულია ეთნობიოგრაფიული ყოფის ამსახველი უნიკალური მხატვრული ნაწარმოებები. ■



იმერეთის მეფის ალექსანდრე III-ის (1639-1660) ჯაჭვის პერანგი - XVII ს. ფოლადი, თითბერი, ფერადი თევზები, ხავერდი, 61X46 სმ.



ფარშევანგი - ირანი, XIX ს. სპილენძი, ვერცხლის ზარნიშით, 59X65 სმ.



ხმალი („ხელობა ძაძამიძისა“, 1915 წ.) - ქართული, XX ს.-ის დასაწყისი, ვერცხლი, ოქრო, სევადა, ფოლადი, ტყავი, ხმლის სიგრძე 92 სმ. პირის სიგრძე 74 სმ.



დამბაჩა (კაჟიანი) – თბილისური, XVIII-XIX სს. ფოლადი, რკინა, ოქროზარნიში, ვერცხლი, სევედა, სიგრძე 52 სმ. ლულის სიგრძე 34 სმ. ლულის დიამეტრი 16 მმ.



ცული ორფრთიანი – სპარსული, XVII-XVIII სს. ფოლადი, ოქროსა და ვერცხლის ზარნიში, სიგრძე 70 სმ. ცულის ზომა 25 X 16 სმ.

კვერთხი ძროხისთავიანი – სპარსული, XVII-XVIII სს. ფოლადი, სპილენძის და ვერცხლის ზარნიში, სიგრძე 70 სმ. ძროხის თავის ზომა 13X7 სმ.

ცული (საბრძოლო) – სპარსული, XVII-XVIII სს. ფოლადი, ოქროზარნიში, ხე, ფერადი საღებავები, სიგრძე 58 სმ. ცულის ზომა 13X8 სმ.



კავკასიური საზეთე დოქი – აზერბაიჯანი, XIX ს. თიხა, 27.5X12 სმ.



ჯამფილა და ჩამჩა – ჯამფილა: თბილისი, 1839 წ. სპილენძი, 29X15X20 სმ. ჩამჩა: თბილისი, XIX ს. სპილენძი, ტარის სიგრძე 34 სმ. პირის დიამეტრი 9 სმ.



წურწუმა – იბრილი – ირანი, XIX ს. სპილენძი, ძირი 14X46.5 სმ. ხუფიანად 53X3.5 სმ.

წურწუმა – ირანი, XVII ს. სპილენძი, 10X37X6 სმ.

საქართველოს ეროვნული მუზეუმებისა და ჟურნალ „ლიბერალის“ ერთობლივი პროექტი.





სლავა პოლუნინი, „თოვლის შოუ“

"სახიანი" სიძვებს, მოძიანობას და სიხყვებს შოხის თბილისის სახითაშოხისო თაახიანი ფახივანი ბჟის ბასაყახზა

დავით ბუხრიკიძე

ვერ გეტყვით უნებლიეთ თუ დირექციის გარკვეული კონცეფციით, თბილისის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალის წლევეან-დედი პროგრამა ვერბალურ და არავერბალურ ფორმებს შორის საამო და თან სახიფათო „ხეტიკალს“ ჰგავდა. ფესტივალის საერთაშორისო პროგრამა მსოფლიოში ცნობილი ტაივანური ცეკვის თეატრის, „ღრუბლების კარიბჭის“, ყველაზე ცნობილი სპექტაკლით – „მოხეტიალეთა სიმღერებით“ გაიხსნა და არანაკლებ პოპულარული, ვიჩესლავ პოლუნინის „თოვლის შოუ-

თი“ დაიხურა. რაც იმაზე მეტყველებს, რომ სიტყვებმა თანამედროვე თეატრში რალაც დოზით მართლა დაკარგეს მნიშვნელობა.

მაყურებელი ნელ-ნელა მიეჩვივა სპექტაკლებში შემცირებულ ტექსტებს, კუპიურებს, აქტიურ და ერთგვარად აგრესიულ ვიზუალურ ფორმებს, ხმამაღალ და ჭრელ მუსიკალურ გაფორმებას. რაც მის კიდევ უფრო სწრაფად „გაზარმაცებას“ უწყობს ხელს. თანამედროვე ვიზუალური ხელოვნება, მედია, რეკლამა, გარემო, ინტერნეტი სულ უფრო მცირე დროს

ტოვებს რეფლექსიისა და ჩაღრმავებისათვის. სწორედ ეს ორი ტენდენცია – აქტუალური, ქმედითი და გამომსახველობითი, ერთის მხრივ, და კამერული, დრამატული და ვერბალური – მეორეს მხრივ, განსაზღვრავდა წლებადნულ საერთაშორისო საფესტივალო პროგრამას.

ძნელია ემოცია შეიკავო, როდესაც ქართულ ხალხურ სიმღერებს ანსამბლ „რუსთავის“ შესრულებით „ლაივში“ უსმენ და პარალელურად მოცეკვავება შენელებულ, შემპარავ და მედიტაციასთან დამეგობრებულ მოძრაობებს აკვირდები. თითქმის საათნახევრის განმავლობაში სცენაზე ოქროსფრად შეღებილი ბრინჯის მარცვლების წვიმა მოდის, რომელიც ხან მდინარედ, ხან მთებად, ხან უდაბნოდ იცეკვა. სამი ტონა ბრინჯის წვიმის ფონზე გაუნძრევლად მდგომი, თავგადაპარული ბერი თითქოს უსაზღვრო მედიტაციასა და რელიგიურ რიტუალში გითრევთ, „რუსთავი“ კი ამ შეგრძნებას კოსმიურ განფენილობას ანიჭებს.


ძნელია, დაახლოებით 20 წლის წინათ დადგმულ სპექტაკლში, რომლითაც „ღრუბელთა კარიბჭემ“ მთელ მსოფლიოში გაითქვა სახელი, დღესაც ის ცოცხალი შეგრძნებები აღმოაჩინო, რითაც თავის დროზე ბრიტანული თუ ამერიკული პრესა ასე აღფრთოვანდა (მათი ციტირება საფესტივალო ბუკლეტშიც შეგიძლიათ წაიკითხოთ). ამის მიუხედავად, სპექტაკლი მაინც გითრევთ და გაღვლეებთ. სიმართლისათვის ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მაყურებელთა ნაწილმა მედიტაციური როკვა ზანზალაკების

თანხლებით, მაინც მოსაწყენად მიიჩნია, რაც აგრესიულ-კლიბური სპექტაკლების მოძალების ფონზე სულაც არ არის გასაკვირი.

სხვათა შორის, 2011 წლიდან „მოხეტიალეთა სიმღერებს“ ტაივანური დასი და მისი სახელოვანი ქორეოგრაფი ლინ ჰვაი-მინი მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში ანსამბლ „რუსთავის“ ცოცხალი შესრულების თანხლებით წარმოადგენს.

სამაგიეროდ, „ვერბალური თეატრის“ კამეტონები ეულად და საოცრად ფაქიზად ჟღერდა საშუელ ბეკეტის ერთ-ერთ ცნობილ პიესაში „კრეპის უკანასკნელი ფირი“, რომელიც ახალი თაობის ლიტველმა რეჟისორმა ოსკარას კორმუნოვასმა დადგა. კორმუნოვასი კვლავაც თბილისის საერთაშორისო ფესტივალის ერთ-ერთი გამორჩეული პერსონაა (მაყურებელს ალბათ ახსოვს მისი შექსპირული სპექტაკლები წინა წლებში – „რომეო და ჯულიეტა“ და „ჰამლეტი“).

ამჯერად, რეჟისორი ბეკეტის „ქვასავით“ მყარ პიესას ირჩევს, სადაც სიტყვებს არა დანის პრინცი, არამედ პროვინციული ქალაქის მიგდებული, მივინყებული მოხუცი ეთამაშება. ის საკუთარი ხმის ჩანანერებს უსმენს და ამით ცოცხლობს. რეჟისორი სცენოგრაფ დანიუს ლიმპევიჩუსთან ერთად ერთ პატარა კუთხეს ირჩევს, რომელსაც შავი კედლებით და ერთი პატარა ნათურით გამოყოფს. კრეპის როლს ლიტველი მსახიობი და ხელოვანი იოზას ბუდრაიტისი თამაშობს, რომელიც საბჭოთა თაობის მაყურებელს ბევრ ფილმსა და სპექტაკლ-



ალვის პერმანისი, „შუკმინის მოთხრობები“



ქორეოგრაფი ლინ ჰვაი-მინი „მოხეტიალეთა სიმღერები“

ში უნახავს. აბსურდის უნარის ეს კლასიკური პიესა შესანიშნავი მსახიობის ინტერპრეტაციით კამერული თეატრის, სიტყვის შეგრძნებისა და ეგზისტენციის ნამდვილი ნიმუშია, რომელიც ასე აკლია ქართულ თეატრს. თუმცა თეატრალური აუცილებლად შეგვახსენებენ მარჯანიშვილის თეატრის სხვენზე დადგმულ „კრეპს“ მარლენ ეგუტიას მონაწილეობით.

კიდევ ერთი მონოსპექტაკლი, რომელიც საერთაშორისო პროგრამის ფარგლებში ვიხილეთ, ფრანც კაფკას მიხედვით დადგმული „ამერიკა“ იყო, გამოცდილი ავსტრიელი მსახიობის, ფილიპ ჰოხმაირის მონაწილეობით (სწორედ ის ასახიერებს კარლ როსმანს). რეჟისორი მიხაელ მაიერჰოფი მოგებასა და წარმატებაზე მომართული ქვეყნის ირონიულ და სასტიკ სურათს აღწერს. იქ უბრალოდ ადგილი არ რჩება სოციალური თანაგრძნობისათვის და ყველაზე კომპარული და რეალური ზმანებანი ერთმანეთშია გადახლართული...

როსმანის ყველა ოცნება ნადგურდება და ის გაუცხოებულ, ცხოვრებისაგან გარიყულ ადამიანად იქცევა, რომელიც თავს წარმოსახვით სამყაროს აფარებს. მთავარი გმირის განცდებს მსახიობი შესაშური ენერგეტიკით ავსებს. მის თამაშში სწორედ სიტყვის ენერგეტიკა, ძალა და სხეულის ფლობის უნარი იგრძნობა.

ამ სპექტაკლმაც დაგვანახა რომ სიტყვა თეატრში ისევე უმთავრესია, როგორც ქმედება და მოძრაობა. ამ თეზისს ამყარებს რეჟისორი ანა ზირნერი სპექტაკლში „თანამებრძოლები“, რომელიც თბილისის თეატრალურ ფესტივალს განსხვავებული სოციალურ-პოლიტიკური რაკურსით წარმოაჩენს.

სპექტაკლი „თანამებრძოლები“ ფესტივალის NEW-ს პროგრამაში მართლაც გამორჩეული და პოლიტიკურად სარისკოა. ის გამოწვევ თემებს – ძალადობას და ექსტრემალურ პირობებში ადამიანთა ურთიერთობებს ეხება. თუმცა შესაძლოა, რეჟისორი ანა ზირნერი, კომპოზიტორი ფლორიან ჰარტლიები და ქორეოგრაფი დავით რუსო ასე არც ფიქრობენ და ეს ჩვენი დასახიჩრებული ცნობიერების ანარეკლია.

„თანამებრძოლები“ „ფიზიკური თეატრის“ ერთ მოთხრობილი წარმოდგენაა, რომელიც რეალურად მომხდარ ამბავს ეფუძნება. 2013 წლის მაისში სამი გერმანელი მსახიობი ირანსა და ისრაელში გაემგზავრა. თითოეული მათგანი თითო ჯარისკაცთან ერთად ცხოვრობდა ათი დღის განმავლობაში და ისმენდა მათი ცხოვრების ამბებს. სწორედ ეს ისტორიები დაედო საფუძვლად წარმოდგენას.

მართალია მსახიობებიც და ჯარისკაცებიც ერთი თაობის წარმომადგენლები არიან და ბე-



ვრი აქვთ საერთო, მაგრამ ამავდროულად მათ შორის დიდი განსხვავებაცაა: მსახიობები დაიბადნენ და გაიზარდნენ მშვიდობიან, უზრუნველ ევროპაში, ჯარისკაცები კი ცხოვრებას მუდმივი ომის პირობებში ატარებენ.

ფესტივალის ერთ-ერთი გამორჩეული სპექტაკლია „ლირის სიმღერები“, რომელიც რეჟისორ გრეგორი ბრალისა და თეატრალური დასის – „თხის სიმღერების“ – წევრების ერთობლივი გარჯისა და ფანტაზიის ნაყოფია. ვერ იტყვი, რომ „ლირი“ დრამატული ან მუსიკალური ჟანრის სპექტაკლია. ეს უფრო იმპროვიზებული წარმოდგენაა, რომელშიც საოცარი ენერჯია, რიტმი, ძალა, შთაგონება მსახიობთა ლამის თავგანწირულ თამაშს ერწყმის.

დასი წარმოადგენს სცენებს მეფე ლირის ცხოვრებიდან. ეს ყველაფერი ჟესტების, სიტყვებისა და მუსიკის ენითაა გადმოცემული. ყოველი ახალი სიმღერა თითქოს ახალი „დრამატული ამბის“ დასაწყისია, სადაც თავად მუსიკაა მოქმედი გმირი და ურთიერთობის ფორმის განმსაზღვრელიც. აღსანიშნავია, რომ „ლირის სიმღერების“ საერთაშორისო პრემიერა 2012 წლის აგვისტოში ედინბურგის ფესტივალზე გაიმართა, სადაც სამი პრესტიჟული ჯილდო დაიმსახურა და ედინბურგის ფესტივალის ლიდერ-სპექტაკლად იქცა.

წელს ფესტივალმა მაყურებელს საშუალება მისცა ევროპაში აღიარებული ლატვიელი რეჟისორის, ალვის ჰერმანისის შემოქმედებას გასცნობოდა. ვასილ შუკშინის მოთხრობის მიხედვით დადგმული სპექტაკლი სახელწოდებით – „შუკშინის მოთხრობები“ წარმატებით სარგებლობს მაყურებელთა შორის. ის თითქმის ყველა პრესტიჟული თეატრალური ფესტივალის მონაწილეა.


სპექტაკლში თანამედროვე რუსული თეატრისა და კინოს ვარსკვლავები – ევგენი მირონოვი, ჩულპან ხამატოვა და იულია სვეჟაკოვა – მონაწილეობენ. ჰერმანისის „ადამიანური თეატრი“ (ასე უწოდებენ ხშირად მას გერმანიაში) საოცარი სიზუსტით აკვირდება ადამიანს, ჭვრეტს და აღწერს სინამდვილეს. რეჟისორი თითქმის ხელუხლებელს ტოვებს ავტორის ტექსტს და ამავ დროს, სრულ კარტ-ბლანშს აძლევს მსახიობებს იმპროვიზაციისთვის. მინიმალისტური გამომსახველობითი საშუალებები (ხის იატაკი, ხის გრძელი რიგი თუ კედელზე აღბეჭდილი რეალური ადამიანების პორტრეტები) ძალზე ეფექტური და ქმედითია. ფოტოები გადაღებულია ფოტოხელოვან მონიკა პორმალეს მიერ ალტაიში დასთან ერთად მოგზაურობის დროს.

საერთაშორისო პროგრამის ფინალი ზღაპრული და ოპტიმისტური იყო. როგორც ბავშვობა, ახალი წელი, ან პირველი სიყვარული... როგორც აღმოჩნდა, ეს ყველას ძალიან სჭირდებოდა. სლავა პოლუნიჩის ცნობილი „თოვლის შოუ“, რომელიც ორ მოქმედებადაა ჩაფიქრებული და პროგრამის მიხედვით დაახლოებით 90 წუთს უნდა გაგრძელდეს, სინამდვილეში ბევრად უფრო ხანგრძლივია. რადგან მაყურებელს ფინალში უჭირს ამ მართლაც ჯადოსნურ სანახაობასთან განშორება.

ეს მართლაც უნიკალური სანახაობაა, რომელიც მაყურებელში აღფრთოვანებას და ბავშვურ მოგონებებს აღძრავს. ცხადია, მას გაახსენდება ჩაპლინი, ფელინი, ჟან ვიგო, მარსელ მარსო... და ამ ყველაფერთან ერთად საოცარ სიმსუბუქეს, მონატრებას და სევდას იგრძნობთ. ასე რომ, საფესტივალო „ხეტიალი“ ხილვებს, მოძრაობასა და სიტყვებს შორის გრძელდება. „რეალობის ნატიფი გრძნობა“ (ეს ფესტივალის დევიზია) კი მომავალში უფრო დაიხვეწება. ■



ანა ზირნერი, „თანამებრძოლები“



ოსკარას კოვშუნოვასი, „კრეპის უკანასკნელი ფირი“

SMS სიხშირის ახალი აზრები

ნინო ნატროშვილი



22 წლის წინ, 22 წლის ბრიტანელი ნილ პეპუორტი Sema Group-ში მუშაობდა და Vodafone-ისთვის ახალ ტექნოლოგიას ქმნიდა. 1992 წლის დეკემბერი იდგა. ნილმა გადანყვიტა სერვისი მეგობარზე დაეტესტა. კომპიუტერით ორი სიტყვა „Merry Christmas“ აკრიფა და საახალწლო წვეულებაზე მყოფ კოლეგას Vodafone-ის ქსელში ჩართულ მობილურ ტელეფონზე გაუგზავნა. მაშინ ნილი ვერც კი წარმოიდგენდა, რომ მის მიერ შექმნილი სერვისი მობილური კავშირის სამყაროს სრულად შეცვლიდა, SMS კი ადამიანებისთვის საყვარელ მომსახურებად იქცეოდა.

ამ ფაქტიდან 21 წლის შემდეგ იგივე Vodafone-მა სხვადასხვა ქვეყანაში SMS-ის გამოყენების ტენდენციასთან დაკავშირებით სტატისტიკური მონაცემები გამოაქვეყნა. მათზე დაყრდნობით ირკვევა, რომ კომპანიის აბონენტები სულ უფრო ნაკლებად სარგებლობენ

მოკლე ტექსტური შეტყობინების სერვისით. თუმცა აღსანიშნავია ისიც, რომ ეს ტენდენცია ყველა ქვეყანაში ერთნაირი არ არის. მაგალითად, Vodafone-ს აბონენტებისთვის თურქეთში, პორტუგალიასა და ბრიტანეთში SMS კვლავაც პოპულარული, სერვისის გამოყენება კი – ინტენსიურია. ბრიტანელები დღეში მინიმუმ ექვს, პორტუგალიელები რვა, თურქები კი თერთმეტ SMS-ს აგზავნიან.

Vodafone-ს სტატისტიკის გარეშე, ტექნოლოგიური მედია სხვადასხვა ანალიტიკური კომპანიის პროგნოზებზე დაყრდნობით ბევრს წერს იმაზე, რომ მესინჯერებმა და სოციალურმა ქსელებმა მოკლე ტექსტური შეტყობინება ძალიან შეავიწროვა, რომ SMS-ით სულ უფრო ნაკლები ადამიანი სარგებლობს, რომ საყვარელი მომსახურება ბევრმა დაივიწყა და ის უბრალოდ ნელ-ნელა კვდება. 2012 წელს ანალიტიკური კომპანია Informa წერდა, რომ მესინჯერ-

ებმა გამოყენების სიხშირით SMS-ებს გაუსწრო. 2012 წელს მათი მეშვეობით 19 მილიონი შეტყობინება გაიგზავნა, SMS-ის შემთხვევაში კი ეს რიცხვი 17,6 მილიონს შეადგენდა.

რამდენიმე წლის წინ მობილური ტელეფონით შეტყობინების გადაცემის ერთადერთ ინსტრუმენტად მხოლოდ SMS ითვლებოდა, თუმცა მობილური ინტერნეტის განვითარებასა და სმარტფონების რიცხვის ზრდასთან ერთად მომხმარებელს სტანდარტული მომსახურებებით სარგებლობის ჩარჩოები მოეხსნა. ტექსტური შეტყობინების გადასაცემად მას უკვე შეუძლია WhatsApp, facebook-ის ჩატი და iMessage გამოიყენოს ან დარეკოს Skype-თ და Viber-ით. შესაბამისად, ამ სერვისების მომხმარებელთა რიცხვიც იზრდება: Viber-ის შემთხვევაში მათი რაოდენობა 280 მილიონს, WhatsApp-ის შემთხვევაში კი – 600 მილიონს აჭარბებს. ცხადია, ეს რიცხვი სულ უფრო იზრდება.

მომხმარებლების სტიმულის მიზეზი მარტივია: მესინჯერებსა და აპლიკაციებში ფულს არ იხდი, თუმცა ეს მხოლოდ მაშინ, როდესაც Wi-Fi-თ სარგებლობ. გასათვალისწინებელია ისიც, რომ მესინჯერების შემთხვევაში გარკვეულ კომპრომისზე წასვლაც გიხდება. ეს კომპრომისი კი ხარისხია.

კომუნიკაციების ეროვნული კომისიის სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის უფროსი თეა ტყემელაშვილი ამბობს, რომ ხმოვანი აპლიკაციებისა და მესინჯერების გავრცელებასთან ერთად მომხმარებელი და ტრაფიკი როგორც SMS-ს, ისე ხმოვან სერვისს აკლდება. თუმცა ასეთი, ე.წ. არამართვადი, Over the Top მომსახურებებით სარგებლობისას აბონენტს გარანტირებული ხარისხი არ აქვს: „Viber რომ გაითიშოს SMS-ის გაგზავნისას, ან საუბრისას, რას იზამთ? კომპანიას დაურეკავთ და პასუხს მოსთხოვთ, რომ მან სერვისი ცუდი ხარისხით მოგანოღათ? სწორედ ამით

განსხვავდება **Over the Top** მომსახურებები მობილური კავშირის ოპერატორის სერვისისგან: თუ მისი სერვისი გიწყდებოდა, ზუსტად იცით, ვისთან უნდა გქონდეთ პრეტენზია. ცხადია, ოპერატორი ამისთვის რაღაც თანხას აუცილებლად გართმევთ, თუმცა სინამდვილეში არც მესინჯერები და აპლიკაციები უფასო. თქვენ ამაშიც იხდით, რადგანაც მობილურ ინტერნეტს იყენებთ“, – აღნიშნავს თეა ტყემელაშვილი.

თუმცა აპლიკაციების და მესინჯერების კონკურენტუნარიანობას არც მობილური ოპერატორები უარყოფენ. პერიოდულად მედიაში ჩნდება ხოლმე ინფორმაცია, რომ ესა თუ ის კომპანია აბონენტებისთვის საკუთარ ქსელში უფასო შეტყობინებების გადაცემის დაბლოკვას აპირებს. უფრო კონკურენტულ პირობებში არიან ქართული მობილური კომპანიებიც: მათთვისაც ნებისმიერი აპლიკაცია შეიძლება კონკურენტი იყოს, თუმცაღა რადიკალური ზომების მიღება მათ საქართველოში ნამდვილად არ სჭირდებათ.

39 წლის თეონას სატელეკომუნიკაციო ცხოვრებაში SMS-ს დიდი ადგილი უკავია: „საკმაოდ ბევრს ვაგზავნი, როგორც საქმიანი, ისე პირადი ურთიერთობებისთვის და შეიძლება ითქვას უფრო SMS-ით ვსარგებლობ, ვიდრე ვრეკავ. თუ არ არის აუცილებელი საუბარი, ვცდილობ არ მოვაცდინო არც სხვა, არც საკუთარი თავი და SMS ვაგზავნი. ამით დროსაც ვზოგავ. რაც შეეხება პირად ურთიერთობებს, SMS-ს ძირითადად მაშინ ვიყენებ, როდესაც არ მინდა საუბარი გარემომოწყობებმა გაიგონ. მაგალითად, ტრანსპორტში, სამსახურში, თუნდაც სახლში... თან SMS სულ სხვაა, რაღაც ნაირად ერთი წინადადებით ფლირტის საშუალებას გაძლევს. დარეკვით ეს შეუძლებელია“, – ყვება თეონა.

SMS-ის გაგზავნა განსაკუთრებით უყვარს 21 წლის ვახოსაც. ამბობს, რომ განსაკუთრებით პოზიტიურ ემოციებს იღებს, მით უმეტეს მაშინ, როდესაც მისთვის სასიამოვნო ადამიანს „ემესიჯება“. „ძირითადად სამსახურისთვის ვიყენებ და საფლირტაოდ, ასე ვთქვათ სასიყვარულოდ. დარეკვა მეზარება, მესინჯერებს საერთოდ არ ვიყენებ, SMS

კი შეიძლება დღეში ასზე მეტიც ვაგზავნო“, – მეუბნება ვახო.

ქართველი მომხმარებლების SMS-ისადმი სიყვარული სტატისტიკითაც დასტურდება. მისი რაოდენობა წლიდან წლამდე იზრდება. კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მონაცემებით, 2013 წლის 14 აგვისტოს გაგზავნილი SMS-ების რაოდენობა 496,025,196 იყო. წელს, ანალოგიურ პერიოდში ეს რიცხვი 556,027, 240-მდე გაიზარდა. 2012 წელს საქართველოში სულ 4,690,259,516 SMS გაიგზავნა, 2013 წელს კი – 5,599,450,235. „წლევანდელი პროგნოზიც ზრდადია“, – აღნიშნავს თეა ტყემელაშვილი და დასძენს: „თვეების ჭრილში არის ხოლმე განსხვავება, თუმცა ეს სხვადასხვა ფაქტორითაა განპირობებული: მაგალითად, იანვარში

39 ნაშში 149 სიმბოლო – 17 წლის ოსტინ ვირშკემ 2012 წელს ნიუ-იორკში გამართულ შეჯიბრში მეორედ გაიმარჯვა და პრიზის სახით 50 ათასი დოლარი მიიღო. ამერიკელ ფრანკლინ პეიჯს კი 160 სიმბოლოს სენსორულ ეკრანზე ასაკრეფად 35,54 ნაშ დასჭირდა.

ნიბნი SMS-ით

3 წლის წინ ამერიკელი ჯეფ რეგს-დეილი მეგობარ გოგონას დაშორდა. მონყენილმა ჯეფმა მანჭეტენზე განცხადება მიამაგრა: „თუ ვინმეს ჩემთან საუბარი გასურთ, დამირეკეთ. ჯეფი, მარტოხელა ბიჭი“.

განცხადების გამოქვეყნების შემდეგ ჯეფს დღეში ათასობით SMS მოსდიოდა და 700-მდე ადამიანი ურეკავდა. 6 თვის განმავლობაში მას 65 ათასზე მეტი ადამიანი დაუკავშირდა. გარკვეული პერიოდის შემდეგ ჯეფმა გადაწყვიტა, შეგროვებული მასალა ცალკე წიგნად გამოეცა და მას „ჯეფი, მარტოხელა ბიჭი“ უწოდა. წიგნის თანაავტორი დევიდ შილდსია. წიგნი მთლიანად მარტოხელა ადამიანების მოკლე ტექსტური შეტყობინებებისგან შედგება.

ზოგადად მობილურ კავშირს, როგორც SMS-ს, ისე ხმოვან სერვისს, ადამიანები უფრო აქტიურად იყენებენ. იგივე ხდება ზაფხულის თვეებშიც, როცა აბონენტები ქალაქიდან გადაიან. შესაბამისად, ასეთ დროს სერვისის გამოყენების სიხშირე ყოველთვის უფრო მაღალია. ამას გარდა, გააჩნია რომელმა ოპერატორმა რა პერიოდში რა ტიპის აქცია გამოიყენა აბონენტების მისაზიდად. ზოგადად, ქართულმა კომპანიებმა ტექნოლოგიურ ტენდენციებს ფეხი აუწყვეს და აბონენტებს ისეთ პირობებს, ტარიფებს და პაკეტებს სთავაზობენ, რომ მათი SMS სერვისი კვლავაც მიმზიდველია“, – აცხადებს ის.

სატელეკომუნიკაციო სფეროს განვითარებასთან ერთად მომხმარებელს კიდევ უფრო მეტი არჩევანი აქვს. თეა ტყემელაშვილი ამბობს, რომ მესინჯერები კი არ ანაცვლებენ SMS-ს, უბრალოდ მომხმარებლებს მეტი არჩევნის საშუალებას აძლევენ. ერთ-ერთი ასეთი მომხმარებელია ნიაც. მას შემდეგ, რაც სკოლაში მეტყველების მასწავლებელმა „ალო“ დაუწუნა, ნიამ გადაწყვიტა, აღარ დაერეკა და მხოლოდ SMS-ები გაეგზავნა. „მართალია, „ლო“ გამომისწორდა, მაგრამ „ალოს“ თქმას დღემდე ვერიდები. ეს ნახევრად ხუმრობით, სინამდვილეში კი მესიჯს სხვა უპირატესობებიც აქვს: გარემომოწყობები არ ნუხდებიან, არც ადრესატს ანუხებ უდროოდ დროს, იცი, რომ, მაშინ გიპასუხებს, როცა მოიცლის. ცხადია, მიჩვევაზეც ბევრია დამოკიდებული“, – ამბობს ნია. SMS-ის პარალელურად მესინჯერებსაც იყენებს და როცა სახლშია, ძირითადად Viber-ით სარგებლობს, თუმცა ამბობს, რომ „თბილისს ყველგან არ ვუყვარვართ, არც Wi-Fi-ია ყველგან და არც ყველას აქვს ეს აპლიკაცია, ამიტომ უფრო ხშირად SMS-ის გაგზავნა უწევს, ვიდრე მესინჯერებით სარგებლობა.

ასე რომ, ამჟამინდელი ტენდენციით საქართველოში SMS-ის სიკვდილამდე ჯერ კიდევ შორია, თუმცა მეოთხე თაობის მაღალსიჩქარიანი მობილური ქსელების დანერგვა, რომელიც არცთუ შორეულ მომავალში იგეგმება, მობილურ მომსახურებებში დამატებით ცვლილებებს ნამდვილად შეიტანს.



ანი თიქონი ბიჯნაჯ სტახინბით შოხს


გიო ახელედიანი

დიდი ამბავი ტრიალებს მანჩესტერში, დაუმთავრებელ წვიმათა ქალაქში, სადაც ოდესღაც მისტერ როლი მისტერ როისს შეუტედა. უფრო სწორად კი ეს დიდი ამბავი ტრიალებს მის ერთ ნაწილში, სადაც ზინა დაუღია ქალაქის ორ გუნდასთან ერთს, უფრო სახელმწიფოებს, „ოუნაიტდს“, რომელსაც მეორის ქომაგები ზანდაზან დაკინებით უწოდებენ სელვორდ ოუნაიტდს, რაზან „ოუნაიტდს“ ყოველთვის აღიქმებოდა არა

ქალაქურ, არამედ თანამგზავრ სელვორდის კლუბად, სადაც დღემდე ცხოვრობენ კლუბის გამოჩენილი მოთამაშენი და უამისოდაც, ეს „ოუნაიტდის“ სახლია. მოკლედ, რაც შარშან გუნდის სატე დი-დმა რაინდმა ალექს ფერგუსონმა დაუტე-სტოთი კაცი, დევიდ მოიესი დაასახელა, „ოუნაიტდის“ სამეუბი უკან ნაწივა, ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში

გუნდე პირველად ვერ მოხვდა ჩემპიონთა ლიგაში და მოიესისაც, რომელსაც მანამდე „ამორჩეულს“ უწოდებდნენ, სეზონიც არ დაამთავრებინეს. „ოუნაიტდის“ პატრონია მძლე გლეზიურ-თა ოჯახი, ამერიკელები, რომლებიც დიდი კლუბით დიდ ბიზნესს მისდევენ. მათ ახლა მწვრთნელად ლუის ვან გაალი აირჩიეს, მსო-ფლიოს რჩეულთაგან რჩეულ საფეხბურთო მოაზროვნე დამხმარეული. მას უკვე ოცდა-

ზუთ წელიწადზე მეტია ევროპაზე თავისი განთქმული დავთრებით ვედავით, რომელთა სისქე და სიდიდე ვან გაალის ასაკთან ერთად მატულობს. ვან გაალი „მანჩესტერში“ პირდაპირ პო-ლანდის ნაკრებიდან მოვიდა და საქმეს რეუელი სიმკაცრითა და თანამედროვეობით შეუდგა. თვითდან იმსაკე კი ამზობდა, ეს ფილოს რჩეულთაგან რჩეულ საფეხბურთო „მანჩესტერი“ რა კვი გუნდე ყოფილა, ვებმ სულაც არავინ გამიხვდეს საყოფილო.



ზერთა ოჯახი, ამერიკე-ლები, რომლებიც დიდი კლუბით დიდ ბიზნესს მისდევენ. მათ ახლა მწვრთნელად ლუის ვან გაალი აირჩიეს, მსო-ფლიოს რჩეულთაგან რჩეული საფეხბურთო მოაზროვნე დამხმარეუ-ლი. მას უკვე ოცდახუთ წელიწადზე მეტია ევროპაზე თავისი გან-თქმული დავთრებით ვედავით, რომელთა სისქე და სიდიდე ვან გაალის ასაკთან ერთად მატულობს.

■ ეგ მაგ კაცის ფონი იყო. იცოდა თავთხელები, ყველაფერი იცოდა. ეს ვან გაალი ფერგიუსონს ალბათ გადაუსწრებს ხაზვაში, თანამედროვე ტექნოლოგიებში, სხვანაირ კონტინენტურ მეცნიერებაში და რაში აღარ. ოღონდ ფეხბურთის საქმე ესა ყოფილა, რომ თუ კაცს თავზე მხრები ადგას, ნახევარი საქმე გამოცდილებაა.

ეს აზრი რომ დღემოკლე იყო, მალე გამოჩნდა. დღევანდელ ფეხბურთში რომ ყიდვა-გაყიდვა ლამის გადამწყვეტია, ყველამ იცის. თუ ხარჯავ, გუნდი ახლდება. თუ არ ხარჯავ, აბა... გახსოვს, როგორ ცვთებოდა ბაბუის ნაქონი მფრინავის ქურთუკი? კი, ის იყო, მაგრამ გოგოსთან შესახვედრად მიმავალი მგონი ძმაკაცს ართმევედი უაკეტს.

ასეა „მანჩესტერი“. ფერგიუსონის ოცდახუთწლიანი განუმეორებელი მეფობის ბოლო წლებში სერ ალექსმა საერთოდ აიღო ხელი მსოფლიო ვარსკვლავების ყიდვაზე და ისე გადიოდა ფონს.

ეგ მაგ კაცის ფონი იყო. იცოდა თავთხელები, ყველაფერი იცოდა. ეს ვან გაალი ფერგიუსონს ალბათ გადაუსწრებს ხაზვაში, თანამედროვე ტექნოლოგიებში, სხვანაირ კონტინენტურ მეცნიერებაში და რაში აღარ. ოღონდ ფეხბურთის საქმე ესა ყოფილა, რომ თუ კაცს თავზე მხრები ადგას, ნახევარი საქმე გამოცდილებაა.

ფერგიმ ისე იცოდა თავისი გუნდი და ინგლისის ფეხბურთი, რომ მგონი რვეული კი არა, კალმისტარიც არ დასჭირვებია არასდროს. მეტიც, მისი ფოტოც კი არ არსებობს, რომ საფეხბურთო დაფასთან იდგეს და იქ მაგნიტებს დაატარებდეს.

აი, ეს კი ვან გაალს არ აქვს. მას ინგლისურ ფეხბურთში არ უმუშავია, და არც იცის აქაური ამბავი. თუმცა ეს ერთგვარად მაინც ზედაპირული აზრია.

მაურინიო და სხვა რომ არ ვთქვათ, ამავე ქალაქში შარშან ჩამოსულ პელეგრინისაც არასდროს უმუშავია ინგლისში - „სიტი“ ჩემპიონი გახადა. თუმცა იმას კლუბში ყველაფერი ასჯერ უკეთ დაუხვდა და საყიდლებიც ადრევე მოაგვარა. ამიტომ გამოუცდებლობაზე გადაბრალება ნამეტანია. თუმცა, გააჩნია სად რა მუშაობს.

ვან გაალმა მაშინვე თქვა - სასწაული იქნება, წელს თუ ამ გუნდს ჩემპიონობამდე მივიყვანო, ანუ ვერ მივიყვანო. ერთხელ უარესი „ბავარია“ მივიყვანე, მაგრამ ის გამოწაკლისი იყო.

ამიტომ უფრო გუნდზეა და არა იმაზე, წელს მოხვედრი, თუ შარშან. კაი გუნდს კაი მწვრთნელი მალევე ითბობს. საშენებელი რომ დაგიხვდება, იქ იჭედება ხოლმე. ჰოდა, „ოლდ ტრეფორდზეც“ ასეა. ის ფერგი, რასაც მიათრევდა, იმას მის გარდა ვერავინ გაათრევდა. მთელი საიდუმლოც ეს არის.

ჰოდა, დაინყო პრემიერლიგა და ვან გაალმაც მიიღო და მიიღო. როგორც ერთ ქართულ ვიდეოშია - იქიდან დარტყმა, აქედან დარტყმა. საიდან აღარ მიიღო. მაგრამ ბანქოს მოთამაშენი რომ იტყვიან, ასაყვანი უნდა აიყვანო, ასე მიჰყავდა ყველაფერი.

ამისდა კვალად, კი ჰოლანდიელმა ყიდვა და ქირაობა დაინყო და 150 მილიონი გირვანქა დახარჯა. დიდი ფულია. მოთამაშენიც, ასე ვთქვათ, მოდური თუ მეინსტრიმული მოიყვანა. დი მარიაო, ფალკაო, უმცროსი ბლინდო. მოკლედ, აგროვებს. ამ სახელებით ჯერჯერობით ერთხელ გაილაღა და მეორედ კი ინგლისური მოუვიდა: პატარა „ლესტერმა“, მელიეზმა, როგორც ხალხში ეძახიან, შინ თრილერი დაუდგა, 1:3-დან თამაში შემოუტრიალა და ამ ახალდახარჯულს 5:3 მოუგო.

ასეთი მოტრიალებები ინგლისური ლიგების ერთი შერჩენილი ხიბლია, მაგრამ ახალი „მანჩესტერისთვის“ ეს მძიმე დარტყმა იყო და არა დაუფინყარ თამაშში მონაწილეობა.

საერთოდ, პირი ისეთი უჩანს, რომ ვან გაალს დააცდიან ახალი გუნდის შენებას. ეს ისეთი ლიგაა, სადაც „ჩელსის“ ამლორძინებელ-გამაჩემპიონებელი მაიურინიო ცხრა ტურის თავზე გააგდეს. თანაც მფლობელებს ვერ გაუგებ. ეგებ ერთ დღეს უბრალოდ სხვა გეგმა აამუშაონ. სჯობს თუ დააცდიან, რადგან ყოველთვის სჯობს, დიდი კაცი დიდ გუნდს აშენებდეს, მაგრამ კლუბი ფულია, აქციები ეცემა, ხარჯები იზრდება და სხვა ათასი რამ ხდება. „მანჩესტერი“ ბიუჯეტით ბარე ორ პატარა ქვეყანას გაეჯობრება და ამას სიმალღეზე ყოფნა უმაგრებს ზურგს.

მცოდნენი კი ფიქრობენ, რომ მალლა დაბრუნებამდე ჯერ შორია.


ფილ ნევილი, „მანჩესტერის“ ოდინდელი მოთამაშე, მეორე ნევილი, როგორც ადრე ეძახდნენ, დღეს კი აზრების გამომთქმელი BBC-სა და სხვა ადგილებში, ამბობს, რომ წინსვლამდე „მანჩესტერს“ ორი სატრანსფერო ფანჯარა და ასი მილიონი გირვანქა აშორებს. ანუ დასახარჯი კიდევ ბევრიაო. და მანძილის საზომიც „მანჩესტერისთვის“ ფულზე ძვეს და არა იარდებსა და მილებზე.

აი, იმას იქით კი ალბათ ნამდვილად არავინ იცის, რა აშენდება და როგორ, ბებერ რუნის გარშემო თუ უმისოდ. რუნის კი, რაც ბერდება, თმა უფრო და უფრო უხშირდება, ნაბიჯი კი უნელდება. იმას იქითაც დიდი საფიქრალია.

ხოდა, ვნახოთ, ვინ ვის და როგორ შეხვდება განელილი წვიმების ქალაქში. ■



WWW.LIBERALI.GE



WWW.LIBERALI.GE

მომხმარებელი



<http://twitter.com/LiberaliMagazine>



მომხმარებელი

Facebook

<http://facebook.com/LiberaliMagazine>

მომხმარებელი



<http://youtube.com/LiberaliMagazine>